

1134
2004

საქართველოს
საგარეო ურთიერთობების
სამსახური


ს რ ი ლ ი

№7-8 (202-203)


საზოგადოებრივ-ლიბერალური ჟურნალი

ივლისი-აგვისტო

ფასი 1.50 ლარი




რე პე ე მ ს ბ ე ო ლ დ ო ს კ ა მ ს ლ ო ს



#7-8
2004

რე პე ე მ ს ბ ე ო ლ დ ო ს კ ა მ ს ლ ო ს



არილი

საზოგადოებრივ-ლიტერატურული
ასოციაცია "არილი" გამოსევა

The Literary Magazine ARILI

არილი - დასასვენებელი სიწმინდეა(ნი)
სულხან-საბა

არილი - მზის შუკი, რამეზე დამდგარი
ძართული მშის
ანაბარბათი ლეხიანი

მთავარი რედაქტორი
შადიმან შამანაძე

სარედაქციო საბჭო

- მალხაზ ხარბედია
- (მთ.რედაქტორის მოადგილე)
- ლევან აბაშიძე
- რადი ამალალობელი
- ია ანთაძე
- ირმა არჩუაშვილი
- ანდრო ბუაჩიძე
- ნოდარ ებრაღიძე
- თამაზ ვასაძე
- ეთერ ვიბლიანი
- ზაზა თვარაძე
- ზურაბ კენაძე
- ვახტანგ კომპანიძე
- ვასილ მალაფერიძე
- ზვიად რატიანი
- ირაკლი სამსონაძე
- გულსუნდა სიხარულიძე
- სოზარ სუბელიანი
- ზაზა ფაჩუაშვილი
- ზაზა ჭილაძე
- ბესო ხვედელიძე

მენეჯერი - ნანა ჩხვიმიანი
კომპიუტერული დირექტორი -
გიორგი სუბარი

კომპიუტერული უზრუნველყოფა
თამაზ ჩხაიძე
ელისო კალმახელიძე
მანანა კორძაძე

ტელ/ფაქსი: 98-84-00
e-mail: kharbedia@yahoo.com
მისამართი: ლესელიძის ქ. №4

ფურნალი იბეჭდება გაზეთ
"კავკასიონის" ხარედაქციო ბაზაზე



№7-8, ივლისი-აგვისტო, 2004

კრიტიკა

- ზოია ცხადია
- განსივრელ ხარანაული "საძარტველოს მოგავალს ველოდები..."1
- მარსიანი
- განტვირთვა კლასიკასთან მიხედვით9

ლიტერატურა

- დავით ჩიხლაძე
- ლექსები16
- თამაზ ექვთიმიშვილი
- ...ერთხელ დავკალი მამალი19
- თამუნა არდიშვილი
- ლექსები27
- ლუკიანე სამოსატელი
- ამგავი პერაგინის აღსასრულისა29
- ჰანიფ კურეიში
- გაუზინ, გაუზინინ და იძაგმა42
- ჯონ დერბიშირი
- რა შეემთხვა ოლდოს ჰექსლის49

პერსონა

- ჯიბრან ხალილ ჯიბრანი
- წინასწარმეტყველი57
- ჯიბრან ხალილ ჯიბრანი
- თქვენ თქვენი ლიბანი გაძვთ, მე კი ჩემი ლიბანი62

ზოია მხალაია


გენიკ ხარანაული

“საქართველოს მომავალს ველოდები...”

ღმსპერი. 1992-2002

გენიკ ხარანაულის ბოლო წლების ლექსები, თავმოყრილი 2002 წელს გამოცემულ კრებულში, ყოფიერების მკაცრი განჩინებაა თავისი არასხალი, მარადიული პრობლემებით, დამძიმებული თანამედროვეობის გაუსაძლისი კონტექსტებით, სადაც ყველაფერი მნიშვნელოვანია, განმსაზღვრელია, ასაკიც კი - რადგან ცხოვრება ხავერდის მწვანე გზა როდია, ცხოვრება ჭაპანია (“საწუთროი ესე გზაი არს და კეთილიცა და ბოროტიცა მას შინა განვალს”, იოანე ოქროპირი). ნამუსრევით, ყრია ყველაფერი ამ გრძელ გზაზე: გაცხივებული გულები, დაბზარული, დამსხვრეული, დანაცრებული, ერთ დროს იმედით მოციაგე ფიქრები. ცხოვრების კადრებს სცილდებიან ძვირფასი სახეები - ღედა, მამა... საგნები იცვლიან მნიშვნელობას, შინაარსს. ოდესღაც შენი სახლი ახლა სხვისია... და თავისუფალი ხარ ყველაფრისაგან, მაგრამ ეს თავისუფლებაა თუ “თავისუფლება” - ცხოვრების შურისძიება?.. ასეთია მისი წესი: წვეთწვეთობით მიაქვს უკანასკნელი, ხელიდან გაცლის. მარტო შენიც არ გაკმარა, მეზობელიც გაგიჟდა, “ცხოველს დაემსგავსა” დიდი მწუხარებისგან; ღმუის, რადგან მის ტკივილს საშველი აღარა აქვს (“ჩემი მეზობელი დარდისაგან ცხოველი გახდა”)... ერთადერთი - შენი ამონათქვამი გისნის. ამითაა ბედნიერი პოეტი. რაც არ უნდა “უქონ-უყოლევი” იყოს, რაც არ უნდა “ჯავრი სჭირდეს”, სხვაზე “ერთი ცრემლით მეტი აქვს გაძლების ნიჭიც”.

ბოლო ათწლეული - გარდასული საუკუნის მიწურული. ქართულ პოეზიაში ტკივილმა იმძლავრა. პოეზია არც არასდროს ყოფილა მხოლოდ ტკბობის, მაგრამ ამ კონკრეტული დროის ყოფითმა მოვლენებმა, საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა ქაოსმა უფრო მკვეთრი სპექტრით წარმოსახეს უამის უბედობით დაფერილი შუქ-ჩრდილები. რაც არ უნდა ზემატერიალურ სამყაროს ჭკრეტდეს პოეტი, “დროის, ეპოქის” ფაქტორს ვერ გაექცევა. მიწა თავისას მოითხოვს, სანამ სული ხორცს არ გაყრია. იგი უნებურად დროის აღმსარებელი ხდება, მით უმეტეს - შეჭირვებულ დროში. ასეთი შინაგანი მდგომარეობის ანალოგიით არის უთუოდ ნათქვამი: “უკვე კარგა ხანია, რაც უფარი ვთქვი ესთეტიკურ პატივმოყვარეობაზე და ნანარმო-



ებს კი არ ვწერ, არამედ აღსარებას. ასე დასაბრძოლად განწირული ანდა მონამოლული აღარ ზრუნავს დავარცხნილ თმაზე ან ხმის მოდულაციებზე - იგი ყვირის... (ჰ.ჭყევე). ვერ ვიტყვით იმას, რომ ბესიკ ხარანაული საერთოდ არ ზრუნავდეს “ესთეტიკურ პატივმოყვარეობაზე”, მაგრამ მის ლირიკულ ტექსტებში მთავარი მანაც შემოქმედებითი იმპულსებია, პოეტური გენეტიკით კოდირებული. აქ უმთავრესი და გაცნობიერებული ის ჩვეულებრივად ნათქვამი არაჩვეულებრივია, რომელიც მტანჯველ ტვირთად აწევს რიგით მოკვდავსაც და პოეტსაც. ამის გრძნობა ხდის მკითხველს პოეტის თანამოაზრედ და თანამოზიარედ.

1992-2002 წლები - ბესიკ ხარანაულის ბოლო კრებულის უფრო ზუსტი თარიღი... ქართველი ხალხის ისტორიაში ერთ-ერთი

საქალაქო

გამორჩეულად შვოთიანი, ყოვლისმომცველი ათნაღული - მწუხარების, დამარცხების, უსასოობის... ბესიკ ხარანაულისგან ქართველი მკითხველი უთუოდ მოელოდა ამ თემაზე შექმნილ პოეტურ ტექსტებს და შეიქმნა კიდევ მისი ერთგვარი ციკლი საქართველოზე, რომლისთვისაც, სამწუხაროდ, პოეტს აღარ მოეძებნება სხვა სიტყვა, გარდა ძილისმომგვრელი მოფერებისა ანუ - "ნანა, საქართველოს მიწავ". სიკვდილს, წაშლას, იავარქმნას, იქნებ ძილი ჯობდეს (და არა ძილქუში), რომ ძილმა შთანთქას ცხადის სიავე და შემდეგ ყველაფერი დაიწყოს თავიდან, რამდენადაც ეს შესაძლებელია იმ უმწარესი გაკვეთილების შემდეგ, რაც დრომ, ბედისწერამ თუ ისტორიის მეკობრეებმა ჩაუტარეს ქვეყანას:

ნანა, საქართველოს მიწავ!
საქართველოს მთავ და ევლო,
დაიძინე, დაღლილი ხარ,
ტანჯული ხარ, საყვარელო...
გაძრცვილი ხარ, გაცლილი ხარ,
ზვარში თითქო ქარებს ევლო,
დაიძინე, დაღლილი ხარ,
ტანჯული ხარ, საყვარელო...
სიზმარი თუ ტკბილი ნახე,
სცადე, რომე გაიგრძელო...

რატომ ურჩევს სამშობლოს ძილს პოეტი? იქნებ, ალუზია ილიას ცნობილ ფრაზასთან - "ოჰ, ღმერთო ჩემო, სულ ძილი, ძილი..." იქნებ, იმიტომ, რომ სამშობლოს ამჟამინდელი ცხადის შემოქმედნი ჩვენა ვართ, შეცდომილები "და განცხრომა გვირჩვენია, გან თუ ბრძოლა სასახელო". თავადაც დამნაშავედ მიიჩნევს საკუთარ პერსონას პოეტი. არა "შენ", არა - "ის", არამედ "ჩვენ" - ყველანი ერთად, პასუხისმგებელი ყველაფერზე, იმ ტკივილისმომგვრელ რეალობაზე, რაც თანამედროვე საქართველოს სურათს ქმნის:

ქარი დაეჭრის, ქარი გზოკავს,
ფერი გადაცლია მდელოს,
მახვილს, შენზე გადმოქნულს
შენივ შეილის ხელი ევლო,
ძილში მაინც დაისვენე,
ნულა ბორგავ, სანატრელო...

სანამდე? - იკითხავს მკითხველი და ამის გათვალისწინებით იძლევა პასუხს პოეტი, რომლის აზრითაც, და ჭეშმარიტადაც, "ჯერ სვავები არ გამძღარან, ჯერაც ისევ მგელი მგე-

ლობს, ჯერეთ ძილი გირჩვენია, დაიძინე, საქართველო!" და ბოლოს - ჩინებული ინტერტექსტუალური გახმოვანება სტრიქონების, ქართველი კაცის ახალ ტკივილს მისადგებულად:

ქართლ-კახეთო, იმერეთო,
გურია და სამეგრელო,
ნულარც ხმალი გელანდება,
ნულარც ჩანგი სარუსთველო,
დაიძინე, დაღლილი ხარ,
ტანჯული ხარ, საქართველო.

ამასთან დაკავშირებით პოეტის კომენტარიც გავისენით: "უნდა დაიძინო, რომ იქნებ გაიღვიძო და რაღაცა გეშველოს. არ გინატრია, ნეტავ დამაძინა და აქა და აქ მოხვდეთ? ჩვეულებრივი ამბავია, საღათას ძილისკენ რომ მოეწონებდებდე ხალხს, ასე არაა. დაიძინე, რომ გაიღვიძო და დამთავრდეს ეს უბედურება. ამ დაღლილობას სხვა არაფერი შველის"... რა თქმა უნდა, ეს დალხენილი კაცის ნატვრა არაა. გალაკტიონსაც უნატრია 30-იანი წლების ქართველებით დამძიმებულ საქართველოში - "ნეტავ ამ ნავში დამაძინა და გამომაღვიძა ასი წლის გარე"...

"რაღაც დაემართა და ვწერე და ვწერე ამ საქართველოზე, - წერს ბესიკ ხარანაული, - შეიძლება, მეცხრამეტე საუკუნის პოეტებში რომ გადავსახლდი, იმიტომ. არცერთი სტრიქონი არაა, იმის უკან ვინმე რომ არ იდგეს. ვწერე და ვწერე, ამოვთქვი ჩემი ბაღბაღი და კიდევაც დამეხურა გული. ვეღარ გავაღებ".

სიზმარეული თუ ცხადი, ჩავლილი ისტორია თუ რეალობა, ერთ ნატვრად იქცევა, რომელსაც საქართველოს გამთლიანება ჰქვია: "ღმერთო, ამას გთხოვ, საქართველო ხო გამთლიანდა?" ლექსის პირველ სტრიქონებში უფლისადმი მიმართული ეჭვიანი კითხვები ფინალში თხოვნა-ვედრებაში გადაიზრდება:

შევადართო: ღმერთო, ამას გთხოვ,
საქართველო ხო გამთლიანდა?
მკვდარი ვიყავი,
გალვიძებდა დამაგვიანდა,
ანდა სხვა რამე
ნაკლთა გამო აღამაძინათა -
ღმერთო, ამას გთხოვ,
საქართველო, ხო გამთლიანდა?
და ბოლოს:
გააძლე ჩემი საქართველო

არა პურითა,
 არა ღვინითა,
 არა წყლითა,
 - სიყვარულითა.

ყველაფერი, რაც იყო, რაც მოხდა, თავის სახელს არქმევს პოეტი, უსიამოვნოს, მაგრამ ისეთს, როგორც ხედავს:

ყველა მხრის ქარი
 თავზე რისხვად
 ხო დასტრიალდა,
 რაც ცოდვა ჰქონდა,
 დროშად ყველა
 ხო აფრიალდა,
 ხო განიბანა სისხლით,
 ტანჯვით გამაღლიანდა,
 ხო გაიფანტა,
 სინშინდენი დანაგვიანდა.

აქ ქარაგმული და იდუმალი არაფერია, ყველაფერი პირდაპირაა გამოფენილი. დამხმარე სიტყვა "ხო" ლექსის მთელ სივრცეში არ კარგავს თავის ფუნქციას, გააძლიეროს ემოციის სიმძაფრე. საგანგებოდ გასაზღვრებულია მადლიანი, ყველასთვის გასაგები, ყველას გულის კარის შემღებნი აზრი. იგი დიდ აუდიტორიაზეა გათვლილი, შეფარული მოწოდებით, თხოვნით, მუდარით, ეჭვით. გრამატიკულად უფუნქციო ბგერაც - "ს", ზმნაში "დასტრიალდა", ამ მიზანს ემსახურება, უფრო გრძობადს ხდის ქარის თუ ბედის ბორბლის რისხვით ტრიალს საქართველოს თავზე. "ს" ფონემის გაჟღერება თითქოს სიტყვის, აზრის ღერძს ქმნის და ეხმარება განცდის აქცენტირებაში.

ღმერთისადმი ამ მიმართვაში და არა მხოლოდ ამ ლექსში, არამედ სხვაგანაც, ფარული საყვედურის თუ ეჭვის ინტონაციებიც იკითხება. მხოლოდ უფლის და სიყვარულის ძალას შეუძლია, გააქარწყლოს ეს ეჭვი. მაგრამ სიყვარული, როგორც უკეთურებაზე და სიძულველზე ამაღლებული ალტერნატივა, ადვილად იკარგება ბოროტებაში. ბოროტება უფრო ადაპტირებულია გარემომცველ სამყაროსთან, გამძლეა, რადგან ის გადაგვარებული, გააგებული გრძობაა. სიყვარულის და სიძულველის თანაარსებობა მარადიულია, მაგრამ არის უამრავი სიყვარულის ზეობისა და უამრავი ბოროტების მძლავრობისა. დროის ასეთ მოდუსში დაისმის გროტესკული კითხვა - "რა, ბესიკია ქვეყანაზე მარტო ბოროტი?" ფასეულობათა სისტემის

ნგრევამ გამოიწვია პოეტის ცნების მნიშვნელობათა ისეთი რადიკალური ცვლილება, რომ ბესიკის, როგორც პოეტის, ესთეტიკის, სიკეთისა და მშვენიერების შემოქმედის სიმბოლო საპირისპირო მნიშვნელობაში გადაიზრდება. ეს ვითარება ცნაურდება მომდევნო არანაკლებ რადიკალური ფრაზით: "ნეტამცა, ღმერთო! მე დავრჩები მარტო - ბოლომდის!" მაგრამ მხოლოდ დროებით. "გაბოროტებულ" ბესიკს თითქოს ავიწყდება თავისი როლი:

არავის გვერდით არ ვიქნები,
 ვიქნები მარტო,
 იმას ვიპოვნი, ჩემზე მეტად მარტო
 ვინც არის,
 ის მეყოლება საესავი და საფიცარი,
 ვინც ჩემზე უფრო დაჭრილია,
 მოტყუებული
 და ვისაც ჩემებრ ალარავინ
 აღარ ეგუფვის...


პოეტია ბოროტების მტვრითველი და ისიც ცოდების გამომსყიდველის პროფილში ტრიალებს. თავადვე უნდა იტვირთოს ბოროტების სასჯელი, თავად უნდა აღიმართოს "მამა-პაპის სისხლით და ძვლებით", დარჩეს მარტო თავისი წვიმით, ქარით, წვითა და დავით, თუმცა: "ერთი კი არა, ყველა არის პიროვნულობის გულმავიწყები, უკითხავნი და უფიცები. ძმის სისხლთა მდომნი, მტრის სისხლისა მოზიზღარები, ძმის კარის მრღვენი, მტრის კარისა მიუჯარები, არც მინისანი, არც ცისანი - არაფრისანი, თავის მიმყოლნი, თავის მდომნი, თავის მისანნი". ეს არის რეალობის სახე, შემოქმედი ადამიანისთვის სულიერი ტანჯვის მიზეზი, რაც აიძულებს მას მარტობას: - "არავინ მინდა, შევიხორცებ მარტო იარებს"... ეკონოთ, რომ "კარგია ყველა, ბესიკია მარტო ბოროტი".

საკუთარი სახელის ხსენება ხშირია ბესიკ ხარანაულის ლექსებში ("ღმერთს მე, აქ, ცოდვილი ვესაჭიროები", "ტარიელსა ავუჩირდი", "წიგნი ამბა ბესარიონისა" და სხვ.). ("მეგდარი ბესიკი დამიტირეთ, დამფალთ სამარეს" - უხედებოდა ბესიკ გაბაშვილს თავის ხსენება... ბოლო წლების ქართულ პოეზიაში არც ისე იშვიათია სევდიანთა და უსევდოთა ნოსტალგია სევდის ბალის პოეტზე).

არა ალგორითული, არამედ პირდაპირი მნიშვნელობით, გაზაფხულის გრძობითაა შექმნილი ლექსი "გაზაფხულდა, საქართვე-

ლო!" სილამაზით და ბუნების წყალობით თავს უსაფუძვლოდ როდი იწონებს ქართველი კაცი. წლის ეს უმშვენიერესი დრო - გაზაფხული, საქართველოს გაზაფხული, ზამთრის სუსხით, ზამთრის ყინვით, ზამთრის ქარით ხელყოფილ სულს სიხარულის ელდით ეცემა, თვალის ტკბება, სმენაც ტკბება, "მოთმინება ამაღ ღირდაო", - ათქმევინებს პოეტს. რის მოთმინებაზეა მინიშნება? თუმცა, რალა მინიშნება, დანარჩენს მოვუსმინოთ, ხელისგულზეა მიზეზი.

ზოგმა გკლა და
 ზოგმა გძარცვა,
 ზოგმა გსვა და
 ზოგმა გლიტა,
 მაგრამ ღმერთმა არ გაგწირა
 და სატანჯველს გამოგრიდა...
 ღირდა მოთმინება ამაღ,
 მოთმინება ამაღ ღირდა.
 ნაზამთრალი - პირდაპირი და არაპირდაპირი მნიშვნელობით, ქარ-ყინვა გამოვლილი ადამიანის გულწრფელი სიხარულია პოეტის სიხარული, გადამდები, თანამოზიარეობას რომ



განატრებინებს. იმდენი კარგი ლექსი დაწერილა გაზაფხულზე, ბუნების სილამაზზე, სახიფათოც კია პოეტისთვის, ბანალურობის შიშით, ეს თემა; მაგრამ ბესიკ ხარანაულის ამ ლექსში, და საერთოდ მის პოეზიაში, ბუნება სასწაულობს. ერთ კონკრეტულ ნიმუშზე რომ ვსაუბრობთ, სინქრონულად გაიფიქრებენ განვლილი გაზაფხულები, პოეტს რომ ათქმევინებს - "იყო გაზაფხული?" ან: "ვინ უღებს კარს გაზაფხულს?... და სხვა მრავალი...

ასლანდელი, სამშობლოს სულიერი და ხორციელი კათარზისის შემდგომი გაზაფხული, უფრო წარმოსახვითი, პერსპექტივაში არსებული, იმ იმედით გამშვენიერებული ჟამია, როცა "მიწაც გაქვს და წყალიც გაქვს და ეზოც გაქვს და სახლიც გიდგას, იხარებ და იძლიერებ ზეაღმდგარი სახმილიდან... გაზაფხულდა, საქართველო, კვლავ ჯეჯილი აგიმალდა, ცას ფრინველი შეესია, ყვავილობა არის ხილთა... ღირდა მოთმინება ამაღ, მოთმინება ამაღ ღირდა!..."

კაცი იმედით ცოცხლობს, მით უმეტეს პოეტი, მამულიშვილი. "საქართველოს მომავალს ველოდები" - ირონიზებული ინტონაცია მუხამბაზის ფორმით, დრამატული მუსტიით, საქართველოს უკეთესი მომავლის მოლოდინით, "არა მდურვით, ეჭვითა და გოდებით, სიყვარულით, ზეიმით ცოტ-ცოტებით... ღმერთით, ხატით, მიწის ყველა ხნულითა, ჩანგითა და ლექსით ჩამოსხმულითა, იმედითა, ლოცვითა გაბმულითა, საქართველოს მომავალს ველოდები"... მაგრამ ჯერ მხოლოდ მოლოდინის სტადიაში ჩანს ქვეყანაც, პოეტიც და მკითხველის განწყობაც, ჩანს იცის, რომ ჯერ ღიმილის დრო არ დაამდგარა:

და თუ მოკვდები, ასე, გაუღიმარი,
 არ იკითხოთ - უბედური ვინ არი,
 მე ვარ, ძმანო, მე მანყვია ლოდები,
 საქართველოს მომავალს ველოდები.
 არც სამშობლოს თემის აქტუალიზება და არც კონვენციურ ლექსთან ინტერტექსტუალური გადაძახილი შემთხვევითი არაა ბესიკ ხარანაულის ლირიკისათვის. კვლავ გავისხენოთ მისი ნათქვამი - მეცხრამეტე საუკუნის პოეტებში გადავსახლდით. ეს გადასახლება კიდევ ერთხელ გავგახსენა ნაცნობმა ინტონაციამ. სამშობლოს ხატმა სავალობელივით ნათქვამი მოიხდინა, სიტბოს რომ გამოსცემს... რიტმული,

კეთილშობიანი, რითმებით განწყობილი. ენობრივი მასალა საგანგებოდ დარჩეული, უფრო კი - პოეტური ინტუიციით თავმოყრილი. განსაკუთრებით: "ნანა, საქართველოს მიწაზე", "საქართველოს მომავალს ველოდები", "გაზაფხულდა, საქართველო" და ა.შ.

კიდევ ერთი სახშილი საქართველოს გამო - ლექსში "შენია სული საქართველოსი" - იმათი უღირსობით გამოწვეული, "რომელნი სძიძგინდნენ მგლებივით მის ხორცებს და აღმასი ფვანტებოდათ", სვამდნენ, ჭამდნენ, "რომელმან მამა ვერ ცნო, რომელმან - შვილი", შედეგად - "წყალი არ გაიცრა, მიწა არ ამოშრა, მარილმა ოქროს არ მისცა ადგილი"... კოსმიური კატასტროფა... და შემდეგ წარღვნის შემდგომი ნათელი ბიბლიურ შესაქმეს სურათს გვიხატავს... ხანგრძლივი, შენელებული რიტმით დაწერილი, ამასთან - მკვეთრი ფრაზები ზარის რეკვასავით ჟღერადობას გამოსცემს:

გადმოიხედა ღმერთმა და მიხილა

ლაბაზი,

რადგანაც ვტკბებოდი ჩემი მიწა-წყლით, უდარდელი სტვენით ნახირს მივდენიდი, ამოწყავდა ციხის დაშლილი კედლები, მთელი ოქრო ტაძრის გუმბათს შევადებე, ერთი ოქროთი გოგოს უყვიდე ყვავილი, მუხის დედა-ბოძით ჭერი გავამაგრე, კედელზე დავკიდე წინაპრის სურათი... მომწონა ქვეყანა და საქმენი ჩემი და გულით ვუზრახე წარსულს

დაბრუნება,

რომ უცებ ზეციდან ხმა ჩამომესმა.

და კვლავ ყოფითი სიდუხჭირე, ზეციური ხილვებიდან დაშვება, ცოდვილი სხეულის სიმძიმის შეგრძნება, მდუღარე ცრემლები და დაკარგული დროის ბრწყინვალე სახე - "ყამთუქმობის ქნარი - ქნარი ობობისა" სახლის ჭერზე. კვლავ წარღვნის ილუზია, არცთუ უსაგნო. წვიმა და ღვართაფი, რომელმაც იმდენ ხანს იდინა, "ვიდრე არ გარეცხა მიწა ცოდვებისაგან". ადამიანი, ამ შემთხვევაში პოეტი, მაინც მარტოა, ჩაკარგული ამ ქაოსში, უადგილო წვიმისაგან დამძიმებული ფრთებით (წვიმის ალევორია - ცხოვრებისეული ქარიშხალი, ქარწვიმა).

სიკვდილი მომინდა და ღმერთს

შევლაღადე...

და უცებ შეირხა კვლავ ზეცის ჰაერი

და ხმა ჩამომესმა, საკუთრივ ღმერთისა, ვითარმედ: შენია სული საქართველოსი...

"შენია სული საქართველოსი" - შინაგანი ხმა, ხმა ღვთისა, თითქოს ამოსუნთქვის საშუალებას აძლევს პოეტს, რომ იპოვოს გამართლება თავისი გაფანტული არსებობისათვის. მაგრამ ტკივილები ძლიერია, სამყარო უპასუხო კითხვების უკიდვანო სივრცედ ქცეულა, სადაც ისევ "სხვა გიჟად და სხვა ღოთად და სხვა უბედურებად" გაქცევს ცხოვრება ("დაინახე სხვად, ვინც შენია"), სადაც ცოდვა-მადლის ენაზე ღმერთს უნდა შეეტკვილო კითხვით - "სად არიან შვილები, შვილები სად არიან"... ამ ლექსის სათაურშივე იგრძნობა ჩვენი თანამედროვეობის, სულ ახლო წარსულის სიმწარე, უკვალოდ, უღირსად ჩავლილი სიცოცხლის ფერფლი, სიკვდილი ყველგან - ძმათამკვლელ ომში, ქუჩაში... სიკვდილი სახელიანი და უსახელო. მაინც ყველა შენი სისხლის და ხორცის ნაწილი. ლექსი რითმიანია, მთავარი სიტყვა "ქარია", ქარის დინამიკა მთელ ტექსტში იგრძნობა როგორც მნიშვნელობების, ისე ეფფონიის დონეზე:

სად არიან შვილები, შვილები სად არიან, გავალ, გავიხედები, არ არიან, ქარია, სად არიან შვილები, მე რომ მოგაბარეა, გავალ, ავეძრახები, არ არიან, ქარია, საქართველო აქროლდა, ვით

ფოთლების ქარია,

სად არიან შვილები, ქარია, არ არიან.

ეს ლექსი პოეტური დატირების ან უბრალოდ - ადამიანური დატირების ტექსტია, რომლის ტრაგიკულ პათოსს აძლიერებს ის ფაქტი, რომ პოეტი - დამტირებელი მამაკაცია. მამაკაცის გოდება კი იშვიათია და ამიტომაც უფრო სულის შემძვრელი (თუნდაც, სვანური ზარი).

რა როლი აქვს ყოფითი პრობლემებით სულშეძრულ შემოქმედ ადამიანს, რა შეუძლია მას იმისთვის, რომ მკვდარს არ ემსგავსოს? როგორც სამყაროს ნაწილი, იგი კვლავ და კვლავ წვალობს, უტრიალებს წუთისოფლის უთავბოლო გზას, რომ ერთხელ მაინც ეწიოს ბედნიერებას და მიმართოს თავის ორეულს: "ბედნიერი ხარ და გაჰყვირი შენს თავს სივრცეში, რომელმაც გზა გიტია და ლტოლვას შენსას დერეფანი ფართოდ გაუღო". დერეფანი პოეტური წარმოსახვების სივრცეა,

რომელიც მხოლოდ ბედნიერი შემთხვევის წყალობით გაიხსნება. ეს პოეტის ადრინდელი ტექსტია - ოცნების ფართოდ გახსნილი დერეფნის მეტაფორით.

ახალ კრებულში "დერეფანი" ჰქვია ერთ-ერთ ლექსს, სადაც დერეფანი სახეთა ორ ურთიერთსაპირისპირო რიგს ქმნის. ერთია: ძველისძველი სასახლის დერეფანი, სადაც დამოძღვრილი შემოდოდა ადამიანი და ირგვლივ ყველაფერი მყარი იყო; მეორე: დერეფანი - რომელიც შემდეგ გასროლის ხმამ შეაზანზარა, საიდანაც ამიერიდან "გაჰქონდათ და გამოჰქონდათ", სადაც ყველაფერს ატყავებდნენ, საიდანაც "ნაშოვნნი და ნაქურდალი გაიზიდებოდა" ... სადაც ორივე კარი ღია იყო და სანთელს გიქრობდა. მეორე შემთხვევაში დერეფანი, როგორც სამშობლოს მიწის მეტაფორა, დაცლილია ისტორიული, პოეტური გაგებისაგან და უფრო პოლიტიკური სივრცის მეტაფორაა. საქართველოს მომავალი ამ მეორე გაგებასთან ასოცირდება:

თან ნაიღებს ჩვენს მონასტრებს და
ჩვენს ციხეებს,
ჩვენს წყალს და მიწას, ჩვენს ენა და
ჩვენს საბადებელს.
გაიყიდება ყველაფერი, მთები გაგაკდება,
ქალი გაქსუვდება, კაცი გამთხლევედა
და ორ ზღვას შუა დარჩება დიდი

დერეფანი,

სადაც მუდამ იქნება ორნაირი ქარი...

სადაც ჩვენი სანთელი ჩაქრება.

სანთელთან იდენტიფიცირებულია ეროვნული სული, ეროვნული ღირსება. ეს ლექსი საქართველოს თემის ლირიკული რეზიუმეა.

"დედა" და "საქართველო" - ორი სახე-ხატი, რომელიც თვალშისაცემია ამ კრებულში. მათ ერთი საერთო მიზეზი აქვთ - მთხრობელის გაუთავებელი ტანჯვა მომრავლებული ყორნებისაგან და ნაცემ-ნაგვემი სულის შეხშიანება ყველაზე ახლობლთან: "სამხვეწროდ მოველ შენს კარზე, ერთ სიტყვას გაგებედავო" ... ან: "როცა რომ გამიჭირდება, მახვილს შენს სულზე ვლესაო" - აქ ჩანს მიზანი სამხვეწროდ მისვლისა. დედის სული ამ შემთხვევაში გაუტყენლობის, სიმყარის, სიძლიერის, იმედის სიმბოლოა.

დედას, როგორც უკანასკნელ იმედს, დედის ნიალიდან გამოყოლილი ინსტიქტი მიმართავს ხოლმე შეჭირვების ყამს ადამიანი. სასიკვდი-

ლო ამონაკენსეით მწარეა და ვედრებიანი დედისადმი სათქმელი ეს ლექსიც:

შენ, შევარდენო დედაო,
მარცვლისოდენა დედაო,
ამოანგრეე ეგ მიწა,
რომ დაგნოლია ზედაო,
ნამოიმართე ფაშ-ფრაშით
ცა იძრას ხმაურზედაო,
მხარი მიჭირე მარტოსა,
აკი მუდამა მსუდავო!

თხოვნაში, "მხარი მიჭირე მარტოსა", იკვეთება დედის აზრდილის წმინდა ვალი, ჯერ კიდევ წუთისოფელში მონრიალე შეილის წინაშე.

ფიქრი, სამყაროს მიდევნებული გონების მზერა უფრო და უფრო გრძნობადს ხდის ადამიანის მარტოობას და უმწეობას გარემოცველ უსასრულობაში. შემზარავად შთამბეჭდავია სამყაროს მარტოობის წარმოსახვა ადამიანური მარტოობის ფონზე და, ალბათ, გაგვიჭირდება იმის თქმა, რომელია უფრო შემადრწუნებელი: ვიზუალურად თვალშეუდგამი, ცივი კოსმოსი თუ "სთვლის ღამე", როცა "მარტო არის ცა-სინათლით და ხე-ფოთლებით, როცა მარტოა კატაც და კაციც" ("კატა ფანჯრებს იქით"). მარტოობის განცდა ბადებს იმის შეგრძნებას, რომ არაეისტის არ ხარ სასურველი, რომ ტყუილად გაგაჩინეს, ტყუილად კვდება, რომ ცხოვრება ნელი სიკვდილია, "ნელი სიკვდილი შინა და გარეთ" ("ვარდი ტყუილით"). ყოფიერების ამგვარი ლოგიკით გააზრებას კიდევ უფრო მეტად შეჰყავს უსასრულობის სიღრმეში პოეტიც და მკითხველიც.

ცხოვრება, ჩემო საყვარელო,

ამის გამო არის მალამო,

აბა, ნამით წარმოიდგინე,

იმის მიღმა რა სიბნელეა,

ვიდრე სიცოცხლე დაინწყება,

მანამდე რა სიბნელეა და რა ყინული.

მე დედას კი არ მოგახსენებ,

დედის ზღურბლიდან

სინამდვილე იწყება მხოლოდ.

...

ხოლო შემდეგ მალამო იწყება,

მალამო ცხოვრება.

"მალამო ცხოვრება" - ირონია რეალობაზე, რადგან მას შემდეგ, რაც "მალამო ცხოვრება" იწყება, საგანსაც და ადამიანსაც საკუთარი სი-

ნამდვილე ჰკლავს.

განგება, ბედისწერა, ღმერთი - ბესიკ ხარა-ნაულის პოეზიისთვის არასოდეს ყოფილა უცხო, თუნდაც პირველი ლექსებიდან - "რაჭომ დამივიწყე მე, მარიამ"... მაგრამ ახალ კრებულში, ცხოვრების დღეთა ქრონიკებს მიდევნებუ-ლი შინაგანი ხილვებით ჩნდებიან ახალი სახე-ლები, იკვეთება ახალი ლირიკულ-ფილოსოფი-ური დასკვნები იმ მარადიულ პრობლემებზე, რომლებიც თან სდევს ადამიანის ყოფას. ასე-თია თუნდაც ბედისწერის განცდა ბესიკ ხარა-ნაულისათვის.

ბავშვობაში, ალბათ, ბავშვობაში,
კაცობრიობის ბავშვობაში,

ჩემს ბავშვობაში,

ადამიანში შედის ბედი, რომელიც

შემდეგ

სიკვდილამდის უნდა ატაროს.

რამდენად ჭეშმარიტებაა და რა ტრაგიზმის სიმძიმე ახლავს ბედის ამ დავანებას ადამიან-ში!.. და მაინც - ბედისწერის აღსრულებამდე არსებობს ცდის საშუალება: ცხადისთვის აკრ-ძალული, "სიზმრებით უნდა ინახულო, სიზმრე-ბით ისაგნო". მხოლოდ ასე თუ აიკლდენს ადამიანი "ცათა და კაცთა სასჯელს". ცხადში ის ცოდვილი რჩება, "რადგან მიწაზე არა ხარობს ის, რაც სრულია, მიწაზე ხარობს, რაც ცოდ-ვისთვის განწირულია" - მიწაზეა ცოდვილის ადგილი.

ამიტომ გეტყვი,

შენ ისმინე ჩემი ღალადი,

მე ვარ ბესიკ ხარანაული,

და სხვა არაფერზე არ მიზრუნია,

ვინც დავამარცხე, მხოლოდ ქალაქლები!
("ღმერთს მე, აქ, ცოდვილი ვესაჭიროები").

საყვარელი საქმე, ქალაქის ფურცლებთან ბრძოლა, რომელსაც "ტექსტების შედგენას" უწოდებს პოეტი, ყველაფერს შეიწირავს ისე, რომ მას "ღმერთისთვის დრო აღარ რჩება".

თურმე ღმერთი რომ გიყვარდეს,

უფრო სწორად, რომ შეიგრძნო და

შეიყვარო,

განუწყვეტილ მასთან ყოფნა არის

საჭირო.

("უსინდისობაა, როცა სანთელი უაზროდ იწვის").

მისთვის, როგორც ადამიანისთვის, არ არსე-ბობს ცხოვრება უნაღვლოდ. თვით ზეიმის წა-

მებშიც კი "რალაცა კვდება" ("რალაცა კვდება და იხრწნება ამ ზეიმშიაც"). გაზაფხულის სურ-ნელით ავსებული ბალი ამ ლექსში მინიერი ცხოვრების მეტაფორაა, ალბათ მარტოსული-სათვის, რომლის განწყობას ბუნების მოზიემე ფონიც ვერ აღაფრთოვანებს, რადგანაც სი-ცოცხლის თანშელები სიკვდილი განმსჭვალავს ყოველთვის: "სადღაცა მყოფი, ცის ჭავლში თუ მიწის გორბოში, რალაც კვდებოდა უმცირესში, უარსებოში"...

სიდუხჭირეში - გაუსაძლის სივრცეში, მშვე-ნიერების, სიკეთის მონატრებაა იესოს ლანდი, ნამიერად გაუღვებული მაცხოვრის სახე და ამ ხილვით, ალბათ, ეჭვი და იმედი, მოლოდინი და - გაოცება მსჭვალავს პოეტის სიტყვას:

საქართველოში, თბილისში, დღეს,

ახლა, ამ ნამიერსო,

უბედურება რომ კონავეს, ყველას,

მაძლარს თუ მშვიერსო,

საქართველოში, თბილისში, დღეს,

ახლა, ამ ნამიერსო,

რალაცა სახე დავლანდე, ვამსგავსე

მე შენსმიერსო,

და

სუნთქვამ ამიყოლია, ნუთუ შენ აქ ხარ,
იესო.

("... საქართველოში, თბილისში").

-ეს უკვე "გადასახლება" XVIII საუკუნეში, გურამიშვილის ინტერტექსტუალურ სივრცეში - "დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!.."

საქართველო, თბილისი - სულიერი და ხორ-ციელი გვემის კოორდინატად ქცეულა, სადაც ისეთი რიხით დადიან მავანნი, რომ "თუ თავი ემშვენიერათ, არ დაგტოვებენ შენთვის, მშვიერ-საც"... ("მე ლუკმასაც კი დავეკითხები"). ნოს-ტალგია, რალაც თბილის და ტკბილის მონატ-რება შემოდის უკიდურესი სულიერი წრიალის ჟამს. გახსენების და მოგონების ნიჭი ამოატიფ-ტივებს ძველისძველ, კოხტა ქართულ სახლს, პაპისეულს. წარმოსახვაში ქრიალებს კერის ცეცხლი, სითბო იღვრება, მაგრამ ეს სიზმარე-ულს უფრო ჰგავს, სადაც მკაცრი რეალობა და იმედგაცრუება შეიჭრება უნებლიედ:

ერთი დედაჩემს უნდა ვკითხო! -

გავიფიქრებ,

ამასაც თუ ფიქრი ჰქვია, -

რადგან უცებ მახსენდება, დედაჩემი

რომ აღარ არის.

(“ცეცხლის დანთება თიანეთში”).

ბესიკ ხარანაულის პოეზიაში ნატურა, მშობლიური სანახები, განსაკუთრებული გრძნობით და მოწინებით აღიქმება, ერთგვარად საკრალურიც კია იგი, ძალზე მახლობელი, დიდი გზის პირველი ნაფხურებით, პირველი სევდით აღბეჭდილი - ძვირფასი სლოგანის მატარებელი ფაქტები. ამ ტექსტში პოეტური იმპულსი შორს მიდის, აქ “ადგილის დედის” გეოგრაფია დიდი სამყაროს ეპიცენტრია, აქედან იწყება პოეტის მეტა-სამყაროები, განსხვავებული ბილიკებით, განფენილობით, ხედვით, აღქმით და განცდით.

ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი ბესიკ ხარანაულის ლირიკაში, “მკვდრების სიმღერა”, თითქოს დახვავებული ტკივილების დაღწევილი ნაწილებია, კოშმარი - ამ ყოფიდან არყოფნისაკენ.


როცა ყველა ეს კოშმარი არყოფნაში
გადაინაცვლებს,
როცა გაყვავილდება ცხოვრება და
ჩვენ აღარ ვიქნებით,
გახსოვდეთ, რომ ყველაფერი
ნამდვილად იყო!

თვითირონია და მძიმე აღსარება, როგორც პოეტური საშუალება ცხოვრებისეული სიმწრის გასაიოლებლად, აქ ნაკლებქარაგმულია, ვიდრე ადრინდელ ტექსტებში. მაგრამ ვერანაირი აღსარება ვერ უძლებს პირობითობას და განუწყვეტელი უბრუნდება თავდაპირველ არსს. გახსნილია, ხელისგულზე დევს ფაქტი და ყოველი ნახნაგი ხილულია, გრძნობადია. ესეც კანონზომიერი შედეგია იმისა, რაც ვერ განიკურნა, ვერ ამოითქვა, რასაც ვერ ეშველა ქარაგმებით, მინიშნებებით, კითხვის ნიშნებით, პუნქტირებით... სამყაროც თითქოს უფრო გაუდაბურდა, სადაც ხალხმა მარტო პირფერისნერა ისწავლა ქრისტესაგან, სხვა ყველაფერი, რაც ძნელია, მას შეატოვეს “... სადაც ადამიანი ფასობს ცდუნებით”, სადაც “საბოლოოდ დარწმუნებულები მიწაში წვანან”.

ბესიკ ხარანაული - 1992-2002 წლის ლექსებით კვლავ ისაა, ვინც ამ ორმოცი წლის წინ წარუდგა რევერანსის გარეშე ქართული პოეზიის სამყაროს, იმ ნაცნობი ადამიანური განცდებითა და გრძნობებით, ფიქრებით. ოღონდაც უფრო ღრმაა და ძლიერი ყოველივე. ხილული სამყარო კიდევ უფრო ხილულია, ზოგ-

ჯერ შემზარავად გამჭვირვალე. წარმოსახვითაც - დამძიმებული ამქვეყნიური, განუშორებელი იარებით. ოსტატობითაც სხვა საფეხურზეა აყვანილი, მაღალი პოეზიის ახალ სიმაღლეზე.


არაფერს ისე, როგორც პოეზიაში გაცხადებულ სიტყვას, არ შეუძლია სულის საღებობა (თუ ამ “სულს” დასანახად არ ეჯავრება ლექსი)... და თუკი ბესიკ ხარანაულის მკითხველი თუ მსჯავრმდებელი, როგორც თავად უწოდებს - წიგნის დახურვის შემდეგ თანაზიარი იქნება ფიქრისა - ამას ჩვენც განვიცდიდით, “ასე ვიცხოვრეთ ჩვენ საქართველოში, გახსოვდეთ, რომ ყველაფერი ასე იყო”, - პოეტს შეუძლია თქვას, რომ მის “ტანჯვის ხელოვნებას” ამოოდ არ ჩაუვლია.



პრობლემა

განტვირთვა კლასიკასთან მიახლოებით

ბოლო ხანებში რამდენჯერმე მომიხდა ახალი თაობის პოეტთა შემოქმედებაზე კრიტიკული წერილების დაწერა და ყოველთვის მომიწია იმის აღნიშვნა, რომ მიჭირს სრულყოფილი, ადეკვატური აღქმა ამ პროდუქციისა: რალაც არის მასში ისეთი, რასთანაც არა მხოლოდ აზრობრივი, არამედ ემოციური კონტაქტიც გვარიანად მიძნელდება. რაშია საქმე? იქნებ ეს პროდუქცია, უბრალოდ, ვერ არის სათანადო ხარისხისა? ხშირ შემთხვევაში ალბათ ასეცაა, მაგრამ ამ აზრის მეტისმეტად შეჩვევამ იქნებ რალაც ღირებულის დანახვაში შემიშალოს ხელი, როგორც ეს კონსერვატიულად განწყობილთ ემართებათ. ერთხელ კიდეც მითხრეს - ვერლიბრს კლასიკური რითმიანი ლექსი გირჩევნიაო; ეს ნაწილობრივ სწორიცაა - ქართულ ვერლიბრს ჯერჯერობით მართლაც მირჩევნია ქართული რითმიანი ლექსი, რაკი ვერლიბრის რუსთაველები და გალაკტიონები, ვფიქრობ, ჯერ ჩვენში არ გამოჩენილან; მაგრამ უცხოური ვერლიბრი - ვთქვათ, უიტიმენისა, ელიოტისა, თრაკლისა და ა.შ. - ისევე მაღალ პოეზიად მესახება (თუმც კი თარგმანებით ვიცნობ), როგორც რუსთაველისა და გალაკტიონის რითმიანი ლექსი; ასე რომ, თავისთავად, ვერლიბრის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, თვითონაც ბევრჯერ მიმიმართავს ამ ფორმისთვის, როგორც პრაქტიკოს ლექსის მწერალს და შედეგით უკმაყოფილო არ დავრჩენილვარ.



ფორმას საღალბო მიახლოებოდა ხოლმე. აგერ ახლახან კი მისი ლექსების ორ ციკლს "ი.ა." და "Memento" გაეცვანი, რომლებიც მთლიანად რითმიანი ლექსებისაგან შედგება ("ი.ა." დაიბეჭდა "ჩვენს მწერლობაში" და "არილში", "Memento" "24 საათში". რამდენიმე ლექსი კი ჯერჯერობით არ დაბეჭდილა ამ ციკლებიდან).

რაც შეეხება ზოგადად ქართულ ვერლიბრს, მნიშვნელოვანი (თუნდაც დიდმნიშვნელოვანი) მიღწევები აქაც საკმაოდ მეგულება; და მაინც, მიუხედავად ამისა, მახსენდება, 70-იანი წლების ვერლიბრისტთა წიგნებში როგორ გაფაცვიცვებით ვეჭებდი კანტიკუნტად გამოჩეულ რითმიან ლექსებს, რომლებიც ვერლიბრის ხშირ ტყეზუჩქარში ჟამიდან ჟამზე ნითლად ამობრიალელულ ნიყეებივით შემომეფეთებოდნენ და რალაც განსაკუთრებული, იშვიათი ხილის ეფექტი ახლდათ.

როგორც ეს სათაურებიც მიგვანიშნებენ, პირველი ციკლი გალაკტიონთანაა დაკავშირებული, მეორე კი - ტერენტი გრანელთან. "ი.ა." გალაკტიონის ცნობილი ლექსის სათაურია ("ქალაქში, მტვერში ნაიქცა ბავშვი") და ამავე დროს შოთა იათაშვილის გვარის პირველი ორი ასოც, ყველაზე ნაზი და პოეტური ყვავილის სახელწოდებასაც რომ აღნიშნავს იმავედროულად: "იათაშვილი", ანუ "იების შვილი" - ეგზომ პოეტური გვარის მქონე პოეტს, რა გასაკვირია, რომ ხანდახან მართლაც მოესურვოს "ამოვარდეს" ამ საშინლად არაპოეტური თანადროულობის მომქანცველი, ნევროზული, არეული რიტმიდან (თუ არითმიიდან), რომელიც დღევანდელ ქართულ პოეზიაში ჩვეულებრივ ვერლიბრის ფორმით აირეკლება თუ გამოისახება. ასეა უკვე დაკანონებული - თუ ჩემს წინა თაობას (70-იანელებს) ვერლიბრით წერა ნოვატორობად ეთვლებოდა, ჩემი მომდევნო თაობისათვის (90-იანელებისათვის) ეს

მსგავსი განცდა შოთა იათაშვილის პოეტური კრებულების კითხვის დროსაც გამიჩნდა. ამ კრებულებში იშვიათად გამოჩეული კონვენციური ლექსები, განსაკუთრებით სონეტები, იმგვარ შთაბეჭდილებას მიქმნიდნენ, რომ პოეტი თითქოს დროდადრო ისვენებდა "ვერლიბრის ტვირთის ზიდვისაგან" და კლასიკურ

ფორმა უკვე საკმაოდ მყარი ტრადიციაა; და თუმცა შოთა იათაშვილი ერთ თავის შედარებით ადრინდელ ლექსში ამრეზილ დამოკიდებულებას ამჟღავნებს რითმიანი, კონვენციური ლექსის მიმართ, ეს ამრევილობა კლასიკური პოეზიის ეპიგონთა მიმართ გამოვლენილ რეაქციად უნდა მივიჩნიოთ და არა რუსთაველურ-გალაკტიონური ტრადიციისადმი ნიჰილისტურ დამოკიდებულებად. პირიქით, ამ ტრადიციისადმი ნოსტალგია ჩანს სწორედ ამ ორ ციკლში, რომლებიც საგანგებოდაა ასოცირებული რითმიანი ლექსის დიდოსტატებთან - გალაკტიონთან და ტერენტი გრანელთან.

კლასიკურ ფორმებთან და განწყობილებებთან ამგვარი სახალხოო შეთანამშობა, რასაკვირველია, თავისებური კონცეპტუალურობის პრეტენზიასაც გულისხმობს და სტილიზაციასთან ერთად პაროდიულობის მომენტიც საკმაოდ თვალსაჩინოა. დავაკვირდეთ თვით მეორე ციკლის სათაურს "Memento", რომელიც, რა თქმა უნდა, მეყვსეულად გვახსენებს ტერენტი გრანელის ცნობილი წიგნის და პირველად ამ წიგნში შესული ერთ-ერთი ლექსის სათაურს "Memento mori". ტერენტი გრანელმა ეს ცნობილი ლათინური გამოთქმა (რომლის ქართული თარგმანია "გახსოვდეთ სიკვდილი") გარკვეული კონცეფციის გამოსახატავად გამოიყენა, როგორც "სიკვდილის მომღერალმა"; ოთარ ჭილაძემ თავისი ლექსების ერთ კრებულს "გახსოვდეთ სიკვდილს" დაარქვა და ეს, ცხადია, ტ. გრანელის კონცეფციასთან პოლიმიკურ გადახილად, პოლარულად საპირისპირო პოზიციაზე დგომად აღიქმება. შოთა იათაშვილი კი ამ ლათინური ფრაზის შუაზე განწყვეტით ორივე წინამორბედისაგან განსხვავებულ კონცეფციას გეთავაზობს: "Memento", ანუ "გახსოვდეთ", მაგრამ კერძოდ რა უნდა გვახსოვდეს? ალბათ სიკვდილიც (თავისთავად ცხადია), მაგრამ არა მხოლოდ და აუცილებლად ის; ასევე, ალბათ, სიცოცხლეც (ესეც თავისთავად), ან, თუ გნებავთ, პოეზიაც, და ამ შემთხვევაში პირველ ყოვლისა გრანელის პოეზია... როგორც ვხედავთ, კონცეფცია საგანგებოდ "მარგინალურია", სიმკვეთრესა და კატეგორიულობას მოკლებული: აქ მისი უდიდებულესობა "თამაშის ესთეტიკა" გამოდის ასპარეზზე: ამის ნათელსაყოფად სახელდახელოდ შეგვიძლია მოვიხმოთ სტროფი ამ ციკლის პირველიც ლექსიდან, რომელსაც სათაურადაც "ტერენტი გრანელი" აქვს და, რა თქმა უნდა, გრანელის მონოლოგად უნდა მიიჩნიოთ:

**"და თვეში ერთხელ, დეპოს ბოლოში
ლმერთი მადლვედა ცოტა ჯამაგირს,
მე ვსვამდი ღვინოს, ვამბობდი ლექსებს
და ყველა იყო იქ ჯანმაგარი".**

ამგვარ კონტექსტში "ლმერთის" ცნების ჩართვა ხომ თავისთავად ირონიულ-პაროდიული განწყობის შექმნას განაპირობებს, მაგრამ ამა-საც რომ თავი დაგანებოთ, თვით რითმაც "ჯამაგირს - ჯანმაგარი" საკმაო ირონიულ-პაროდიულ მუხტს შეიცავს: კლასიკური სალექსო ტექნიკის მაღალ დონეზე ფლობის დემონსტრირებას ბუნებრივად ერწყმის ამ ტექნიკისადმი "არასერიოზული", "ცულულტური" დამოკიდებულებაც; ლექსის ლირიკული გმირი, ტერენტი გრანელად გარდასახული, მიმოიხილავს პოეზიის მოყვარულთათვის ნაცნობ "გრანელურ არეალს" და ყოველივეს ერთგვარად დაღლილი პაროდისტის მზერის პრიზმაში გარდატეხს. საყოველთაოდ ცნობილი სახარებისეული სიუჟეტიც - იესოს მიერ ტაძრიდან ვაჭრების გამოყრა - პაროდირებულია იმით, რომ ტაძარი ბაზრით არის ჩანაცვლებული:

**"ნაზარეველი ვნახე ბაზარშიც,
დღეს იგი ჩანდა იქ ბობოქარი,
ააყირავა სუყველა დახლი,
გარეთ გარეკა ყველა ნოქარი".**

გალაკტიონური რემინისცენციები თუ ციტატა-პერიფრაზები აქტიურად ფიგურირებენ ლექსში "26 ნოემბერი": უშუალოდ გალაკტიონის "ნიკორწმინდიდან" ციტირებულ ფრაზას "კიდევ ფრთები გვინდა" მოსდევს "ფრთები, ფრთები, აღარ გვინდა ფრთები": ეს უკვე გალაკტიონურ ფორმაში "ანტიგალაკტიონური" სულისკვეთების შეტანაა. ხოლო ანგელოზის საკმაოდ ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივი როლი (ის ხან გვახსურავს თავის ფრთებს და ხან გადაგვცხდის, გარდა ამისა, წინდებსაც კი გვაცემს) ასოციაციურ კავშირშია გალაკტიონის არაერთ ლექსში ასევე ბუნდოვან თუ არაბუნდოვან კონტექსტში მოხსენიებულ ანგელოზებთან ("ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი", "ანგელოზები უედემონი ტიროდნენ გზათა მიუფალობას", "რომ ცისკარისკენ მაღალ ანგელოზს ესაფხუროს ლალის ტატნობი", "შენი სულის მიმღები ანგელოზი მწუნხარე", "და მწუნხარების მალე ნიაგში მოფრინდნენ ლურჯი ანგელოზები" და ა.შ.). ამ ციკლის სხვა ლექსებშიც ("ეს მათი პასტორალი", "ანგელოზთა დაღოცვით", "სამყაროს კოლეგა", "რათა დაამშ-

ვიდო“) არ განიცდიან ამ ზებუნებრივ არსებათა ნაკლებობას. თვით ღმერთიც კი აქ გაცილებით უცნაურ, აბსურდულ კონტექსტში გვევლინება, ვიდრე “Memento“-ა ციკლში: “მთვარეა დიდი ნოლი / ბულალტერიის ღმერთის“; ღმერთის მიერ ტერენტისთვის თვეში ერთხელ ჯამაგირის მიცემა დეპოს ბოლოში ასე თუ ისე მაინც გასაგები იყო, მაგრამ ლექსში “ეს მათი პასტორალი“ რა კავშირი აქვს ღმერთს ბულალტერიასთან, ჩემთვის გამოუცნობია: იქნებ, რაკი “ნოლია“ ნახსენები, “რიცხვთა ღვთაების“ შარჟულ ვარიანტს გვთავაზობს პოეტი? (არ ვიცი, წარმართულ პანთეონში რიცხვებსაც თუ ჰყავთ თავიანთი ღვთაება). ანგელოზები აქაც გალაკტიონური წარმომავლობისანი ჩანან: “ცაში ლესავენ ნოტებს ანგელოზები ლურჯი“ (აქ ასოციაციით გვახსენდება აგრეთვე გალაკტიონის “ჯვარზე გაკრული ელვა ეს ჩემი დაა ლურჯი“). ლექსში “ანგელოზთა დალოცვით“ ავტორის ყურადღების საგანია საფრენი აპარატი, ხოლო სათაურის სიტყვები ტექსტში მრავალგზის მეორდება და ტექსტშივე მას საფრენი აპარატის “რეფრენად“ აცხადებს ავტორი. დააკვირდით: “საფრენი - რეფრენი“; ლექსში “რათა დაამშვიდო“ რატომღაც ასოებს ასხვავებებს პოეტი - “ხავერდის“ ნაცვლად “ხავერდს“ წერს, “მშვიდის“ ნაცვლად “მშვიდს“, “ზეცას“ ნაცვლად “სეცას“ და ა.შ. რაღა გასაკვირია, რომ ამგვარ ლექსში ანგელოზი “ანღელოსად“ მოგვევლინოს...

“სილაჟვარდე, ანუ ვარდი სილაში“-ს ასოციაციით შოთა იათაშვილი წერს “სილაზე მე, ანუ სილაძაზე“-ს, ხოლო “სულის გადაქანება“, რასაკვირველია, გვახსენებს “და მთაწვევს მწუხარების ყელით გადაქანება“-ს, და აქ პარიზიც ილანდება თავისი “ბოდლერებით“, ხოლო ქობულეთში ზღვის პირას ნანახი “პარიზული ზონტიკი“ “ლეღუმით რომანტიკის“ განცდას აღუძრავს ავტორს (აღბათ ლეღუმის “ქალი და მამაკაცი“ იგულისხმება) და ქობულეთიც “ლუში“ ხდება. მთლიანობაში კი ფრაზა “ლურჯი გაშუქებით“ (სათაურდაც რომ არის გამოტანილი და ლექსის ბოლო სტრიქონიცაა) “ლეღუმთან“ და “ლუშთან“ ბგერწერულად ჰარმონიზებული იძლევა საერთო ტონალობას. თვით მოკლე სალექსო ზომებიც (შვიდ და ექვსმარცვლიანი შაირები) მალიბალ წარმოაჩენს კამერტონულ შეყდერებას გალაკტიონთან, კერძოდ, მის, ასე ვთქვათ, “პარიზულ ფანტომებთან“... შოთა იათაშვილი ამ ამბუქი, უსხეულო მუსიკის ტალღებს ნოსტალგიური, მოდლილად ამჩა-

ტებული განწყობილებით ეხმიანება; მთელი ეს პარიზული ნაკადი გალაკტიონის შემოქმედებაშიც ხომ არა უშუალოდ ცხოვრებისეული შთაბეჭდილებების, არამედ მნივნილოვანი გავლენების გადახარშვის, საკუთარი ხედვის პრიზმაში გატარების შედეგია. ამდენად, შოთა იათაშვილი გალაკტიონისეული “მეორადი გადაამუშავების“ ახალ, “მესამეულ გადაამუშავებასაც“ ახდენს, რაც ძალდაუტანებლად სინთეზირდება საკუთრივ შ. იათაშვილისეულ “მეორად გადაამუშავებებთან“: მაგალითად, “ლეღუმით რომანტიკა“ გალაკტიონური წარმომავლობის ვერ იქნება, რადგან კლოდ ლეღუმი დღევანდელი ხანის რეჟისორია და მისი ფილმით აღძრული პოეტური იმპულსი თვითონ შ. იათაშვილის უშუალო განცდის გამოხატულებაა.

სიტყვათა თამაში თუ ალიტერაციული ხმოვანებანი ამგვარ ექსპერიმენტებში დიდ გასაქანს პოულობს: “როდინდელი კაფე, ოგაუსტ როდენდელი“, “ოლეგი - სამყაროს კოლეგა“, “გულაგია - ულაგია ოლეგს“, “კაბის ქობა თეთრი - ბილეთები - ქობულეთები“, “გული აქარალალა ქალბატონმა ქმრის, ჩაიქროლებს კატარა, ნეტარებას ჰგერის“ (დააკვირდით ამ ბოლო მაგალითში ორიგინალური რითმის - “აქარალალა - კატარა“ - გარდა, რა მდიდარი ალიტერაციული ფონია შექმნილი ბგერებით - ქ, რ, ლ, ზ, ბ); სიტყვები, ზღვის ტალღებით ურთიერთმსგავსნი (ბგერების მეშვეობით) და ამავე დროს ურთიერთგანსხვავებულნიც - ერთმანეთს ელაშუენებან, ესლებიან, მსუბუქ რიტმში ჰარმონიულად ერთვებიან და იქმნება რაღაც ერთიანი, ზოგადი ტონალობა.

გამოტყვილად რომ ვთქვა, ამ ციკლებში ჩემთვის ბევრი რამ შეიძლება ბუნდოვანი იყოს აზრობრივად, მაგრამ ამ დანაკლისის კომპენსირება ხდება სწორედ იმგვარი ფორმისეული ტრიუკებით, რომლებსაც ზემოთ უკვე შევხვებ: ბევრი ვერაფერი გავუგე, მაგალითად, ლექსს “ციური ნაგაზი“, ვერ ჩავენვდი, კონკრეტულად “რის თქმა უნდოდა“ ამ ლექსით ავტორს, მაგრამ იგი შესრულებულია საინტერესო, თავშესაქცევ ფორმით, რომელიც გარკვეულ განწყობილებას, ესთეტიკურ განცდას მიქმნის. და თუმცა ამოუცნობ სფინქსად რჩება ჩემთვის ლექსის სათაურშივე მოხსენიებული “ციური ნაგაზი“, მაგრამ ჩემს თავს ვუპუნები, რა მოხდა, განა მე თვითონ ცოტა მიწერია მსგავსი ლექს-რეზუსები, უცნაური, ფანტომური სახეებით თუ პერსონაჟებით დასახლებული? რატომ ეწერებათ პოეტებს ამგ-

ვარი რამეები, არცთუ ადვილი ასახსნელია: ენის სტიქია თითქოს მბრუნავი მორევით ჩაგითრევს ჟამიდან ჟამზე და ყოვლად ალოგიკურ წარმოსახვებს თუ ხილვებს მიგაახლებს, რომელნიც მხატვრულ ტექსტში მოხვედრას ესწრაფვიან, სიტყვიერ სხეულში დაბადებას, მატერიალიზებას ითხოვენ. ნეტავი თუ აქვს რომელიმე კრიტიკოსს ან მკვლევარს ასხნილი, რას ნიშნავს ვალაკტიონის ტექსტებში ამგვარი ფრაზები: "ოკეანესთან დამეგობრება ზღვებმა დამარხეს" ან "როგორც პოეტის ნაზი თდევემა"? ეს სიტყვები "დამახეს" და "თდევემა" პირადად ჩემთვის სრულიად გაუგებარია. არც "გენია რიმანელის" მნიშვნელობა მესმის. მგონი "ვილანელის" ახსნა სადღაც წავიკითხე, მაგრამ უკვე აღარ მახსოვს, ალბათ არც ისე გასაგებად იყო ახსნილი; ცალკეულ სიტყვებს რომ თავი დავანებოთ, რას ნიშნავს, ვთქვათ, ამგვარი ვიზიონი - "მთიდან ჩამოღის ასრქა, ას-თითი, უფარებელი და უთმო ცხვარი"?

"ციურ ნაგაზში" არა მარტო საგნობრივი, არამედ წმინდად ენობრივი ანომალიებიც გვხვდება. მაგალითად ასეთი:

**"მოზრუნდა, კვლავ იგივე ირგვლივ,
მარტოჭიქა - შიგ ღვინო ლივლივს".**

ჯერ ერთი, "იგივე" მსაზღვრელია და აკლია საზღვრული - "იგივე" რა? შემდეგ უცნაური კომპოზიტი "მარტოჭიქა" (ლექსში მანამდე ერთხელ უკვე მოხსენიებული) და ბოლოს ყოველგვარ გრამატიკულ ნორმას აცდენილი - "შიგ ღვინო ლივლივს": რომ იყოს "ლივლივებს", "ლივლივს იწყებს", "ლივლივს განაგრძობს" თუ რაღაც ამდგვარი, გრამატიკული ნორმა დაცული იქნებოდა. არადა, თუ რაიმე არის აზრობრივად გასაგები ამ ლექსში, ერთი სწორედ ეს გრამატიკულად აბსურდული ფრაზაა: ერთადერთ ჭიქაში ასხია ღვინო და ლივლივებს - მორჩა და გათავდა! მაგრამ ფორმის ანომალიურობა აძლიერებს გაურკვეველ, უცნაურ განწყობილებას, რომელიც შინაარსობრივი ბუნდოვანების თუ სულაც აბსურდულობის შედეგია. ჩანს, სწორედ ეს განწყობილებაა მთავარი ამ ლექსში: რაღაც ხდება კაცის თავს, რომელიც მარტომდარტო თავის ბინაში; ძნელი სათქმელია, კერძოდ რა სჭირს, მაგრამ განწყობილება დეპრესიულია, ლამის საგანგაშოც კი, ადამიანი თითქოს საკუთარი არაცნობიერის შემამშფოთებელი გამომზეურების მომსწრე ხდება, ან იქნებ ეს რაღაც ავისმომასწავებელი ნათელხილაა? ოოჰია, როგორც ამ ციკლის ლექ-

სთა უმეტესობაში, აქაც იგრძნობა თამამისეულობა, არა უშუალოდ ტრაგიკში, არამედ უფრო ტრაგიკომიკურობა; შემდეგ კი კვლავ ამ ციკლის "გაშინაურებული" ბინადარი - ანგელოზი ჩაერთვება მოქმედებაში, მისი დახმარებით ლექსის გმირს ცრემლის ღვარი წასკდება და ალბათ ეს ცრემლი შვების მომგვრელია, რაკი წვება და იძინებს დამშვიდებული. ტახტზე კი "ციური ნაგაზია" მიბმული, რომელიც ალბათ თავი და თავი მიზეზი გახლდათ მისი ამ სულიერი გრადაციებისა...

მინც რა სულიერია ეს "ციური ნაგაზი"? თავიდანვე მოგახსენეთ, ამ ლექსს ბევრი ვერაფერი გავუფე და "ციური ნაგაზი" ჩემთვის ამოუცნობ სფინქსად რჩება-მეთქი (და ეს მართლაც ასეა), მაგრამ ეს კია, რომ წერის პროცესში ჩემმა მეხსიერებამ თანდათან ამოატივტივა სამი მსგავსი ვიზიონი სამი სხვადასხვა პოეტის შემოქმედებიდან; ეს პოეტები ლიტერატურული საზოგადოებისთვის თითქმის სრულიად უცნობნი არიან და მე ამთავითვე გამოვრიცხავ, რომ შოთა იათაშვილს რომელიმე მათგანის გავლენით შეექმნას "ციური ნაგაზის" მხატვრული სახე (იგი ალბათ არც კი იცნობს ამ არაპოპულარულ პოეტთა იმ ნაწარმოებებს, რომლებშიც ხსენებული ვიზიონები გვხვდება), მაგრამ თუ მინც მინდა მკითხველს ეს მაგალითები წარვუდგინო, ამის მიზეზი სხვაა, კერძოდ ის, რომ ოთხივე პოეტთან ერთი და იმავე არქეტიპის (თუ არქეტიპების) მოქმედებასთან უნდა გვეკონდეს საქმე და, ჩემი აზრით, სწორედ ეს საერთო ნიდაგაი წარმოქმნის ერთმანეთის მსგავს მხატვრულ სახეებს (ხილვებს) ერთმანეთისაგან მეტ-ნაკლებად შორს მდგარ პოეტურ ინდივიდუალობებში:

გიორგი კორნაპელის პოემის "იყავი" მეორე სტრიქონი ამგვარად უღერს: "ძალდი ღრღინის მთვარეს, მთვარის დაბლონდილ ოვალს"; გია ხოფერიას ლექსში "ცის პეიზაჟი" (რომელიც, რამდენადაც ვიცი, "იყავი"-ზე ადრეა დაწერილი) ცაღე გადავლოლი შავი ღრუბელი ჯერ ზღვასთან არის შედარებული, შემდეგ კი მწვეართან: "მიშტერებია თვალი ცაზე დახატულ მწვეარს" (ეს "მწვეარი" შემდეგაც, ლექსის სხვა სტროფებშიც - ფიგურირებს სხვადასხვაგვარ რაკურსში დანახული); არც ამ ორ პოეტს შორის შეიძლება რაიმე გავლენაზე ლაპარაკი, ამაში სრულიად დარწმუნებული ვარ; მესამე ავტორი თვით თქვენი მონა-მორჩილი მარსიანი გახლავთ, რომელთანაც გავლენის საკითხი განსხვავებულად დგას - მის ლექსს "მედიტაციე-

ბი“ ეპიგრაფად აქვს წამძღვარებული გ. კორნაპელის ზემოთ მოტანილი სტრიქონი, თვით ლექსი კი ამგვარად იწყება: “საავდრო ძაღლმა დაღორღნა ასტარტას ძვლები“. ასტარტა ხომ მთვარის ღვთაება გახლავთ და, ვფიქრობ, აშკარაა, რომ აქ გ. კორნაპელის სტრიქონის შეგნებულ მოდიფიცირებასა თუ პერიფრაზირებასთან გვაქვს საქმე; გამორიცხული არ არის, აგრეთვე, რომ აქ გ. ხოფერიას ლექსის გაუცნობიერებელი გავლენაც იყოს; მაშასადამე, ამ ოთხი პოეტიდან მხოლოდ ერთი არის სხვებისგან დავალებული ამ შემთხვევაში, სხვებს კი ერთმანეთთან შეხება არა აქვთ; ოთხივე ნაწარმოებში ძაღლის მხატვრული სახე ერთგვარი სიურრეალისტური შეფერილობის მქონეა და ოთხივეგან იგი ცასთან არის დაკავშირებული, რაც სულაც არაა შემთხვევითი: ხალხური ანდაზა “შეშინებულმა ძაღლმა ცხრა წელიწადი მთვარეს უყეფა“, საკმაოდ აშკარად “ენინაპრება“ გ. კორნაპელის სტრიქონს, სადაც ძაღლთან ერთად მთვარეც არის ნახსენები; იგივე ითქმის მარსიანის სტრიქონზეც; გ. ხოფერიასთან “ძაღლს“ ენაცვლება ამ ცხოველის ერთ-ერთი ჯიშის სახელწოდება “მწვეარი“, შ. იათაშვილთან კი მეორე ჯიშისა - “ნაგაზი“. როგორც ვიცით, ციურ თანავარსკვლავედებს შორის ერთ-ერთს “მწვერების თანავარსკვლავედი“ ჰქვია; ვფიქრობ, ზემოხსენებული ანდაზაც და თანავარსკვლავედიც ოთხივე აქ მოტანილი პოეტური ვიზიონის არქექტიპებად უნდა იქნას გააზრებული. ოთხივეგან შინაარსობრივ დონეზე საკმაოდ ბუნდოვანია ძაღლის მხატვრული სახის როლი (ერთ-ერთის ავტორი ხომ მე თვითონ ვარ, მაგრამ ამის გამო ჩემი საკუთარი ვიზიონი სულაც არ მეჩვენება სხვებისაზე ნაკლებ ბუნდოვანად), ოთხივეგან მთავარია უშუალოდ ხილვის მიერ აღძრული შთაბეჭდილება თუ ემოცია; მე, როგორც მკითხველი, ამ შთაბეჭდილებებს ვფერადები (სხვა რა გზა მაქვს), ხოლო, როგორც კრიტიკოსი, ამ მხატვრულ სახეთა არქექტიპულ წარმომავლობაზე მივუთითებ, მაგრამ ამაზე შორს კი ვეღარ მივდივარ; იქნებ მომავალში რომელიმე მკვლევარმა მაინც (თუ, რა თქმა უნდა, საჭიროდ ჩათვლის) უფრო ღრმა ანალიზი მოახდინოს და კიდევაც გაშიფროს თუ დაადგინოს ქართულ პოეზიაში ამ “არქექტიპული წარმომავლობის ძაღლთა“ შინაარსობრივი ფუნქცია...

მკითხველი ადვილად მისხედებოდა ალბათ, რომ აქ ერთგვარად “ორი კურდღლის დაჭერის“ მცდელობა გამოივიდა: ერთ პოეტზე და-

წერილ კრიტიკულ სტატიაში სამი სხვა პოეტის (მათ შორის საკუთარი თავისაც) ცოტაოდნად პოპულარიზაციაც მოეწინააღმდეგებოდა; მაგრამ ეს ალბათ მაინც არ უნდა ჩამეთვალოს უადგილო გადახვევად, რადგან თუ კლასიკოსებთან - გალაკტიონთან და გრანელთან - შოთა იათაშვილის ამ ორი პოეტური ციკლის საგანგებო, გაცნობიერებულ კავშირზე მსჯელობა კანონზომიერი და აუცილებელია ამ წერილში, ალბათ სხვა პოეტებთან (თავის თანამედროვეებთან) მისი უნებლიე შეხების წერტილთა დადგენაც არ უნდა იყოს ინტერესს მოკლებული: ლიტერატურა ერთიანი პროცესია და მასში არაფერი არ შეიძლება იყოს ისეთი, რაც ყოველივე დანარჩენისგან სახვებით იზოლირებულად ჩაითვლებოდა: როგორც ფიზიკურ სამყაროში, ასევე სულიერშიც (ამ კონკრეტულ შემთხვევაში ლიტერატურულ სამყაროს ვგულისხმობ) ჩვენ საერთო ატმოსფეროთი ვსუნთქავთ და ძაღზე ხშირად, ერთმანეთისაგან თითქოსდა სრულიად დამოუკიდებლად, ერთმანეთის მსგავს შედეგებამდე მივდივართ ხოლმე.

ზემოთ აღვნიშნე, რომ ამ ციკლებში ჩემთვის ბევრი რამ შინაარსობრივად ბუნდოვანია, მაგრამ ეს ნათქვამი ყველა ლექსს როდი ეხება: ზოგი მათგანი, პირიქით, სადა და ნათელი შინაარსისაც გახლავთ, მაგალითად, “ქარმა წამოუბერა“, “სული ამოიწურა“, “დუნე მონატრებებით“, “თმების რხევით, წარსულით“, ან თუნდაც ზემოთ უკვე ნახსენები “მურჯი გაშუქებით“... შეიღამრცვლიანი მაღალი შიირით განწყობილ ამ ლექსებში მსუბუქი მელოდია აზრის სადა განვითარებას ერწყის და მკითხველს თითქმის არაფერი რჩება ამოუცნობი და თავსატეხი. პირადად ჩემთვის ეს ლექსები მშვენიერია, თუმცა კი ნაკლებპრობლემატურობის გამო საგანგებო მსჯელობის, შინაარსობრივი ანალიზის საშუალებას ნაკლებად იძლევიან. აქვე ორიოდ შევხებით უნდა შევეხო ზემოთ უკვე ნახსენებ “სულის გადაქანებას“, რომელც იმავე მეტრიტაა დაწერილი და მელოდის იმგვარივე სიმსუბუქით, ფორმის დახვეწილობით ხასიათდება, თუმცა წელან ჩამოთვლილი ლექსებისგან განსხვავებით, მისი შინაარსი არცთუ ისე სადა და ნათელი გახლავთ. უკვე აღვნიშნეთ, რომ ეს სიტყვები “სულის გადაქანება“ გალაკტიონურ რემინისცენციას შეიცავს, მაგრამ თვით გალაკტიონთანაც “მწუხარების ყვილი გადაქანება“ ასევე ბუნდოვანი შინაარსისაა; პარიზული ნიავი ორივე ლექსში ჰქრის და თითოეულში თითო

ფრანგი პოეტის სახელიც ფიგურირებს: გალაკტიონთან - ვილიე დე ლილ ადანი, იათაშვილთან კი - ბოდლერი; "მარცხენა დაცერება" და "მარჯვენა დახრილობა" ალბათ "სულის გადაქანების" სხვადასხვა მდგომარეობები თუ პოზებია, რომელნიც ასევე იდუმალებით მოცული "თარაზოს" მეშვეობით მოწმდება. არ მესმის გონებით, მაგრამ მომწონს და ვღებულობ გულით, რაკი სულიერი მზერით ნათლად აღიქვამ თუ ვჭვრეტ - აი, მოკლედ ასე შემიძლია გამოვსახო ჩემი დამოკიდებულება ამ არტისტული ოპუსის მიმართ.

"Memento"-ს ციკლში არის ორი ლექსი, უფრო "სოლიდური" ათმარცვლიანი საზომით დაწერილი - "თებერვლის ღმერთო" და "ორი ბულბული", ასევე შინაარსით ნათელი და ფორმით დახვეწილი, რომლებსაც ამ ციკლის პირველი ლექსის "ტერენტი გრანელის" მსგავსად გრანელის მონოლოგები შეიძლება ეწოდეს, რადგან ამ პოეტის ენის სტილიზაცია საკმაოდ თვალშისაცემია. ჩემთვის განსაკუთრებული ემოციური დატვირთვის მქონე გახლავთ ამ ლექსთა ფინალური აკორდები. მათგან განსხვავებით, ლექსი "დაბრუნება" (რომელიც ასევე გრანელის მონოლოგად აღიქმება) ნაკლები პოეტური ენერჯისა ჩანს და ფინალიც ერთგვარად დუნე, შთამბეჭდაობას მოკლებული აქვს. თვალსაჩინოებისათვის სამივე ლექსის ბოლო სტროფებს ამოვწერ აქვე:

1. "თებერვლის ღმერთო! მზის სხივი გაჩნდა, გამოაღწია ორთქლმავლის კვამლში, ის მენატრება, ვინც ერთხელ ცეცხლი დაანთო ამ ჩემს პოეტურ გვამში".
2. "მზე გამოვიდა, გაყურებ ალვას, ორივე ბულბული განაბულია, ისევ მოსულა მარტის პირველი და სადღაც თურმე გაზაფხულია".
3. "მოვუკიდებ პაპიროსის ღერს, შუადღეს, ყველგან ცხელი სიოა, მე დავბრუნდი ჩვენს ქალაქში დღეს, ჩემო ტკბილო მკვდარო ჩიტო-ჩიორა".

პირველ და მეორე ნიმუშში იმგვარი აზრობრივ-ემოციური დინამიკაა, რომ მიღწეულია დრამატული სიმძაფრე, რომელსაც სადღაც, სიღრმისეულ შრეში იქნებ ირონიის მკრთალი ანრდილიც თან ახლდეს, რომელიც ერთგვარი მოუხეტლებელი იდუმალების განცდას აღძრავს; მესამე ნიმუშში კი უფრო სენტი-

მენტალიზმისაკენ იხრება და მინცდამაინც ფორმითაც ვერ ჩანს სათანადოდ გამართული.

წერილის დასაწყისშივე აღვნიშნე, რომ ვერლიბრისტა პროდუქციაში კანტიკუნტად გამოჩენულ რითმიან ლექსებს პირადად ჩემთვის რაღაც თავისებური ხიბლი ახლავს; იქნებ იმიტომ, რომ ავტორები ამგვარი ლექსების წერისას თავს უფლებას აძლევენ, არ იყონ "საგანგებოდ თანამედროვენი", "მოდურნი", რაც ვერლიბრის წერისას თითქოს სავალდებულო ტვირთად აწვეთ - ეს ყველა თაობას ეხება, რადგან უკვე 70-იანი წლებიდან გაბატონდა აზრი, რომ თანამედროვეობის ადეკვატურად გამომხატველი მხატვრული ფორმა პოეზიაში მხოლოდ ვერლიბრია, კონვენციური რითმიანი ლექსი კი სადღაც მაინც "გუშინდელი დღის" საკუთრებადაა მიჩნეული. მახსოვს რა ცხარე პოლემიკები იმართებოდა 70-იანელ ახალგაზრდა ვერლიბრისტებსა და მათი წინამორბედი 60-იანი წლების თაობის წარმომადგენლებს შორის. ვერლიბრისტთა ოპონენტები გვარინად დაკომპლექსებულნი ჩანდნენ იმის გამო, რომ გრძნობდნენ - მათი საკუთარი პოეზია, კრიტიკოსთა მიერ აღიარებული მთელი თავისი ნოვატორული ხასიათის მიუხედავად, მაინც უკვე ვიღაც-ვიღაცების თვალში "ტრადიციულ პოეზიად" აღიქმებოდა და უკვე ახალი თაობა იჩემებდა ნოვატორობის პატივს, "ძველებს" კი "გვერდზე მიწევას" უპირებდა. მომდევნო ათწლეულებში უკვე აღარ მომხდარა რაიმე მკვეთრი, რადიკალური ცვლილება ფორმის სფეროში, თითქოს ლექსიც დაიღალა ამდენი "განახლებით", ხოლო ვერლიბრი უკვე რაღაც სავალდებულო ფორმად იქცა; არადა, რუსთაველიდან წამოსული ტრადიცია რითმიანი, კლასიკური ლექსისა ჯერაც იმდენად ძლიერია შინაგანად, რომ "ბუნებით ვერლიბრისტი", აი, უიტმენის, მასტერსისა თუ კენდებერგის მსგავსი, იქნებ ჯერ არც კი იყოს დაბადებული ჩვენში. რითმიანი ლექსი ქართველის გენეტიკურ კოდშია თითქოს ჩაწერილი და ძნელია მასთან გამუდმებული წინააღმდეგობა. ჩვენ ყველამ ასე თუ ისე გავითავისეთ და შევიჩვიეთ ვერლიბრი, მეტ-ნაკლებად დავოსტატდით ამ ფორმით წერაში, ბოლო თაობის პოეტებისათვის, როგორც ვთქვი, ის ტრადიციადაც კი იქცა, მაგრამ ქართველ პოეტს, თუ ის მართლა პოეტია, არ იქნება, ზოგჯერ მაინც ხელი არ წაუცდეს რითმიანი ლექსის დასაწერად. ბოლოს და ბოლოს, ევროპული მხატვრობის უდიდესი ავანგარდისტი პიკასოც კი დაუბრუნდა თურმე

მოგვიანებით კლასიკურ ფორმებს; პასტერნაკს უთქვამს მგონი - ბოლოს მაინც პუშკინთან მივედიო; ქართველი პოეტისათვის კი, ვიმეორებ, უფრო ძნელია მთლიანად მოწყდეს სისხლში გამჯდარ კლასიკურ რიტმებსა და მელოდიებს, რადგან ჩვენი ტრადიცია უფრო ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს და ინერციაც უფრო დიდი აქვს.

ახე რომ, ჩვენს ვერლიბრისტთა ხანგამოშვებითი მიბრუნება კლასიკასთან, მე, როგორც მკითხველს, სასიამოვნო მოვლენად მესახება, თუმცა კი მათი შემოქმედების მნიშვნელოვანებას, ვფიქრობ, მაინც ვერლიბრის ფორმით დაწერილი ლექსები განსაზღვრავს. ეს ეხება სხვებთან ერთად შოთა იათაშვილსაც, რომლის "ვექტორი" და "ეროტიკული ჰაიკუ" თანამედროვე ქართული ვერლიბრის საუკეთესო ნიმუშთა შორის მეგულებო. მაგრამ აქვე უნდა ვაღიარო, რომ მე ჯერჯერობით ნაკლებად მაქვს გათავისებული მისი ვერლიბრული პროდუქციის უმეტესი ნაწილი; ჩემთვის, როგორც პოეტისათვის, ერთგვარად უცხოა ყოფილი რეალიზების, პროზაიზაციის იმ დოზით შემოშვება პოეზიაში, როგორც ამას შოთა იათაშვილის და მრავალი სხვა ვერლიბრისტიც შემოქმედებაში აქვს ადვილი. მე თვითონ, როცა ლექსში "არაპოეტურ" მასალას ვიყენებ, მეტწილად ირონიულ-პაროდიულ თუ გროტესკულ კონტექსტს ვუსადაგებ მას, რადგან ენ. "წმინდა ლირიკა" ამგვარ მასალას ვერ ჰგუობს. ჩვენს ვერლიბრისტთა შემოქმედებაში სწორედ ყოფითობის "უმარილო სერიოზულობა" მეჩოთირება პირველ ყოვლისა; რაც შეეხება "ეროტიკულ ჰაიკუსა" და "ვექტორს", პირველი თემის პიკანტურობით და სალექსო ფორმათა იაპონური ყაიდის მინიატურულობით არის განრიდებული ზედმეტ პროზაულობას, ხოლო "ვექტორი" თემატურადაც და სიტყვიერი მასალითაც სპეციფიკურად "პოეტური", გნებავთ, რომანტიკული ოპუსია, მეტად საინტერესო და მიმზიდველი ფორმით შესრულებული: რეფრენისა თუ ლაიტმოტივის ფუნქციით აღჭურვილი ფრაზების ("ცაში... იქ ცაში", "მალა, სულ მალა" და ა.შ.) მრავალგზისი განმეორება და შიგადაშიგ სხვადასხვაგვარად მოდიფიცირება მკითხველში ბადებს სპირალური აღმასვლის, თანაც მრავალჯერადი, ახალ-ახალი ბიძგებით ამაღლების განცდას, თითქოს ჰაერის აღმავალ ნაკადებს მინდობილი ფრინველები ერთიმეორის მიყოლებით იჭრებიან ცაში და მათი გრაციოზული ირრას ცქერით ვტკებთ. კაცბა

რომ თქვას, "ვექტორი" არცაა ვერლიბრისტიკური გაგებით, რომ, ჯერ ერთი, მეტრი არ იცვლება, თოთხმეტმარცვლიანია (5:4:5) და ამდენად, ეს ნაწარმოები ვერბლანი (თეთრი ლექსი) უფროა; გარდა ამისა, რეფრენ-ლაიტმოტივთა რიტმული, სწორი განმეორება ფაქტობრივად რითმის ეფექტსაც ქმნის და თუმცა ლექსი გრაფიკულად პროზის სახითაა წარმოდგენილი, არსებითად მლოდიური, მუსიკალური პოეზიის ნიმუშთან გვაქვს საქმე...

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მე ალბათ ჯერჯერობით ვერ ჩავითვლები შოთა იათაშვილის ვერლიბრული პროდუქციის კომპეტენტურ მკითხველად; მაგრამ წინამდებარე წერილი ხომ არა მის ვერლიბრს, არამედ რითმის ლექსთა ორ ციკლს ეძღვნება: შესაძლოა, ამ ციკლებს თვით ავტორისთვისაც სადღაც მაინც მეორადი მნიშვნელობა ჰქონდეს ზოგადად მის პოეზიასთან მიმართებაში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, ეს ლექსები იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას, როგორც ძალზე საინტერესო ექსპერიმენტი ერთგვარ "რეტროს" სტილში შესრულებული, რაც კლასიკასთან საგანგებო მიმართებითაა გამოხატული. წინამდებარე წერილში შეძლებისდაგვარად ვცადე ამ ექსპერიმენტის არსში ჩანვლია. ყველა ლექსს სათითაოდ ვერ შევეხე და საგულდაგულო ანალიზი ალბათ ვერც იმ ლექსებისა მოვახდინე, რომლებსაც შევეხე; იქნებ სხვა კრიტიკოსებმა შეაგსონ ეს დანაკლისი და თუ ჩემი წერილი მათ საამისო ბიძგს მისცემს, დიდად კმაყოფილი დავრჩები.





**ღმერთი მაღალია და ხედავს
არა მხოლოდ ღიმილს,
არამედ რაც ამ ღიმილის მიღება**

ღმერთი მაღალია და ხედავს არა მხოლოდ ღიმილს, რადგან ადამიანებიც და ცხოველებიც ზემოდან მისთვის ჭირილში ჩანს.

ეს მხოლოდ ადამიანებს ჰკონიათ ასე, რომ დაანგრევენ რამეს და გაიღიმებენ, ან შექნიან რამეს და გაიღიმებენ, რადგან ადამიანი ყველაფერს ღიმილით ამთავრებს, ყოველ შემთხვევაში ცდილობს ასე, ღმერთი კი ყველაფერს ჭირილში ხედავს. ადამიანზე ლექსს ვინც წერს, ის ღმერთია, რადგან ძნელია დაინახო ეს ყველაფერი, მით უმეტეს ასეთი მოუცვლელობის დროს. შენ მას შეხედულები ვაგზღვებზე, საკონდიტროებში, შეხედულები ღარიბებს, ვისთვისაც დღე და ღამე სულერთია, რადგან არც ცხადში გააჩნიათ რამე და ძილში ზომ არავის არაფერი გააჩნია. ყოველ შემთხვევაში ძილში არავინ იყენებს ტექნიკას.

და ტექნიკას რაც შეეხება, მას ჭრილი საერთოდ არ გააჩნია და ღმერთი მათ (მას) უბრალოდ ვერ ხედავს. ადამიანები კითხულობენ გაზეთებს, ადულებენ ყავას, დასდევენ ერთმანეთს. ჩვენ ვართ ადამიანები, ეს ჩვენ გვასწავლეს რომ ყველაფერი ღიმილით უნდა დამთავრდეს.

ეს ჩვენ გვასწავლეს, რომ უნდა მივაღწიოთ წარმატებას, და არავის უთქვამს, რომ მას მიღწევა არ სჭირდება, ხოლო მიღწევებს (ნებისმიერს)

არ აინტერესებთ, რა არის კიდეც ეს უცნაური წარმატება. ვიყავი ქალი და ვიყავი კაცი. მოვკვდი ათასჯერ, ვერ შევგროვე დიდი ბიზნესი, ჩემთვის იყო საქმეები მხოლოდ დაკარგვის, ცხელ აბანოთა ძველი დიდების, პომადის სუნის მაღაზიების,

მეგობართა გიჟური ღიზინის, საკვამური მილის გარშემო ზამთრის სახლების.

შენ ნუ იტყვი, რომ ღრონი წავიდნენ, სისულელეს ღიმილის შესახებ, იმიტომ რომ ღმერთი მაღალია და ადამიანს ზემოდან ხედავს. ღმერთი მაღალია და დედამიწა კი ბრუნავს იქით და აქით, ირზევა და სიმაღლე მეტოთიქოს აღარ გააჩნია.

საკე - აი, ეს არის ჩემი სახე, მე იაპონელი ვარ. მონსანტო დაიპყრობს მიწის წიაღს, დედამიწის ზედაპირზე რაც ქალაქებია, ყველას გადაუღებ თევზის თვალის ღინჯით.

საკე - აი, ეს არის ჩემი ბუნება, ჩემი წითელი და თეთრი, რადგან მე იაპონელი ვარ და ჩემს ქალაქებს უკიდურესი (ექსტრემისტული) გამოცილილება გააჩნიათ სხვებზე ადრე.

და მე, ასეთი, როცა ქარი უბერავს, სახეს მივუშვებ შორსგზას, არ შეეხება მონსანტოს აბრას, და არც მთვარეს მის უკან, რადგან მე ანტიგლობალისტი ვარ და იაპონელი, და საკე - ეს ჩემი სახეა, არა ანგელოზის.

აი, ასეთი ვარ, მიწიდან ამოზრდილი, ვერმოწყვეტილი მის სიღრმეს, როგორც ფესვი.

ჩემი ქვეყნის ქალები მოცხარია მწვანე ფოთლების ჩრდილში.


მეტრო ჩვენთან დიდია და იწყება იქ ზუსტად, სადაც მზე ამოდის,

მაგრამ მე მინდა შეგეკითხოთ, თქვენთანაც ადრე იძინებენ,

მის მიწაში ჩასვლასთან ერთად? მზის ჩასვლასთან ერთად? მთის დაბნელებასთან ერთად?

საკეს თქვენთანაც გემო აქვს თმაში დარჩენილი ქარის?

საკე, - აი ეს არის ჩემი სახე, და მე მას ყველას ვუქუნი.



თბილისური სურათები

* * *

ვაშლები.
პოეზიის საღამო.
ღამის ტრაექტორიები.

კვამლი, რომელიც გაიფანტა.
სამარშრუტო ტაქსი.
საბურთალოს მოწყენილი ბაღი.

ხილი.
მთხოვარი ბაზართან.
ახალგაზრდა სოფლელები.

ხურდა ფული.
ცხელი მოედანი.
ხალხი სამარშრუტო ტაქსში.

მთვარე გზაზე.
დაღლილი კაცი.
აღვის ხე.

წიგნების მალაზია.
ტროლეიბუსი.
ღრუბლები მთის მიღმა.

ქუჩაზე გადარბენა.
ხალხი სარდაფში.
ყოველდღიური ხსოვნა.

ბავშვი ძაღლთან.
ეკლესიის ეზო.
ღამშალი ნესვი.

ქალი ჩრდილში.
მატარებლის ხმა.
თბილისის ზღვა.

ადრე არსებული კაფე.
ცარიელი ზიდი.
დეკორატიული შუქი გალავანზე.

თბილისის ზედეგი.
ლექსიკონის ლექსები.
მანქანა გზაზე.

აღმართი.
ხსოვნის დაღმართი.



ო, ღრო, რად მიდიხარ?
რად მიაქანებ თან ამ სახეებს ნაცნობს?
ო, ღამე, სად არის შენი უბრალოება?
ის ვარსკვლავები ასე ერთმაშად ვისკენ წაიღე?
ო, ქალაქო, გახსენი შენი დიდი ჭიშკარი,
სად გადამალე მაწვნის ქილები,

ერთხელ მითხარი,
საით წავიდა შენი სიმღერა?
ო, მზეო, ნუთუ ხეები გაზაფხულზე
აღარ გციდიან,
და ქუჩებს აღარ
სჭირდებათ გამწვანება
მოულოდნელი?
მთაო, შენ ისევე ხელისგაწვედენაზე
ახლოსმყოფი ხარ?
რა იქნა შენს ვიწრო ბილიკებზე
ჩვენი კვალი ახალგაზრდული?

ო, მალაზია, აღარ თამაშობ პროდუქტებით?
და შენ, უცნობო ეკლესია, ისევე
იქა ხარ დაძაღული, ტყეში, ხეთა მიღმა?

ო, ღრო, რად მიდიხარ?
რად მიაქანავებ თან ამ სახეებს ნაცნობს?

6 აპრილი, 2003

ძველი აბაჯის ფასი

განა ჩინეთი აღარ არსებობს,
ან მთას მოაკლდა ნისლი საღმრთო კავკასიაში -
როცა დეკემბრის ღამეებში დეკორატიული ბარბაროსები
ალამაზებენ ნაძვის ხეებს ქალთა კისკისზე,


აქ ზღაპარს უკვე აღარა აქვს ადგილი ძველი,
და შოპინგია გამართული სანტა კლავის აქვე, ვაკეში,
მეტატიბუტე, დანათ მღვსავი, მეძველმანე და
სავეირთ-მერძევე
გადაკარგულან ჯოჯოხეთში საფასურად ფიჭვთა კევების.

წაუყოლია ჩვენი მამები მეფაიტონეს საბჭოურ დღეთა,
ელექტრონული არღანი უკრავს, აქ კვლარ ნახავთ
გიფთა დიდებას,
და პატარებიც, ვით საქმოსნურად, ცდილობენ უცბად
ემსგავსონ დიდებს,

სერიოზულებს, მოვაჭრეებს დაუნდობელი რამ აპეტიტის,
აღარც ქურდია, არც ცეზავიცი, პროსტიტუცია გაჩნდა
ხიდებად,
და ფასი ამითი რეალური არის ისევე ძველი კაპიკის.

8 ივნისი, 2003

3 ივლისი, 2003



* * *

როგორც მეგობარი ძველი,
როცა გხედავ, თავს ისე ვგრძნობ.
თითქოს ცხადად იქცა ძილი,
თითქოს სიზმარია ქარის სიგრძობის.

ჯერ ზაფხული, მერე შემოდგომა -
თითქმის ყოველ დღილით გხედავ,
მზეს ფოთლები, მაშინდელი,
უკვე ყვითლად შეუღლებას.

შემოდგომით როგორც წვიმა
ყვავილები ცაში ადის,
და არსებობს როგორც წამი,
შენთან ყოფნა სიკვდილამდე...
1993

* * *

რადჭე-რადჭე რადჭე გოვინდა
მთელ მსოფლიოში სადაც კირტანა ტარდება
გრანდ-ზეროსთან დგას ხალხი,
აქ ამ სახლების ნარჩენები დიდი
რაანია წაიღეს,
და ბევრმა წვიმამაც გაიარა
ეს მონაკვეთი დედამიწის,
მაგრამ ხალხი დგას, და უფურებს
ამ ადგილს, კარგად რომ არის
დალაგებული
რადჭე-რადჭე რადჭე გოვინდა
მთელ მსოფლიოში სადაც ეხლა კირტანა
მიდის
დედაჩემი შარშან დაადა შორ გზას
მთებში
გადაცურა მდინარეებიც და ლამეებსაც
ათევედა სადმე,
მთელ მსოფლიოში, სადაც ხალხს
მართლა სჯერა, რომ ეს
ყველაფერი, რასაც ხედავენ,
არსებობს,
და არ სჯერათ, რომ არსებობს
რალაც ისეთი, რაც კარგად არ ჩანს,
ან საერთოდ არ ჩანს,
და ეს ხალხი ტირის, ხან იციინის,
ხან უხმობენ ღმერთს
(და მეც მათ შორის ვარ, და
ჩვენ ყველას ერთად საუკეთესო
ცირკში გამოგვიყვანდა ვინმე
კლოუნი ან დირექტორი უბრალო სკოლის).

მთელ მსოფლიოში, სადაც ეხლა
კირტანა მიდის,
სადაც ირხევა პალმის ფოთლები
და მათ ჩრდილებს მოაქვს

სურნელი ცის მიღმიდან, მთების
მიღმიდან,
რადჭე-გოვინდა, მსოფლიო ლამაზია
მხოლოდ მაშინ, როდესაც ის
შენთვის არსებობს.



ზაფხული, 2003

თუნდაც მზებში ვინმემა ნაშალოს

ეუბლები სოლო მაგარაშვილს, კაცს და პოეტს

რაც დედაჩემი დაიკარგა, ეხლა დედაჩემი არის ბაბალონი.
სამწვადეები სოლოლაკში, ქართული ღვინო და პოეტის ხმა
არ არის უცხო ღასაკარგი, თუნდაც დღეები ადამიანთა
ძლიერ შემცირდეს, თუნდაც მზებში ძველი ცხოვრების
ვინმემ წაშალოს სველ ღრუბელათი. შენ, ჩემო
მეგობარო, დავიწყებულ წვიმის ხეივანებს
გამოეჭეცი, მოიტანე ხურდა ფული
ქართულ დიდების,
შემოდგომის ფოთლებს მიაქვს დაუწერელი და
უთქმელი ლექსების წყება, ერთი რვეული, ერთი
წიგნი, ჩამომხრჩვალ ბადრის საფლავთან
ანგელოზები ყვირიან, სველდება პური,
დავიწყებული პოეტი ღრმა კამათლებს ესვრის
სიბნელეში დედაჩემის დაკარგულ ნიღბებს,
კორეულ შალვას, მშვენიერ ქარებს გრძელი
შავი თმით
და შენ ლექსები კარგად შეინახე, მე შენთან მოვიალ
და წავართმევ ყველა მათგანს, რომ ცოტა ხნით
ის დაკარგული ბნელი ქუჩები, და
ცოტა ხნით ის სიცოცხლე სიზმარისა ისე მოვიდეს
მარად უცნობი
გზა-ხვეულებით.

ზაფხული, ნოემბერი, 2003



თაგავ მკითხველი

- ბიჭებმა თქვეს, "ბრმა" ტყვია მოხვედბო-
დაო.

სერჟანტმა "სამძიმარი" უთხრა დივანზე ჩა-
მოსვენებულ ჩემს ნათესავებს.

ვინ დაგაბარა?! რა დაგაბარა?! თქვი რა,
დალოცვილო, გმირულად დაიღუპა-თქო, ან
რამე ამის მაგვარი მაინც!

გაურანდავი ფიცრებისაგან შეკრული ხის
ყუთი მეზობლებმა ორ ტაბურეტზე გადაეს.

- გუშინწინ წავიდა... გუშინწინ... - ჩემმა დამ
სამზარეულოდან ნაჯახი შემოიტანა. ტიროდა.

- ბრმა ტყვია მოხვედრია, - ახლა მას მიუ-
სამძიმრა სერჟანტმა და ყუთის თავსახურს ნა-
ჯახის ყუა ამოარტყა.

რა ბრმა ტყვია? რის ბრმა ტყვია? ვინ არ-
ის, რას ჩააცივდა?! თან, თვალები იმას ქონდა
თუ ქონდა. ცოფიანივით მეცა. ნეკნი ხომ და-
მიმტვრია, არ ეყო, მიიხედ-მოიხედა, მარცხნივ
აუხვია, გულის პერანგი გამიგლიჯა. სისხლში
ამოგანგლული კისერთან, ხერხემალში გაიჭედა,
იქ გაცვივდა და იქვე ჩაიბუდა. იშოვნა ადგი-
ლი: რომელიღაც გადაკარგულ მხარეში ქვესკ-
ნელიდან ძალით ამოთხრილი, მერე ცეცხლში
ნაწვლები და კენჭად ჩამოსხმული, ასე სამუ-
დამოდ დაუბრუნდებოდა მიწას. ომში მოკ-
ლულს ვინ გაკვეთს და ჩინგიზ-ხანი მე არა
ვარ - ჩემი საფლავი ვინმემ შეაწუხოს.

- რა არის, რამხელა ლურსმნები დაურ-
ტყამთ, თან რამდენია! - ვიღაცაზე გაბრაზდა
სერჟანტი და მეორეჯერ მთელი ძალით ამოს-
ცხო.

ლურსმნის ღრჭიალის გაგონებაზე ჩემმა დამ
ოთხი თითი შუბლზე მიიდო, ისევ სამზარეუ-
ლოში გავარდა და ასლუკუნდა:

- მეგონა, ხუმრობს-მეთქი... ჩემს ქმარს
სვიტრი სთხოვა, აფხაზეთში მივდივარო...

მართალია, ვთხოვე. კარგი სქელი სვიტრი
აქვს. გაზაფხული კი მოდიოდა, მაგრამ ზამთა-
რიც ხომ წინ იყო! რა ვიცოდი, ასე მალე,
მშრალი ყინულებით მორთულს თუ ამომარბე-
ნინებდნენ კიბეზე.

- გული უგრძობდა ეტყობა... წასვლის წინ
ბინა გადმომიფორმა...

რა გულის გრძობა უნდოდა? დასასვენებ-
ლად მივდიოდი თუ რა? ომი ომი-მეთქი, - რა
იცი, რა ხდება. უბატრონოდ ხომ არ დაგტო-
ვებდი ბინას. მართალია ერთი ოთახია, მაგრამ

...ერთხელ დავკალი მამალი



ქალაქის ცენტრშია, მეხუთე სართულზე. ეზოს
მხრიდან, აივანთან, ხელისგანვდენაზე, სამი ლა-
მაზი კიპარისი დგას. თან წყლის სისტემა სა-
ავადმყოფოზეა მიერთებული - თბილი წყალი
თითქმის სულ არის. ასე რომ, თუ დასჭირდე-
ბათ, კარგად გაიყიდება. თუ არადა, ორი შვი-
ლი ყავთ, რომელიმეს გამოადგება.

- რომელი მეომარი ეგ იყო... ერთხელ ძლივს
დავაკვლევინე ქათამი, მერე თვითონ ვერ ჭამა
- ძიხვი ამოიტანა... - ტირის და ტირის ჩემი
და.

- კარგი, დანყნარდი ცოტა - ჩემი სიძე გა-
ლურჯდა სიგარეტის წვეით: - კაცი იყო. თა-
ვის საქმე თვითონ იცოდა საწყალმაო.

იატაკს ჩამტერებული წინ და უკან დადის
და მგონი თავისთვის რაღაცას ბუტბუტებს.
ყოველ შემთხვევაში, ხელისგულებს კი ატრია-
ლებს აქეთ-იქეთ. ნეტა რომელი ბუზი უბზუის
თავში.

მასაც, ალბათ, ის დღე ახსენდება, სვიტრზე
განაცხადი რომ შევეუბნე ოჯახში. იმ საღ-
ამოს რაც შეძლო, კი გააკეთა.

- ბიჭო, - მეუბნება, - ორმოცი წლის ხდე-
ბი, ცოლი შენ არა გყავს და შვილი... დააყენე
რა!

“ვოტ იმენნა! ცოლი არა მყავს და შვილი”
- გავიფიქრე და ვუყვები:

- ამ ერთ კვირაში ორი კუბო ამოიტანეს
ჩემ სადარბაზოში. თან სულ ბავშვები, ჯერ კი-
დევე რომ ეგონათ, დედაჩემს ქათმის კისერი
უყვარს მაინცდამაინცო, აი, ისეთები. გესმის
შენ?

“მერეო”.

- ველარ გჩერდები აქ, უნდა ნავიდე-მეთქი.
“რომ მოგკლანო?”

- რატომ უნდა მომკლან, კაცო? - ალაღად
გამიკვირდა.

- ესე იგი, შენ გინდა ესროლო. შენ არ უნ-
და გესროლონ, ხო?!

კევა მომაქექინა და:

- არც მე არ ვესვრი... დაჭრილებს გამოვიყ-
ვან - რალაც სისულელეც მათქმევინა.

“აა, შენ თან პირდაპირ წინა ხაზზე აპირებ?
მიდი, მიდი, ჯანი კი გაქვსო”. მერე თვალები
მოჭუტა და მეუბნება:

- კარგი ძმაო. ვაჟკაცი ბიჭი ხარ, სიცოცხ-
ლე ფეხებზე გკიდია; ახლობლებიც!.. მაგრამ
რომ არ მოგკლან?! ნალმზე რომ აფეთქდე და
ფეხები წაგაგლიჯოს? ა?! ხომ არ გგონია, ვინ-
მემ ტყვია დაგაყოლოს შუბლში?.. გაგაქანებენ
ჰოსპიტალში და გადაგარჩენენ, გა-და-გარჩე-
ნენ!

ისე ჩაიციანა, მეც გამაცინა. ასეთ რამეზე
არც მიფიქრია და არც მანყობდა. ვის აწყობს
რო?

ახალგაზრდობამ სიბერესთან ფუთა რომ გა-
მომატანა, უკვე გახსნილი მქონდა. ბევრიც ვა-
ფათურე ხელი, მაგრამ შიგ “ვალდოლის”,
“გრელკის”, ოყნის, გაზგასული “ბორჯომის” და
ერთი ცალი პრეზერვატივის მეტი ვერაფერი
ვიპოვე, - ამის თქმასაც ვაპირებდი, მაგრამ აზ-
რი აღარ მქონდა. ენა ჩამივარდა და წამოვე-
დი.

მეორე დღეს ოთხასი გრამი სისხლი ჩავაბა-
რე დაჭრილებისთვის. ცოტა მომეშვა გულზე
და “დავაყენე!”

* * *

მაგრამ ერთი თვეც არ იყო გასული, პირ-
ველივე ნასესხებ დღეს, მოსალამოებულზე, ცი-
ვი და ძლიერი ქარი ამოვარდა.

არადა, საქმე მქონდა, უნდა წავსულიყავი.
თბილისში დოლარი, მარკა, რუბლი, სტერლინ-
გი და კუპონი ერთად ტრიალეზდნენ. გაცვლა-
გამოცვლაში რალაც პროცენტი რჩებოდა. სწო-
რედ ეს “რალაც” უნდა ანელო იმ საღამოს.

შოდა, დაეინყე თითებზე თვა და ფიქრი:
ნეკა: - უკანა საბურავი დაშვებულა, გა-
მოცვლა მეზარება, ქარია!

არათითი: - ფული მინდა!

შუათითი: - დარეკვას აზრი არა აქვს!

საჩვენებელი: - ტაქსი - ზღაპარი!

ცერა: - ჩაცმული ვარ, ჯინსი წავა. შავი
სვიტრი, გემრიელი ტყავის შიბლექტი, საათი.
ყველაფერი ზედ მაქვს.

მოკლედ ასე გადაწყვიტე: ჩავალ, ვნახავ.
თუ არ დამეზარა ხო გამოვცვლი, თუ ვერა და
ერთი მაგის დედაც! სვალამდე არსად გაიქცე-
ვა ფული-მეთქი.

კურტკა ჩავიცვი, კბილებამდე შევიკარი, ჩა-
ვედი. ჩავედი და მეცა კიდევ სახეში ქარი. ქა-
რია - წუის, ღმუის, ხარხარებს! მაგრამ სახლ-
ში აბრუნებას მანქანაში ჩაჯდომა ვარჩიე:

ერთ-ორ სიგარეტს მოვწვედი, იქნებ ცოტა
ჩამდგარიყო მანამ.

მანქანის კარი ორივე ხელით მეჭირა, როცა
ვალეზდი. ჩავჯექი, ხელისგულები ერთმანეთს
გაეუსვი და: “რა მინდოდა, რას ჩამოვდიოდი,
რას ვვადებოდი!”-მეთქი.

უკან მზე ჩასვლას აპირებდა და ყვითელი
შუქით ანათებდა ქალაქს. წინ, ჯერ კიდევ ცის-
ფერ ცაზე დიდი, თეთრი, სახე მთვარე, თით-
ქის ქუჩის ბოლოდან ამოსულიყო. სწორედ იქ-
ედან უბერავდა ჩემს მანქანას და მდინარის ნა-
ვივით აქანავებდა.

ქარი რომ მოულოდნელად შემოვარდა ქა-
ლაქში, ისე გამოვლელით კიდევ შერჩნოდნენ
ქუჩას. მოედნისკენ მიმავალნი, მოკუნტულები,
გაჭირვებით ადგამდნენ ნაბიჯებს; ჩემსუც კი,
გეგონებოდა ჯიკავ-ჯიკავით მოარბენინებდათ
ვილაც.

მანქანა ტროტუარზე მყავდა შეყენებული.
ვიფიქრე, აქედან მაინც ჩავიყვან-მეთქი. იმათ
კიდევ შუა გზაზე გაჩხერილი მანქანა უნდო-
დათ? დაქოქვა დავაპირე თუ არა, ვილაც
მთვრალი ზედ ჩემს კაპოტზე მოაგდო ქარმა,
წელში გატეხა და საწყალმა კინალამ პარპრი-
ზი გამიზარა კბილებით. ტყუნიდან სისხლი
ნასკდა. ხელისგული მოისვა, ზედ დახედა, მე-
რე მე ამინა და ისევ ქარს წაყვა.

მანქანა ტროტუარიდან ჩაიყვანე. კარი ისევ ორივე ხელით გავაღე, გადმოვედი, მივაჯახუნე და ის იყო ჩავეკეტე - ვხედავ ქალს - ნახევრად შაერში მოფრინავს, ხელ-ფეხს უცნაურად მოაქნებს, შავი თმა სახეზე შემოხვევია. ჩანთა კი ჩამოუკიდია კისერზე, მაგრამ ტყავის ლაბადის შეკვრა ან ვერ მოუფიქრებია, ან ვეღარ ახერხებს - ქარი აფრად იყენებს და სადაცაა ხეს შეანარცხებს.

გაშლილი ხელებით დავიჭირე. მთელი სხეულით მომეკრო. ჩახუტება გამოგვივიდა. კაცმა რომ თქვას, სხვა გზა არც გვქონდა. ქარისაგან აცრემლებულმა სახე დამისველა თბილი ცრემლით, მერე სუნამომ დამათრო, შემშალა და შეშლილივით დაეფუნე კოცნა.

ეკოცნიდი სახეზე, ტუჩებზე, ყელზე... უფრო მაგრად მომეკრო.

ქარი ორივეს გვატორტმანებდა და როგორც კი გონება ცოტათი ამოშავდა, სადარბაზოს შევეფარეთ.

- ცალი ქუსლი მომტყდა, - სული რომ მოვიტყვით ქარისაგან, ფეხსაცმელი გაიხადა: - ხედავ? შენ რომ არა, სადმე გადავიჩნებოდი.

- ფეხმოტყეხილი შავი წეროსავით, - მასსოვს, ასე ვუთხარი.

ჩანთიდან ცხვირსახოცი ამოიღო, სახე შეიშრო და თმა ჩამოისწორა.



- შენც დამისველებიხარ, - შემამჩნია.

მე თითებით მომაშორა ცრემლი. მერე ისევ ფეხსაცმელი გაახსენდა და დახედა, - რა მეშველებათ? სახლამდე მისვლა არ გინდა?

- საბუფარო მაქვს დაშვებული, ცოტა ჩადგეს ქარი, გავოცველი და მიგიყვან, არ ინერვიულო-მეთქი.

“არ ენერვიულობ, უბრალოდ უკვე ვიყინებიო”.

- კონიაკი მაქვს. თუ გინდა ჩამოვიტან, მანქანაში ჩავეჯდეთ, გავთბეთ და ქარიც ჩადგება... გინდა? - ვკითხე.

ვკითხე და “მარტო ცხოვრობო?” - მკითხა!

...
ჭკვიანი კაცი ყოფილა ბ... კი. “ოცდაათი წლის ქალი მირჩევნია ყველასო”. მართალია, ოცდაათი წლის ქალი თუ საღამოხანს სტუმრად გენვია მარტოს, დილაზე არც არსად გამქცევი არის და ამისთვის არც ცალ მუხლზე დაჩოქება მოგნევს.

ზიხარ შენთვის, ნრუპავ კონიაკს, ნუნნი ლიმონს, აკვირდები, უსმენ... სწავლობ ქალს.

ჰოდა, მეც მშვიდად ვზივარ სავარძელში. ქურა ჩართულია, ოთახი თბება, ვნრუპავ კონიაკს...

ჩემი სავარძლიდან საბაზანოს კარი ჩანს. ნახევრად ღიაა. ჩანს ქალი, რომელიც ისწორებს ნაწმამებს, ივარცხნის თმას და უპასუხო კითხვებს მისვამს.

მისი სირჩა კი მეორე სავარძლის სახელურზე დგას და მოთმინებით ელოდება ტუჩებს.

- გიხდებოდა აშლილი თმა, - გავძახე.

- შენ ხომ დავარცხნილი არ გინახივარ, - თქვა და შემოტრიალდა.

ჰო! დავარცხნილი ნაღდად არ მენახა.

- ასე ლამაზი რომ შემხვედროდი სადმე, ალბათ ვერ გავბედავდი მეკოცნა, - ყოველი შემთხვევისათვის გავახსენე და კომპლიმენტადც ჩამითვალა ალბათ.

ოთახში შემოვიდა. დავაკვირდი. ლამაზი იყო, კი!

შავი თმა, შავი თვალები, თეთრი სახე, იასამნისფერი ტუჩები, უფრო სწორად, პომადა, იმავე ფერის ნაქსოვი როლინგი, “პუაზონის” არომატი, მინი ქვედაბოლო, შავი კოლგოტკა, მოკლედ...

- მოდი, შენი ჭიქა აიღე, ჩემთან დაჯექი. ორივენი დავეტევიო... იქედან ტელევიზორი არ ჩანს-მეთქი.

“ოღონდ ბრძანებები არ იყოსო” - სირჩა აიღო და ჩამოჯდა.

ჩამოჯდა და შუქიც წავიდა. არადა, დაბნელებას იწყებდა.

- მოვა? - მეკითხება.

ლამევა ავანთე.

- არა მგონია, სამაგიეროდ აი, იქ, - აივნზე გასასვლელ ფართო მინის კარზე თითოთ რკალი შემოვსახე: - მთელი ღამე მთვარე იქნება - ჩაეჭურჩულე.

- მართლა? - გაეხარდა, კონიაკი მოსვა.

- ჰო, მართლა. თუ ფარდებს არ დავსურავთ და ის ციცქნა ღრუბლები რომ მიფრინავენ სადღაც, ერთად არ შეიყარნენ... - უკვე ვტიტიტივდები.

- ვერ შეიყრებიან! ქარია, - თქვა, თავი ლოყაზე მომადო, თავის სირჩა კი ჩემსას გაუნკარუნა.

მე ლაპარაკს ვაგრძელებ: - ზუსტად იმ დივანს ადგას. თანაც ამაღამ სავეს მთვარე და ისე გაანათებს, წვრილ-წვრილი ვარსკვლავები არც გამოჩნდებიან...

კიდევ რაღაცის თქმას ვაპირებდი. აღარ მახსოვს ახლა. ალბათ კოსმონავტებზე, მაგრამ გამაწყვეტინა:

“ის დივანი იშლება, თუ იქაც უნდა დავეტიოთ?”

დივანი გაიშალა თავის დროზე. სად იყო და სად არა, შუქიც მოვიდა. აბაზიანი ავაგდეთ. მე მერგო პირველს შხაპი. სიცოცხლეში მგონი პირველად. რაღაც წავილიდინე სააბაზანოში.

ტრუსის ამარა გამოვპლაცუნდი. შევსებული სირჩა ხელში შემაჩეჩა და სველ თმაზე მომეჯაჯგურა.

“მშრალი პირსახოცი თუ არის იქო” -

მკითხა, მაგრამ პასუხს არ დალოდებია.

მთვარე უკვე შემოსკუპულიყო კიპარისის კენწეროზე. ისეთი უზარმაზარი აღარ იყო, აღარც თეთრი. ოქროსფრად ბზინავდა. ის ციცქნა ღრუბლები არც აპირებდნენ შეყრას. ისევ იქეთ მიფრინავდნენ, ოღონდ უკვე აღარ ეჩქარებოდათ.

შუქი გამოვრთე, ტელევიზორიც და დივანზე, თბილი საბნის ქვეშ გავიშლართე.

მთლად შიშველი შემოვიდა ოთახში. “რატომ ჩააქრე ყველაფერიო”.

- ნახე! - ხელით ვანიშნე.

“ვაიმეო” - აივნის კართან მიიბრინა და გაიბრინდა.

- რა ლამაზია არა? - ცოტა ხნის შემდეგ მკითხა-იკითხა.

მე ვეღარ ვარჩევდი ვინ უფრო ლამაზი იყო, მთვარე ციდან ქალს რომ უთვალთვალებდა, თუ თვითონ ქალი.

“რა კარგი ხმაა!” - კიპარისების შრილასაც უსმენდა თურმე. ხელისგულები ერთმანეთს შეატყუბა, მერე ცისკენ გაიშვირა თითი:

- შეხედე, ბოლოს და ბოლოს, შერცხვა...

მთვარეს ღრუბლისათვის ფთილა ნაეგლიჯა და თვალზე აფეარებინა.

- კაცური კაცია და იმიტომ-მეთქი.

- მერე, შენ რატომ არ გრცხვინია? - ცალი ხელი თავის პატარა, შავ პირამიდაზე დაიფარა, მეორე ტუპებზე მიიკრო და გაღიმებული ჩემსკენ დაინარა: - მითხარი!

თვალები დავსუქე - რა უნდა მეთქვა?


ჯერ ჩურჩული გავიგონე: “მთვარეო, არ გვიყურო, იცოდე!” მერე პარკეტზე ჩუსტების ტყაპუნი, საბნის შრიალი. ბოლოს სიცვისაგან ახორკლილი სხეული ტანზე შემომესალტა და გამათბო.

დილა გაცრეცილი გათენდა. აღარ ქროდა ქარი.

ღამე ლოტოსებით მოფენილ ტბაში ნაბანავებმა - გათენებულზე ათი წლის ცოლქმარივით შევახსენეთ ერთმანეთს ჩვენ-ჩვენი სქესი.

მერე თბილმა წყალმა ორივეს ჩამოგვრეცხა მთვარეც, ღამეც, კიპარისებიც და როგორც ხდება ხოლმე, თავები “გადაუდებელი” კითხვებით აგვიგსო დილამ; ყოველ შემთხვევაში, მე განსაკუთრებით!

ყველაზე დიდი, ორსართულიანი კრემიანი



ტორტი, სულ ბოლოს, როცა ყავა დაველიეთ, ბორბალი გამოვცვალე, სასლთან მივიყვანე და ტელეფონები გავცვალეთ, მაშინ გამოაცხო ტვინმა.

- გათხოვილი ხარ? - ვკითხე.

ვკითხე და მიპასუხა:

- ქვრივი ვარ.

- რა მოუვიდა შენ ქმარს? - მეთქი.

მიპასუხა - "აფხაზეთში დაიღუპა".

და მომხვდა კიდეც სახეში რაღაც, მოკვიცილი გაზეთით.

აი, ასე!

რაში გაინტერესებს, ვინ გკითხავს შენ, ქმარი ყავს თუ საყვარელი, მოატრიალე საჭე და წადი შენს საქმეზე... თუ გაქვს, თუ არადა, გადაყენე მანქანა, გადმობი და მიაფსი ლობეს!

სავეს ჭიქა ჩალუყლუყდა იქ, სადაც წვეთიც ყოფნის ხოლმე და ისედაც წერას ატანილს თბილისში რაღა გამაჩერებდა ან ვინ დამაკავებდა?

სისხლის ბუშტიც ცალკე ხომ არა მაქვს, ეს ოხერი - რამდენჯერაც გულზე რაღაც მომხვდება - იმდენჯერ ჩამოვასხა?!
მეორე დილასვე მივუვარდი დას და სიძეს:

- აღარ დამიწყით აგიტაცია. მივდივარ და მორჩა!

ისე ჩამოვარტყი ხელი მაგიდას, კარგა ხანს ენაგადაყლაპული იჯდა ორივე. მეც. "როდისო", - რომელმა მკითხა, აღარ მახსოვს.

- რაღაც-რაღაცებს ვიყიდი და ვგრევე-მეთქი.

მოკვიდე ხელი ჩემ დას. ნოტარიუსი გაფრთხილებული მყავდა, მელოდებოდა და ერთ საათში ბინა გადავუფორმე, ანდერძი-სანჯალებელი ხდება ხოლმე. მანქანა სიძეს - მინდობილობით.

ორი დღე ბაზარ-ბაზარ ვინებიალე, ვიშოვნე, რაც მჭირდებოდა: ჯარისკაცის "ბათინკი" და ქმარი ამერიკული. რიგითის "პანამა" - ქუდი, ზურგჩანთა, მათარა და დანა რუსული. ერთი თბილი, ერთი საზაფხულო შავი მაისური თურქული, ფრისი და კურტკა კი მქონდა.

დარჩენილი ფული დავითვალე. 50 დოლარი ჯიბეში ჩავიდე. 20-20 დისშვილებს, ერთს შარვლის, მეორეს კაბის პატარა ჯიბეში ჩავუკუჭე.

უკანასკნელი ოცდოლარიანი ხან ერთ თითზე დავიხვიე, ხან მეორეზე. ბოლოს მინც აკვ-

რივე ტელეფონზე ციფრები. გაჭირვება არ ეტყობოდა, მაგრამ სამახსოვროდ მინც იყიდის-მეთქი, რამეს.

- ვინ კითხულობს როო?! - ისე "ვაჟაკცურად გაბრაზებულმა" ხმამ მიპასუხა - მივხვდი: იმ დიდი, თეთრი მთვარის საჩუქარს, ქარს რომ გამოატანა ჩემთან, ვილაც ძველი ბიჭი პატრონი ყავდა.

ყურმილი დავკვიდე. მოხვდებოდა სანყალს, მაგრამ რაღას ვუშველიდი. ის ფული კედელზე მივაკარი ჭიკარტით: "ჩამოვალ, დამხვდება".

* * *

თავი არავის გავაცილებინე. ტუ-134-ით იმ დღეს, უფრო სწორად ღამით, ას კაცამდე გავფრინდით. მივფრინავდით ზოგი ფორმით, ზოგი ფრისით, ზოგი შარვალ-კოსტუმით, ზოგი პირველად, ზოგი მესამედ, ზოგი უკანასკნელად.

სოსუმმა ღამის პირველ საათზე მიგვიღო. მოხალისეები ცალკე გავგიყვანეს, "უიგულის" ფარების შუქზე დოკუმენტები შევაცეს და რაღაც, სტუდენტულივით წიგნაკები მოგვცეს.

მერე ავტომატები დავგვირიგეს. ბოლო ავტომატი მე შემხვდა.

- ტყვიები არ არის შიგ, - გამაფრთხილა კაპიტანმა, - გზაში თითო-თითო გამოართვი ბიჭებს... შენ გაგრაში მიდიხარ, აბა, შენ იცი, ვაჟაკცურად! - მხარზე ხელი დამკრა და გისოსებს გადაღმა, ცოლა არ იყოს უცნაურად მოფახფახე, საკისფერი "ზილი" დამანახა.

"რას უყურებ? გზაში თუ არ აგაფეთქეს, დილაზე ჩავიყვანთ გაგრაში".

წავედი!

ეტყობა მე მელოდებოდნენ, გადაძვერი თუ არა საბარგულზე, დაიძრა.

ნახევარ საათში სამი მეგობარი, ხუთი ტყვია და სახელი "ახალო" ვიშოვნე. თავიდან არაუშავს მივდიოდით, მაგრამ პირველივე აღმართი ავთავავეთ თუ არა, მოტორმა ამოიყროყინა. გაფრთხილდით. შოფერმა კაპოტი ახადა, ფარანი ჩაანათა, ეგრევე ხელი ჩაიქნია და ისევ დახურა. კაბინაში თურმე მეთაური იჯდა, ჩამოვიდა, ჯერ შოფერს აგინა, მერე მანქანას, მერე ბორტზე მოკვიბრახუნა:

- ჰე ახლა, ჩამოდით! სანამ არ ინათებს, ეს ამის გამკეთებელი არ არის... დროზე, დროზე! გზიდან გადააგორეთ... და რაც-გინდათ, ის ქნით. გინდა დაიძინეთ, გინდა არაყი და-

ლიეთ... მანქანას მოშორდით... არ შეჯგუფდეთ!

- რჩევა და ბრძანებები ერთად დაგვაყარა.

რატომღაც ჩემთან მოვიდა. "შენ წამო ჩემთან, ესენიც ეყოფიანო". ჩემი ტოლი იქნებოდა, თბილისელი, ალბათ იმიტომ. ტრასის ორივე მხარეს ტყე იყო. გზიდან გადავვდიეთ თუ არა, პალმის ქვეშ ადიალა გაშალა და არაყი გააძრო. პირველი ჭიქაზე გამეცნო და გავეცანი. მეორე რომ ვხიეთ - ანეკდოტები გავცვალებთ აფხაზებზე.

მერე მიყურა, მიყურა და მეკითხება:

- ისე, მეომარს შენ არ გავხარ... შა, ჩენსად, რას გამოიქვცი, ვალებს თუ ქალებს?

შემატყო, მენყინა. ეგრევე გამოცვალა კასეტა: "ტყვიები გაქვსო?" კი-მეთქი - ხუთი ცალი. ჯიბიდან მუჭით ამოიღო და ხუთი ცალი თავისიც დამიყარა. "გაგრაში კიდევ მოგცემენ, მერე მოკლავ ვინმეს და მაგის მეტი რა გექნებაო". მადლობა-მეთქი. ტყვიები მჭიდში ჩავამატე.

- მურტალ ადგილას ვართ. ერთი პირში მიეცი. მე წავალ, ბიჭებს ჩამოვუვლი, ძალიან არ გატყვრნენ. შენ მიდი, ნაუძინე თუ მოახერხებო, - თქვა და წავიდა.

თითქოს არ ციოდა. ყოველი შემთხვევისათვის, ერთი ჭიქა კიდევ დავლიე, ზურგჩანთა თავქვეშ ამოვიდე და მოვიკუნტე.

არც ეგრეა თურმე საქმე - არაყი დალიე, გადობრუნდი, მოიკუნტე, დაიძინე. იფ! ცხვირში ავტომატის სუნე მცემს.

"სადა ვარ, ე?" - ვფიქრობ, - "მანქანას მოშორდითო, ტყვია პირში მიეციო... უხვ "ნა სამი, სამი ფრონტ?"

უმთავარი ღამე იყო, მაგრამ ცა ისე იყო გატენილი ვარსკვლავებით - ტრასის იქითა მხარეს მთელ ნაძვანარს ანათებდა. ნაძვებმა ჩემი კიპარისები გამახსენეს, კიპარისებმა - ტელევიზორი და... ეჰ!

შემცივდა. "ეგ მონახავს კიდევ რამეს"-მეთქი. ადილის მეორე ნახევარი ზურგზე წამოვიფარე, გავთბი და როგორც იქნა, ჩამთვლიმა.

ვილაცის ღონიერმა ჭვინტმა გამომალვიძა.

-ადე! ადე! - დამყვირა.

წამოვბტი. გათენებულყო. ვხედავ მეთაური ბინოკლით ცას აკვირდებდა. ბუზისტოლა ჩანდა რალაც, გუგუნე კი უკვე ისმოდა.

-დაიშალეთ!. ტყეში! ტყეში! - უცებ აღრი-
 ალდა, - ჩქარა! ჩქარა!.. მერე მანქანასთან -

მთელი ხმით ყვიროდა.

რა მანქანა, რის მანქანა?! ორ წამში, თითქოს მეზი დაეცა, მანქანისაგან ცეცხლოკიდებული ბორბლები დარჩა. რაკეტა მოხვდა.

-იმას იქ ხო არ ეძინა, ბიჭო!

მგონი ისევ ის თბილისელი ეძახდა ვილაცას. ვერ დავინახე, ყველანი წაწოლილები ვიყავით. რა უპასუხეს ისიც ვერ გავიგონე - ვერტმფრენი უკვე თავზე დაგვტრიალებდა, დაგვგუგუნებდა, დაგვისინებდა და გვესროდა. ასე დანოლილებს სათითაოდ ამოგვწყვტდნენ. ყველამ წამოინია და ცალ მუხლზე ჩაიჩოქა - სხვა გზა არ იყო, ავტომატების ცეცხლი მივუშვით, მაგრამ რა? - ტანკია! თან ეს რა ცეცხლი იყო? ცეცხლი ციდან რომ მოდიოდა, იმას შვეია. იმხელა ტყვიები მოფრინავდა - ჩემს წინ ბიჭი ისროდა, გზაში ორი ტყვია მაჩუქა, - მთელი სახე ჩამოაგლიჯა!

როგორც იქნა ზემოდან ვილაც გამდმოვარდა და შუაზეც გასკვდა. ვერტმფრენში დაიბნენ, სროლა შეწყვიტეს.

ყველა მიხვდა, მეტი შანსი არ იქნებოდა. ვინც რომელ მხარეს იყო, იქით გაიქცა ტყისკენ. ტყე თუ გადაგვარჩენდა გადარჩენილებს.

ჩანთას ხელი ვტაცე. ახლოს ვიყავი და მოვასწარი ნაძვებში შევარდნა. გავიგონე ისევ რომ ატეხა სროლა ვერტმფრენმა. დაწვექი, გზას გადმოვხედე: ერთი-მეორეზე ცელავდა ბიჭებს და გავრენასაც არ აპირებდა. ორი ტყვია დამიზნებით ვესროლე: მეტი აღარ გავარდა! ვეღარც ვერავის ვუშველიდი რამეს.

აღმართ-აღმართ მივბობდი ტყეში. ძალა რომ გამომელია, უკვე ტყის მეორე ნაპირას ვიყავი. ძლივს ვსუნთქავდი, ავტომატი და ჩანთა დაგყარე და მეც დავეცი.

სახე გამხმარ ნიწვებში მქონდა ჩარგული, სიჩუმე გამაბრუა, თითქოს დამავიწყდა კიდევ სად ვიყავი, მაგრამ მაღე თავზე ვერტმფრენმა გადამირასხრა და გონზეც მომიყვანა. როცა გავხედე, უკვე შორს იყო. ისევ ის იყო, ის არ იყო, რა დაატრიალა იქ, რას გაიგებდი.

ამასობაში, ზამთარში მოშიებულმა ჭიანჭველებმა მიპოვნეს და შემომესივნენ. მეც მშოიდა. ჩანთისკენ ხელი წავიღე და იქვე გადავიფიქრე. ნაძვის ქვეშ ჩემი ძეხვიანად შემჭამდნენ მწერები.

ავდექი, ჭიანჭველები ჩამოვიბერტყე. "მერე მანქანასთანო", იმან რომ დაიყვირა, კი გამახ-

სენდა, მაგრამ ვერც გზას გაგვანებდი უკან და მგონი აზრიც აღარ ჰქონდა.

ჩემს პირდაპირ სივრცეს გაგხედე: ეგება მივედე-მეთქი, - დაახლოებით მაინც, სადა ვარ.

ზღვა, ზღვა, კიდევ ზღვა. იქეთ ორი მალა-ლი თეთრი შენობა, შემდეგ ყურე და სულ ბოლოს, ზუსტად ისე, როგორც მესხიერებას შემოუნახა: ერთმანეთის მიყოლებით, ბაყაყ-დე-ვივით მხართქობზე წამოწოლილი კავკასიონის მთები, იდაყვებს ტალღები რომ ულოკავენ.

გაგრა!

მოკლე ციცაბო რომ ჩამერბინა, ბოლოს ტრასაზე ჩავსტებოდი პალმებთან. ტრასით სიარული გამოვირიცხე. ერთ პატარა მონაკვეთს გავიბრუნე როგორმე და მერე ტყის ნაპირებს გავუყვები-მეთქი. შა-შა, სამი-ოთხი საათი დამჭირდებოდა. ყოველ შემთხვევაში, საღამომდე ნაღდად ჩავალწვედი.

“აფსუს ქუდი!” - ვფიქრობ.

მაგრამ ჯერ, უნდა მეჭამა რამე. კურტკა ჩანთაში ჩავსტენე. ერთი ოცი ნაბიჯით, რომ ზღვა არ დამეკარგა, ტყეში შევედი. ისე დავეჭე, ტყე თვალწინ მქონდა. ზურგით ხეს მივეყუდე და ფეხები გაეჭიმე.

როგორც ბანანი შეიჭმება, რამე რომ იყოს, ორ ლუქაში, ზუსტად ბანანის ხელა, კარგი მაგარი, შებოლილი ძეხვი ორი მოკეჩით ჩავუძახე სტომაქში. ნახევარი მათარა წყალი ჩავაყოლე. მერე გამახსენდა - არაყიც მქონდა. ხელით მოვსინჯე ჩანთაში. მთელი იყო. ძალიან მიკვირდა - დალევა სულ არ მინდოდა, მაგრამ იმხელა შიში მქონდა ნაჭამი თავის სანებელით - აუცილებელი ნამდვილად იყო, თორემ ვატყობდი, ფეხის გამდგმელი არ ვიყავი ტყიდან. სამი დიდი ყლუპი მოვსვი, სიგარეტი დავაყოლე და უკვე ძილი მართმევდა თავს.

რალაც არ მასვენებდა. გამახსენდა, ავტომატს მჭიდო მოვსენი, ეგება გაჭედლილია-მეთქი. მართლაც, პირველი ტყვია ცუდად ჩამეტენა, ახლა თავი ქონდა ამოყოფილი. ძალიან გამახარა. იარაღი გადავტენე, ჩანთა თავექვეშ ამოვიდე და უკვე მშვიდად ჩამეძინა. ერთი ტყვია მაინც მქონდა, ან მტრისთვის, ან ჩემთვის.

ჩამეძინა, თორემ დაგაცლიან იქ ძილს. ახლა გასროლის ხმამ გამაღვიძა.

ის იყო, გავფიქრე - ერთი კაცი ხომ მაინც გადარჩენილა, შევეხმინებო-მეთქი; ავტომატი შეემართე და ატყდა კიდევ ლანა-ლუნი და

დგარადგური.

ფიქრობ: “დოლია? რა არი?” მათარადან პეშვი ავავსე, წყალი მოვსვი, რას ვხედავ? უზარმაზარი შავი ტახი მორბის პირდაპირ ჩემსკენ. პირიდან, მოღუნული, არაბული ზანჯალივით ეშვები აქვს ამოწრილი; თავი, დაულუ-ნია და სადაცაა ამაჭედებს ხეზე.

დაუმიზნებლად გამოვკარი ჩახმახს. ტახმა ჩაიჩოქა, დინგით მიწა გათხარა, რამდენჯერმე ამოტრიალდა და ზედ ბათინკებზე დამალრუ-ტუნა. თვალბეშუა მოხვედროდა, მაგრამ ვხედავ ფერდიდანაც სისხლი მოსდის.

წერაფრის გაფიქრება ვერ მოვასწარი, მძიმე ნაბიჯებით მორბოდა ვილაც. თავი რომ ავნიე, ავტომატი მოღერებულ, წვერმოშვებული, ჩექმებიანი აფხაზი მადგა უკვე თავზე. აფხაზს ყოველთვის ვარჩევდი, ამას ტელნიაშკა ეცვა - მითუმეტეს.

დაინახა, იარაღი დავდე. თვითონაც დაუშვა. მერე ტახთან ჩაიჩოქა, შუბლის ნატყვიარში თითი შეჭყო.

-სალოო! - ცერა თითი ამინია და ისეთი დაუსტვინა, მეთქი, ეგ არის, შეყარა მთელი აფხაზები.

სტვენაზე ბომბორა ნაგაზმა მოირბინა. ენა-გადმოგდებული მიუწვა პატრონს.

აფხაზმა, გეგონება სანადიროდ ვიყავით ერთად წამოსულები, ხმისამოუღებლად გააჩოჩა ტახი, ავტომატი მოიხსნა, ხანჯალი გააძრო და თავი ჩამოაჭრა-ჩამოაჩხა. რა იცოდა იმან, ტყვია მქონდა თუ არ მქონდა, მაგრამ ჩემსკენ ერთხელაც არ გამოუხედავს.

მერე გაფატრა, ნაწლავები ძალს მიუყარა, გულ-ღვიძლი ისევ მუცელში ჩატენა, უკანა ბარკლები მოაჭრა. ერთი მე დამიდო ფეხებთან და გვერდით მომიჯდა. დიდილა კაცი.

სიგარეტი და არაყი გადავუდე. დალია, მოუკიდა. ჩემსათვის ზურგით ხეზე მიყრდნობილი, ნადავლს კმაყოფილი დაჰყურებს და უხმოდ ეწევა. ჩემზე უფროსი იქნებოდა, შეიძლება არც კი, წვეროსანისას რას გაიგებ?

- Ваших всех убили, - უცებ მეუბნება.

- Всех? - გაუფიქრე.

- Всех, - გამიმეორა და დაამთავრა “საუბარი”.

ტახს ნინა ფეხები ტოტებით შეუკრა. ხელით მანიშნა, მომეხმარეო. ორმა კაცმა ძლივს ავნი-ეთ და ტოტებზე გავდეთ.

ტოტები შეანჯღრია, შეამონმა ხომ არ

ჩამოვარდებო. მოჭრილ თავს ეშვებში ჩაავლო ხელი, ავტომატი მხარზე გადაიკიდა, ზედვე ერთი ბარკალი გაიღო, - ЧЕМ скорее отсюда уйдешь, тем лучше-ო დამიბარა და წავიდა.

მეც რა, ტახის სადარაჯოდ ხომ არ დავრჩებოდი? მოგვრიფე ჩემი ბარგი-ბარხანა, ბარკალი მასავით მხარზე გავიდე და უკან მიეყვი.

იქეთ იყო ჩემი გზაც.

ნელა მიდიოდა. მძიმედ იყო დატვირთული, ძალიც ძუნძულით მიჰყვებოდა. ე, ბუნდინერი კაცი-მეთქი, გავიფიქრე, - ნანადირევი მიაქვს ცოლ-შვილისთვის“.

უკანასკნელ ნაბიჯს გაცდა, უკვე ციცაბოზე უნდა დაშვებულიყო, რომ უცებ დაბარბაცდა და ზურგზე დავარდა. ძალი იმ წამს მივარდა, დასუნა და ყურში ჩაჰყვია.

ვერ მოვედი აზრზე რა მოხდა. მეც მივირბინე, მხარზე ხელი მოგვიდე.

- ე! ...ე! - შევანჯღრიე. ძალი გაისუსა.

პირიდან სისხლი მოსდიოდა. ტყვია ლოყაში ქონდა მოხვედრილი, ჩანთიდან კურტკა ამოვიღე, თავვეშე ამოვუდე, დაიკვნესა სანყალმა. ხელის აწვეა კი მოასწრო, გზის იქითა მხარეს, ტყისკენ გაიშვირა, ამოიხრიალა და თავი გადაუფარდა. აწკმუტუნდა ძალი.

ვერც მოვასწარი შემცოდებოდა. “ვილაც მინც გადარჩენილა“ - ეგრევე თავში დამარტყა. მკვდარს კურტკა გამოვაცალე, ავდექი, ჰაერში დავატრიალე და ავღრიალდი.

- აღარ ისროლოთ ბიჭო! მე ვარ! ...მეე!

ანწული ხელები ზურგს უკან გადავაჯვარედინე. პასუხს მივაყურადე.

არ დამიგვიანდა პასუხი: დამეჭვრა და დამაგლო!

ციცაბოზე დავგორდი. გზის პირას, იქ, სადაც ჩახტომა მქონდა დაგემილი, პალმასთან ჩავვარდი და გულაღმა გავიშოტე.

ცამ უკანასკნელი მზერა სულთან ერთად წამართვა. ჯერ არწივი გაეკრო კოკარდასავით, მერე თოლია გაიდღვიბა ღრუბელივით და დაბნელდა.

დაბნელდა, დამთავრდა ყველაფერი. ჩემგან სახელი, გვარი და თბილისამდე ჩასატანი 75 კილოგრამი ბარგი დარჩა, HETTO - რა თქმა უნდა.

ჩემდა ბედად ნახევარ საათში სატვირთომ

გამოიარა. დახოცილები მიჰყავდათ სოსუმში. შემამწინეს, ვილაც ჩამოხტა, ხელი კურტკის ჯიბეში ჩამიყო და წინა ღამით შევსებული წიგნაკი იპოვნა.

- ესეც იმ მანქანიდან არისო, - ასძახა და ბორტზე შემდეგ.

კიდეც კარგი, თორემ ან მგელი შემჭამდა ან ყვავები დამკორტნიდნენ. თვითმფრინავიც იმავე საღამოს მოფრინავდა.

იმ აფხაზს კი, ძალი მიუყვანდა პატრონს.

* * *

სერჟანტმა როგორც იქნა დაამთავრა ნაჯახის დაგადუგი. სამზარეულოდან ჩემიანები იხმო:

- მობრუნდით, ნახეთ. ხომ ნამდვილად ის არის!

და და სიძე შემიჯვიდნენ, დამ დამაკვივლა, რალაც ქალაღზე ხელი მიუწერა და დამიტირა.

იმ ღამით ახალი მთვარე მიყვებოდა:

თურმე, ფრონტზე, შტაბს სარდალი სტუმრობდა. გემრიელად ილუკმებოდა ტახის მწვადებს, თან პირგამოტენილი, ხანდახან თავს გადააქნევდა და თითს დააქნევდა. რაც ალბათ შემდეგს ნიშნავდა:

“აკი ამბობდით საქმელი არა გვაქვსო?“

პოლკოვნიკები მხრებს იჩენავდნენ და თავდაც პირგამოტენილები რალაცას ზმოუდნენ. ალბათ:

“უჰ, პური არ არის, პური, თორემ ხორცის მეტი რა არისო“.



სანილი



თამუნა აკლიაშვილი

* * *

ჩემს სხეულს იღუპალება შეეყარა;
 გამოვიდევარ ხოლმე მისი გარსიდან
 და ვუცქერი, როგორ მიიჩქმალება
 კატასავით შემპარავი ნაბიჯებით,
 როგორ უცნაურად აცურებს ხელებს
 და როგორ იღიმება უმიზეზოდ...
 ჩემს თვალებში ყვითელი, ღაჩრდილული
 მთვარეები აცურდნენ, მრგვალები.
 ჩემი თვალებიდან მთვარეები იცქირებიან,
 როგორც კატის თვალებიდან...
 ჩემში გაჩნდა რაღაცა კატის...
 იღუპალების სველი ხაო,
 კატის ენა ვით...

* * *

ყველაფერი ისე მარტივია
 მე და შენს შორის,
 მკერდი - მტყევანია ყურძნის,
 ყური - ნიჟარა, - ზღვამ რომ გამოირეცა,
 თეძო - მოაჯირი აივნის,
 შემთვრალი რომ გადაეყრდნობი...
 ყველაფერი ისე მარტივია,
 როგორც ასანთის გაკვესება
 ბნელ ოთახში,
 ან ორიოდ წუთი
 შიმშილიდან სიმამღრემდე.
 ყველაფერი ისე მარტივია,
 რომ არა ქალი
 თეთრი ლანდივით გარინდული
 ღამის წიაღში,
 რომ არა ქალი,
 რომლის სხეული საწყაოა აღუვსები
 და სული ჩიტია...

* * *

ნაცრისფერ ქუჩაზე
 ისევ ყრუდ წვიმდა,
 ფანჯრის მინაზე,
 როგორც უმერქნო ლოკოკინები
 იზღაზნებოდა ბლანტი წვეთები
 და შენ მოხვედი,
 დიდი, დაღლილი
 და მე ვიგრძენი
 ჩემი შუქი
 როგორ დაცურდა
 სმელზურგა სკამზე
 და შენსკენ
 როგორ გამოემართა
 და როგორ უხმოდ
 მოგვლაცაცა.

და კვლავ ყრუდ წვიმდა...
 შორს, ცისკიდურზე
 იფურჩქნებოდა
 წვიმის ნეღლი, ნეღლი
 ყვავილი...

* * *

მე ალბათ უფრო მოვიბუზე
 შენს დიდ ხელებში,
 როგორც ბელურა
 ზამთრის პირს რომ
 ვერაფრით თბება...
 წვიმის წვეთების
 კლავიშები
 ხის გრძელ რაფაზე...
 როგორ მწყუროდა...
 და დამეწყრილი სურვილე-
 ბის
 ობოლი ბორცვი...
 ნადირობს ქარი
 ნაპერწკლებზე,
 კოცონთან სხედან...



უსცნობაში

სიზმრად კვლავ ჩემი ქალაქი ვნახე
 და გაზაფხულის სიცილი მთებზე,
 სიზმრად კვლავ ჩემი ქალაქი ვნახე
 ცაში აჭრილი ჩიტებით სავსე,
 სიზმრად კვლავ ჩემი სახლ-კარი ვნახე
 ჩაბუღებული ბავშვობის სხივით.
 სიზმრად კვლავ ჩემი სახლ-კარი ვნახე
 და მოწითალო შუქი ფარდაზე,
 ვარიფულ ტახტზე მძინარე მამა
 და მოცანცაზე სიწუმე ფიქრის...

* * *

ცხოვრება გვირავია,
 რომელსაც დასასრული არ უჩანს,
 მე კი, მკრთალი შუქის ბუბელა,
 მის გასიბუღ კედლებს ვაწყვები,
 უსასრულოდ ვირყევი
 და მცვივა მოციმციმე მტკვერი.

* * *

თენდება!
 ჩიტები იწყებენ ჭიკჭიკს,
 მტეხს უძინარი სხეული.
 შენ მელოდები იქ,
 სადაც შიშველ კედლებს
 დამცინავად შეშლილი სილუეტები
 ფარავენ,
 შენ მელოდები იქ,
 სადაც წყურვილისგან ხრიალკებს ონკანი
 და ნაცრისფერ იატაკზე



დგას უთაო ვაზა,
 რომელიც მუდამ ცარიელია
 და ლამ-ლამობით
 ანათებს წითელი ორნამენტებით.

* * *

მოებზრებული სევდის
 წყლისფერი თვალები;
 გკპამს მშვიდად და დაჟინებით.

* * *

ამ ყრუ სიცილმა
 ჩაანგრია მკერდის ქარაფი,
 შენმა შეხებამ
 ამოსუნთქვად მაქცია ღამის,
 სველი თმებიდან
 გცემს იის სუნი,
 ნუ მიცქერ ასე,
 თითქოს ლეკვი ხარ სევდიანი,
 წაკეწკავა მზერით,
 ერთგულება ზომ
 სულ არ არის
 ყელის საბელი...

მზი

იქ კოპიტები ჩამდგარიყვნენ
 თბილ გუბებში,
 ხასხასა ბალახს კი
 ლაპლაპი გაუდიოდა,
 თმებჩამოწულწულ, ნაწვიმარ ღამეს
 აეკრიფა სველი კალთები,
 მიიჩქაროდა,
 ალაგებდა ეკლიან ბარდებს...
 მწვანე სანთლებად
 ქცეულ ხეებში
 გამჭვირვალე და ისიც სველი
 იდგა დილა და გასცქეროდა
 ცის მღვივან კიდეს...
 ის მზეს ელოდა, ბროწეულისფერს,
 ანოტივებულ თვალის გუგებით...

* * *

შიშმა გლოვის მჭრელი
 თასმებით შემკრა,
 არც არაფერი ამომეთქმის,
 რომ სიტყვას მჭვარტლივით
 ამოვაფლო...
 მუნჯი, უსახლკარო,
 ჩამავალ წითელ მზეს შიშით
 გავკურებ,
 როგორც ჩიტი,
 რომელმაც კერსად დაიბუდა.

* * *

რა უცნაურია
 კვირიდან - კვირამდე ეს ორომტრიალი,
 აქ სიცარიელეს ნებდება ყველა
 ჩემი სურვილი,
 ღამე ჭრელია, ვით გველის პერანგი,
 რომლის ზედაპირზე თითოთ გამომყავს
 ყულუფები ჩემთვის...

* * *

ის მოკვდა, თვალი,
 გასაოცრად რომ იყო ლურჯი,
 ბრიალებდა ლაღად, უტეხად,
 ვით მთის ყვავილი
 უეცრად რომ შეგეფეთება
 ვიყო მდინარის კლდოვან ნაპირზე...
 ეს თვალი ასლა შემომაცქერდა
 მქრქალი, ღვეფლივით გადაბურული
 და მხოლოდ სახე მიღიმოდა, როგორც ნიღაბი...

* * *

მე ვნახე ხეთა
 გაფიხზული ხარაჩოები,
 მე ვნახე თეთრი ფრინველებით
 მცინარი ზეცა,
 და ცხენკაცები შესული
 მდინარის ნაპირს,
 და სქელი ბაგით წაბილწული
 წყლების ანკარა,
 და მათი თმები
 ულაფების ტუების მსვავსი
 როგორც ბოღჩები
 გამოკრული მძიმე კეფაზე,
 მე ვნახე ვრცელი, იღუმალი
 სიკვდილის ბალი,
 შენს სასტიკ ნაბიჯს
 გულში დიდხანს ვეფერებოდი,
 მე ვნახე ცივი, ქვადქცეული
 ქალწულის გვაში
 და აღისფერი კულულები,
 როგორც ზედაშე,
 გაპენტლიფო იქ სიკვდილი
 წითელ ვარდებად...
 მიქელ-გაბრიელს თაიგული მოჰქონდა უბით...



ლუკიანე სამოსატელი (დაახლ. 120-190 წ.) გახლავთ ძველი ბერძენი მწერალი-სატირიკოსი, რომის მოქალაქე, ეთნიკურად სირიელი. მისი სახელით ჩვენამდე 80-მდე თხზულებაა მოღწეული, რომლებშიც ავტორმა უხვად გამოიყენა სხვადასხვა ხასიათის ცნობები კულტურის ყველა სფეროდან: ისტორიიდან, ფილოსოფიიდან, ეთიკიდან, რელიგიიდან, სამართლიდან, ფილოლოგიიდან, ლიტერატურათმცოდნეობიდან.

ლუკიანე სამოსატელი განაქიქებდა თავის ეპოქას, ანტონინების (96-192) სახელგანთქმულ ეპოქას, აღწერდა ზნეობის დაკნინებას, დახცინოდა ამა სოფლის სიამეთ, თვითონ ამა სოფლის სიამეთ დახარბებული, იგი აკრიტიკებდა წინარე თუ თავისი დროის ყველა რიტორულ სკოლასა და ფილოსოფიურ მიმდინარეობას რეალურ ცხოვრებას მონყვეტისა და მათი დოგმატიკაში გადასვლის გამო. ლუკიანეს დაციინვის ობიექტს წარმოადგენდა ყველა რელიგია, მისტიკური გარდასახვანი თუ მაგიის რწმენა. იგი ერთნაირად მიმართავდა ძველი ბერძნული მითებისა თუ მის დროს უაღრესად პოპულარული ფანტასტიკური რომანების პაროდირებას. მისი გმირების აპარეზი გახლავთ უაღრესად უჩვეულო საარემო: ქვესკნელი, ზესკნელი, ზღვის ნიალი... ფილოსოფიისა და რიტორიკის ესოდენ განმაქიქებელმა ლუკიანემ თავის შემოქმედებაში დიდად ისარგებლა ფილოსოფიით და ასევე უხვად გამოიყენა რიტორიკის ხერხები და მეთოდები. ლიტერატურული ფორმებიდან კი მიმართა: მოთხრობას, წერილს, ლექსს, დიალოგს. პლატონის (427-347 წ.) მიერ დანერგილი ფილოსოფიური დიალოგის ფორმას მან თავისი თანამემამულე მენიპე გადარტლის (ძვ.წ. III ს-ის II ნახ.) სატირა დაუმტაცა და ასე გახდა ფუძემდებელი ფილოსოფიური სატირისა. არადა, თვითონაც რამდენჯერ შეუგდია საკუთარი სიცოცხლე ყოფნა-არყოფნის ზღვარზე?

ლუკიანე სამოსატელის წერის სტილი იყო საოცრად ნათელი, დახვეწილი და უშრეტი ფანტაზიით აღსავსე. იგი გახლდათ აგრეთვე დიდი სიტყვათშემოქმედი. ლუკიანემ ბევრი ახალი სიტყვითა და სიტყვაკომპოზიციით გაამდიდრა ძველი ბერძნული



ენა და ყოველივე ამას სულაც თავი რომ დავანებოთ, მან შემოიტანა და დაამკვიდრა ლიტერატურულ და ფილოსოფიურ საზოგადოებაში სივრცეში ისეთი ცნება, როგორცაა "ზეკაცი" რამაც უზარმაზარი როლი ითამაშა ევროპის რელიგიური და ფილოსოფიური აზროვნების განვითარების პროცესში და აქედან გამომდინარე, პოლიტიკურ თუ ყოფით ცხოვრებაში.

მასვე ეკუთვნის ჩვენი, ყოვლისმხსნელი მაცხოვრის მიმართ თქმული სიტყვები "ჯვარზე გაკრული სოფისტი", რაც უფრო მეტად ხატოვანი განმარტებაა მაცხოვრის რაობისა, მხოლოდ და მხოლოდ საჩინო ყურისა და თვალის მქონე ელინიზირებული კაცის მიერ აღქმული და ენიდან დასხლექილი, ვიდრე შეურაცხყოფა.

მეცნიერები ლუკიანე სამოსატელს მეორე სოფისტიკის წარმომადგენლად მიიჩნევენ. დროის თვალსაზრისით კი მეორე სოფისტიკა ადრიანეს ხანიდან (117-138 წ.) იწყება და იულიანე განდგომილის ეპოქით (331-362 წ.) სრულდება. სოფისტიკა, ანუ მაშინდელი განმანათლებლობა, სწორედ

იულიანეს დროს აღწევს თავისი განვითარების უმაღლეს და ამავე დროს უკანასკნელ ფაზას. ასე რომ, ლუკიანეს აყენებენ მეორე სოფისტიკის ისეთი დიდი წარმომადგენლების გვერდით, როგორებიც იყვნენ დიონ ოქროპირის (40-120) მოწაფე ფავორინი არელატიდან (II ს. საფრ.); იმპერატორების მარკუს ავრელიუსისა (161-180 წ.) და ლუციუს ვერუსის (160-169 წ.) აღმზრდელი: ფრონტონი (II ს.) ნუმიდიდან და ჰეროდე ატიკელი (101-177 წ.); ელიუს არისტოდე (117-187 წ.) მიოზიიდან; ათენოსი (II ს.) ნავპატისიდან; სკოპელინი და პოლიმონი (II ს.) მცირე აზიიდან; ლიბანიუსი (314-393) ანტიოქიიდან და ბოლოს თვით იულიანე განდგომილი ფლავიუსთა მეორე დინასტიიდან.

ლუკიანე სამოსატელის შემოქმედებას მკითხველი არასოდეს მოჰკლებია, თუმცა მის პიროვნებას და შემოქმედებას, მისივე თანამედროვე გნოსტიკოს მარკიონ პონტიელის (II ს.) მსგავსად, მაშინდელი კრიტიკა დუმილით უფლიდა გვერდს. სახელგანთქმულ ფლავიუს ფილოსტრატეს (დაახლ. 160-244 წ.) "აპოლონ საკვირველმოქმედისა" და სოფისტთა ბიოგრაფიების ავტორს, ერთი სიტყვაც კი არ დასცდენია მის შესახებ.

სამაგიეროდ, უაღრესად საინტერესო ცნობას ლუკიანეს შესახებ დაახლოებით 1000 წელს გამოცემული სვიდას ლექსიკონი გვანდის. მასში ვკითხულობთ: "ლუკიანე სამოსატელს ღვთისმგამობი და ავსიტყვა იმიტომ უწოდეს, რომ მისი დიალოგები თვით ღვთიურის დაცინვას შეიცავს. იგი იმპერატორ ტრაიანეს (98-117) (უნდა იყოს ადრიანეს (117-138)) და მისი მეგვიდრეების ხანაში ცხოვრობდა. ლუკიანე თავდაპირველად იყო ადვოკატი სირიის ქალაქ ანტიოქიაში, მაგრამ რადგან ამ სფეროში წარმატებას ვერ მიაღწია, ლოგოგრაფოსობას (ამ შემთხვევაში, სასამართლოში წარმოსათქმელი სიტყვა) მოჰკიდა ხელი. ამბობენ, ლუკიანე ძალღებმა დაგლიჯეს, რადგან ჭეშმარიტების წინააღმდეგ იბრძოდა და მართლაც, "პერეგრინის ცხოვრებაში" ის თავს ეხსმის ქრისტიანობას და ლანძღავს ეს უწმინდური თვით ქრისტესს. ამ სიცოფისათვის მას უკვე მიეზლო ამა სო-

ფელში, ხოლო მერმისში სატანასთან ერთად ცეცხლშიც დაიხრუკებაო".

რაც შეეხება რომის პაპებზე განაწყენებულ და მათგან განპატიჟებულ დანტე ალიგიერის (1265-1321 წ.), ვისაც აღმოსავლეთი რომის იმპერია (395 წ.-დან), ე.ი. ბიზანტია, XIV ს.-ის დამდეგსაც ბრწყინვალეობისა და მიუწვდომლობის სიმბოლოდ ესახებოდა (იხ. "ღვთაებრივი კომედია", სამოთხე, ქება VI), თავის ბრწყინვალე პოეტურ და ამავე დროს ენციკლოპედიური ხასიათის ქმნილებაში "ღვთაებრივი კომედია" სულაც არ ახსენებს ლუკიანე სამოსატელს სახელდებით. სამწუხაროდ, ისა და დავერჩენია, ვივარაუდოთ, რომ დანტემ ლუკიანეს, რომლის სულიერი "ოდისეას" ბოლო ნაწილსაყუდარი "ეპიკურეიზმი" იყო, როგორც მატერიალისტსა და სულის უკვდავების უარყოფელს, სწორედ ეპიკურესა (ძვ.წ. 341-271 წ.) და ეპიკურეს მიმდევრებს შორის ჯოჯოხეთის VI გარსში მიუჩინა ბინა. დანტე ალიგიერის ჯოჯოხეთის უქვემორეს, მეცხრე გარსში სამი სახის მქონე სატანას თითო პირში გაჩრილი ჰყავს: იუდა ისკარიოტელი, კასიუსი და ბრუტუსი, მკვლელი იულიუს კეისრისა.

აღორძინების ეპოქამ და განმანათლებლობამ კი აიტაცა ლუკიანეს შემოქმედება, თუმცა, ამას სულაც არ შეუშლია ხელი რომის პაპის პავლე IV-ის (1555-59 წ.) მითითებით 1559 წელს გამოცემულ "აკრძალულ ნიგნთა ნუსხაში" ლუკიანე სამოსატელის "ამბავი პერეგრინის ალსასრულისაც" შეეტანათ. ამ პოლიტიკური პამფლეტის მთავარი პერსონაჟის, პერეგრინ-პროტევის ცხოვრება აზრისა და მარნამის ცვალებადობის თვალსაზრისით ძალიან ჰგავს თვით ჩვენი ავტორის, "კლასიკური ეპოქის ვოლტერად" (ფენგელსი) ნოდებული ლუკიანე სამოსატელის ცხოვრებას, რის გამოც მინდა ეს შესავალი დანტესავე სიტყვებით დავასრულო და მასზე ფიქრი და განსჯა მკითხველს მივანდო.

"... რა ემართება ადამიანს, რომელიც ჰკარგავს თვის ნებისყოფას, რომელშიც ახალი აზრი შეცვლის ძველ აზრებს და ჩაახშობს ქმედების ძალას?"

"ღვთაებრივი კომედია", ჯოჯოხეთი, ქება II, 37.

ამბავი პერიებრინისა აღსასრულისა

1. ლუკიანე ბედნიერებას უსურვებს კრონიოსს (2). ბედურულმა პერეგრინმა, ან როგორც თვითონ ეძახდა კმაყოფილებით საკუთარ თავს, პროტევსმა, ცხადია, იგივე განიცადა, რაც ჰომეროსის პროტევსმა. სახელის მოსახვეჭად ის ცდილობდა ყველაფერი ყოფილიყო, ათასნაირ სახეს იღებდა, სანამ ბოლოს და ბოლოს ცეცხლად არ გადაიქცა. აი, როგორ იყო დიდების ნყურვილით შეპყრობილი. ახლა კი ეს ღრმად-პატივისცემი პიროვნება ემპედოკლეს მსგავსად ნახშირად იქცა. იმ განსხვავებით, რომ ემპედოკლე შეეცადა ეს საქმე მალულად მოემოქმედებინა და მალულად გადაშვებულყო კრატერში. ამ კეთილშობილმა კი ხელსაყრელი დრო იხელთა, როცა ელინთა თავყრილობაზე ყველაზე ბევრი ხალხი იყო, სწორედ მაშინ გააჩნდა ვეებერთელა კოცონი და ამდენი მოწმის თანდასწრებით შიგ ჩახტა. ამას გარდა, ამ თავხედურ გადანყვებულებამდე არცთუ მრავალი დღით ადრე ის ელინთა წინაშე შესაფერისი სიტყვითაც (3) კი წარდგა.

2. აი, გხედავ კიდევ, კრონიოსს, რამდენს იცინი ბერიკაცის სიბრიყვეზე. უფრო მეტიც, მგონი, შენი გაცუების შეძახილებიც მესმის, რასაც ჩვეულებრივ ამბობ ხოლმე: “რა სიბრიყვეა, რა პატივმოყვარეობაა” და სხვა ამისთანანი, რაც ამგვარ შემთხვევებში აღმოგვხდება ხოლმე. შენ, რა თქმა უნდა, ამ ადგილიდან შორსა ხარ და უსაფრთხოდ, მე კი ცეცხლთან გახლდი, მანამდე კი უამრავ მსმენელს სიტყვით მიემართე. იმათგან ზოგს, ბერიკაცის ქმედებით აღტაცებულს, არ მოეწონა ჩემი ნათქვამი. სხვათა შორის, ისეთიც იყვნენ, ვინც დასცინოდა მას. მაგრამ კინიკოსებს ცოტალა დააკლდათ, ისევე დავეგლიჯე, როგორც აქტიონი დაგლიჯეს ძალღებმა, ხოლო მენადებმა კი აქტიონის ნათესავი შენთვისა.

3. ამ დრამის მოქმედებათა მსვლელობა ასეთი იყო: მის შემოქმედს კი, რა კაციც იყო, იცნობ შენ და იცი, რამდენი ტრაგედიაც წარმოადგინა თავის სიცოცხლეში. ასე რომ, თვით სოფოკლე და ესქილეს კი ჩამოიტოვა უკან. მე კი ჩავედი თუ არა ელიდაში (4), გიმნასიონის ახლომახლო უსაქმოდ დავყვავილებდი და თან ვილაც კინიკოსს ვუსმენდი, რომელიც გზაჯვარედინიდან (5) მაღალი და ბოხი ხმით ყველასთვის ნაცნობ საკითხებზე საუბრობდა და ამა-



ვე დროს, მსმენელთ სიქველისაკენ მოუწოდებდა და ამუნათებდა კიდევ მათ. ამის შემდეგ მისი ყვირილი პროტევსის ქებით დაშთავრდა. მე კი შევეცდები, რამდენადაც ეს შესაძლებელია, მესსიერებაში აღვიდგინო ის ამბები და გაიამბო, რაც მაშინ ითქვა: შენ კი წარმოიდგინე ყველაფერი ცხადად, რადგან ხშირად მდგარხარ მათ გვერდით, როცა ისინი ყვირიან ხოლმე.

4. კინიკოსი ამბობდა: “ვილაცას ჰყოფნის თავებდობა პროტევსს პატივმოყვარე უწოდოს! ჰოი დედამიწა და მზეო, ჰოი მდინარეებო და ზღვებო და შენც, ჩვენო ჰერაკლე! პროტევსი ხომ ისაა, ვინც სირიაში ცინეში იჯდა, ვინც მშობლიურ ქალაქს ხუთი ათასი ტალანტი უბოძა, ვინც გააძევეს რომიდან, ვინც მზეზე უნათლესია და ვისაც თვით ოლიმპოს მყრობელთანაც შეუძლია გაჯიბრება! სიცოცხლესთან განშორება ცეცხლის შემეობით განიზრახა მან, რასაც ზოგნი მის პატივმოყვარეობას მიაწერენ. განა ჰერაკლეც ასე არ მოიქცა? განა ცეცხლისაგან არ ივნენ ასკლეპიოსი და დიონისე? განა ვულკანის კრატერში არ აღესრულა ემპედოკლე?”

5. თქვა თუ არა ეს თეაგინემ (6) - ასე ერქვა იმ მჭახესმიანს, - მე ვკითხე შემომკრბალთაგან ვილაცას, რას მიანიშნებდა ცეცხლის ხსენება, ან პროტევსის ჰერაკლესა და ემპედოკ-

ლესთან დაკავშირება, მან კი არცთუ დიდი ხნის შემდეგ მომიგო: "პროტევის მალე დაიწვას თავს ოლიმპიაში". "როგორ" - ნამოვიძახე მე - "რისი გულისთვის?" (7) მაშინ ის შეეცადა, ყოველივე მოეთხრო ჩემთვის, მაგრამ კინიკოსი ისე გაჰყოდა, რომ შეუძლებელი იყო სხვისთვისაც დაგვეგდო ყური. ამიტომ კვლავ მისი მოსმენა მიწვედა. თუაგინე კი განსაცვიფრებელ და გადაჭარბებულ ამბებს აფრქვევდა პროტევის მისამართით. მას ვერც სინოპელი (8) შეედრება, ვერც მისი მასწავლებელი ანტისთენე და ვერც სოკრატე, ზევისიც კი გაიწვია პროტევისა პაექრობაშიო, თუმცა, ბოლოს კი მოიფიქრა როგორღაც, ზევისი მის თანასწორად ელიარებინა და ამით დაასრულა თავისი სიტყვა.

6. "ცხოვრებამ - ამბობდა იგი - ორი საუკეთესო ქმნილება იხილა: ოლიმპიელი ზევისი და პროტევისი. ისინი ხელოვნებმა შექმნეს. ერთი - ფიდასმა, მეორე კი - ბუნებამ? ჰოდა, ახლა ეს ქმნილება ცეცხლის მეშვეობით განეშორება ადამიანებს, ღმერთებამდე აღიწვია და გვერის ჩვენ ობლად". როცა მან, პირზედღოდად მომდინარემ. ეს ყოველივე აღმოთქვა, სხვათა დასანახად თავ-პირის სოკვა დაიწყო, თმაზეც იტაცა ხელი, მაგრამ ამავე დროს ფრთხილობდა, მართლაც რომ არ ამოეგლიჯა ისინი. ბოლოს, როგორც იქნა, ვიღაც კინიკოსებმა გაიყვანეს იგი და ცდილობდნენ მოტირალისთვის დარდი შემსუბუქებინათ.

7. თუაგინეს შემდეგ მყისვე, ისე, რომ ხალხს დაშლა არც კი აცადა, შემადლებულ ადგილას სხვა ორატორმა ავიდა. მას უნდოდა საკურთხეველზე, რომელზეც ჯერ კიდევ მისი წინამორბედის მსხვერპლი ინაულებოდა შესანიერი ზედაშე დაექცია. ორატორმა ჯერ ბევრი იცინა, ცხადად ჩანდა, მთელი სულითა და გულით რომ იცინოდა, შემდეგ კი ამდაგვარად დაიწყო: "ვინაიდან წყეულმა თუაგინემ თავისი ბილნი სიტყვა ჰერაკლიტეს ცრემლებით დაასრულა, მე ისლა დამრჩენია, დემოკრიტეს სიცილით დავიწყო"(9). ამის შემდეგ მან კიდევ იმდენი იხარხარა, რომ ბევრი ჩვენგანიც აიყოლია.

8. შემდეგ კი ორატორმა, დამშვიდადა თუ არა, განაგრძო: "მოქალაქენო, განა შეიძლება სხვანაირად მოიქცე, როცა ესოდენ სასაცილო ამბებს ისმენ, როცა ხედავ ხანდაზმულნი მხოლოდ და მხოლოდ საძაგელი დიდებისთვის ლამის ყირაზე როგორ გადადიან ყველას წი-

ნაშე? რათა გაიგოთ ხელოვნების როგორ ქმნილებას სურს თვითდანვა, მე მომისმინეთ, კაცს, რომელიც თავიდანვე თვალყურს მიადევნებდა პროტევის აზრთა მდინარეებს და მის ცხოვრებასაც კვალში ედგა. ზოგი რამ მისივე თანამოქალაქეებისაგან შევიტყვე, ზოგიც იმათგან, ვისაც კარგად უნდა სცნობოდა იგი.

9. ბუნების ეს იშვიათი ქმნილება პოლიკლეს (10) კანონის განსახიერება გახლდათ სწორედ. პროტევისი ჯერ ხეირიანად არც კი დავაუკაცებულიყო, როცა მას სომხეთში(11) მრუშობისას წაასწრეს და ბლომად სახრეც უთავაზეს, ბოლოს კი მან, უკანალში ბოლოკვანჩილა (12) სახურავიდან ისკუპა და მოუსვა ამის შემდეგ კი სიმწიფის ასაკს მიტანებული ყმანვილი შეურაცხყო და მისი მშობლებისაგან, რომელნიც ძალზე ღარიბნი იყვნენ და პერეგრინის აზის მმართველთან ჩაყვანა არ შეეძლოთ, სამი ათას დრაქმად დაიხსნა თავი.

10. მაგრამ ეს და სხვა ამდაგვარი ამბები, ჩემი აზრით, ახლა გვერდზე უნდა გადავდოთ, ვინაიდან ის მაშინ ჯერ კიდევ უფორმო თიხა იყო და არა ქმნულკეთილი ქანდაკება. აი, ის კი ღირს მოსმენად, რაც მან თავის მამას დამართა, თუმცა, ყველამ იცით, გსმენიათ ყველას, რომ მან დაახრო მოხუცი, რადგან მას უკვე სამოც წელზე მეტი შერულებოდა, პროტევის კი მამის გაძლება უჭირდა. ხოლო მას შემდეგ, რაც ეს ამბავი გახმაურდა, მან საკუთარ თავს თვითონვე მიუსაჯა გაძევება და ხან ერთ ქვეყანაში დაესტებოდა, ხან მეორეში.

11. აი, სწორედ მაშინ გაეცნო პროტევის ქრისტიანთა განსაცვიფრებელ მოძღვრებას, მღვდელმთავრებსა და მწიგნობრებს დაუახლოვდა პალესტინაში, მაგრამ აბა რა გამოდნა აქედან? მოკლე ხანში ბავშვებად აქცია ისინი, თვითონ კი წინასწარმეტყველად, თემის მეთაურად და ხელმძღვანელად დააყენა საკუთარი თავი - მოკლედ, თვითონ იყო ყველაფერი. რაც შეეხება ნიგნებს, იგი განმარტავდა მათ და ბევრს თვითონაც წერდა (13). მას, ვით ღმერთს, ისე მიაგებდნენ პატივს, ემორჩილებოდნენ, როგორც კანონმდებელს და თავის მფარველადც აირჩიეს. ქრისტიანები კი, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ ეთაყვანებიან იმ დიდ ადამიანს, რომელიც ჯვარს აცვეს პალესტინაში, რადგან მან ცხოვრებაში ახალი წეს-ჩვეულებანი დანერგა.

12. ახლა ამის გამო შეიპყრეს პროტევისი და

საპყრობილეთში ჩააგდეს, რამაც შემდგომი თაღლითობისა და პატივმოყვარეობის საქმეში არცთუ მცირე ღირსება შემატა მის სახელს, რისი მოპოვებაც ესოდენ სწყუროდა მას. ასე რომ, პროტევის დაიჭირეს თუ არა, ქრისტიანებმა ეს დიდ უბედურებად ჩათვალეს და მაშინვე ყველა ღონეს მიმართეს მის დასახსნელად. როცა ყოველივე ამო აღმოჩნდა, მაშინ ისინი შეეცადნენ არა ზერეულად, არამედ მთელი მონდომებით მოეცლოთ მისთვის: სადილე-გოსთან სისხამ დილითვე დაინახავდით იქ მუდმივად მყოფ დედაბრებს, ქვრივებსა და ობლებს. მათი მეთაურები კი, მას შემდეგ, რაც მცველები მოისყიდეს, შიგნითაც შედიოდნენ და ღამეც რჩებოდნენ. კერძებიც ნაირ-ნაირი მიჰქონდათ მასთან და ღვთაური სიტყვანიც წარმოითქმედა მათ შორის. სახიერ პერეგრინს - მაშინ ჯერ კიდევ ასე ერქვა - ისინი ახალ სოკრატეს ეძახდნენ.

13. და მართლაც, იმ ქალაქებიდან, რომელნიც აზიაშია, მყისვე ჩამოვიდნენ ვილაცები, წარმოგზავნილნი ქრისტიანული თემებიდან, რათა მხარში ამოსდგომოდნენ პერეგრინს, სიტყვა შეენიათ სამსჯავროში და გაემხნევებინათ იგი. რთულ ვითარებაში, როცა საქმე ყველას ეხება, ქრისტიანები დიდ სიმარდეს ავლენენ და არაფერს იშურებენ ხოლმე. ცხადია, მაშინ პერეგრინს ქრისტიანებისგან ფული მისდიოდა. ასე რომ, ციხეში ყოფნამ მას არცთუ მცირე შემოსავალი გაუჩინა. ამ საწყლებმა დაიჯერეს, რომ მთლად უკვდავნი იქნებიან და მარად იცოცხლებენ. ქრისტიანებს სძაგთ სიკვდილი, ბევრი მათგანი კი თვითონ ეძიებს მას. მათმა პირველმა სჯულმდებელმა დაარწმუნა ისინი იმაში, რომ მას შემდეგ, რაც ბერძნული ღმერთებისგან განიდრიკებიან, აღიარებენ ჯვარზე გაკრულ სოფისტს (14) და მისი კანონების თანახმად იცხოვრებენ, ერთმანეთის ძმები გახდებიან. ამიტომ მათ, ამ მოძღვრებას კრიტიკის გარეშე მინდობილთ, ერთნაირად სძულთ ყოველგვარი სიმდიდრე და თუკი მათთან მივა ვინმე თაღლითი, დიდოსტატი თავისი საქმისა და შექმნილი მდგომარეობით ისარგებლებს, ის მოკლე დროში დიდძალ ქონებას დაიდებს და ამ მიაშიტებსაც გააბიაბრუებს.

14. მაგრამ დაეუბრუნდეთ კვლავ პროტეკსს, რომელიც სირიის მაშინდელ მმართველთან ჩაიყვანეს. ეს კაცი კი ფილოსოფიით გახლდათ

გატაცებული და იხილა თუ არა მან პერეგრინის ჭკუნაკლებობა, ის, რომ იგი მზად იყო მომკვდარიყო, ოღონდ ამით სახელი დაეტოვებინა, გაუშვა იგი, თანაც ისე, რომ სასჯელის ღირსადაც არ ჩათვალა. გათავისუფლებული პროტეკსი თავის სამშობლოში დაბრუნდა და ნახა, რომ მამამისის მკვლელობის გამო დრტივინა ჯერ არ მინელებულიყო და მისი პასუხისგებაში მიცემის მსურველიც ბევრი იყო. მისი არყოფნისას ქონების დიდი ნაწილი დაეტაცნათ, დარჩენილი სავარგულები კი მთლიანობაში თხოშიმეტ ტალანტს თულა შეადგენდა. ისედაც მთელი ქონება, რაც მოხუცმა დატოვა, ოცდაათ ტალანტამდე იყო და არა ხუთი ათას ტალანტამდე, როგორც ამას მეზღაპრე თეაგინი ირწმუნებოდა. ამხელა ქონება მაშინაც კი არ მოგროვებოდა, თუკი ქალაქ პარიონს (15) მთლიანად გაყიდიდნენ და მის მეზობლად არსებულ ხუთ ქალაქსაც ზედ დაამატებდნენ თავისი მაცხოვრებლებით, საქონლითა და დანარჩენი სიმდიდრით.

15. მაგრამ ბრალდებას და სამდურავს ისეთი ცხარე ხასიათი ჰქონდა, რომ ჩანდა, საცა ვილაც გამოვიდოდა მის წინააღმდეგ განჩინებით. განსაკუთრებით დრტივინავა ხალხი, რომელიც პერეგრინის მამას, როგორც პატიოსან კაცს, ისე იცნობდა და ასეთი აღსასრულისთვის ენანებოდა. ამ ჭკვიანმა პერეგრინმა კი, მიაქციეთ ყურადღება, თუ რა გზა იპოვა და როგორ დააღწია თავი ხიფათს?! იგი პარიონელთა სახალხო კრებაზე მივიდა. მაშინ ის უკვე გრძელ თმას ატარებდა, ჭუჭყიან მოსასხამში გახვეულს გუდა მხარს უკან მოეგდო და ხელში კობალი ეჭირა. მოკლედ, სანახაობა ფრიად ტრაგიკული იყო. ამიტომ წარსდგა თუ არა ასეთი სახით შეკრებილთა წინაშე - უთხრა მათ, რომ ყოველივეს, რაც ნეტარსენებულმა მამამ დაუტოვა, თანამოქალაქეებს აძლევდა. მოისმინა თუ არა ეს ხალხმა, რომელიც უღარიბესი და გაცემას დახარბებული იყო, მყისვე ყვირილს მოჰყვა: პერეგრინი ერთადერთი ფილოსოფოსია, ერთადერთი სამშობლოს მოყვარული, ერთადერთი მოშურნე მიმდევარი დიოგენესა და კრატეტისა (16). მონიანაღმდეგეებს პირში ლაგამი ამოსდეს და ვინმეს რომც მოენდომებინა პროტეკსზე თავდასხმა და მამისმკვლელობის შესხენება, ქვით ჩაქოლვას ვერ ასცდებოდა.

16. ასე და ამგვარად, პროტეკსს მეორედაც



დასჭირდა სახეტილოდ წასვლა. საგზაო ხარჯების დამფარავად კი მას ქრისტიანები ჰყავდა, რომელთაგან შეფარებულიც ყველაფერში გულუხვობას გრძნობდა და კაი ხანსაც იცხოვრა ასე. მას შემდეგ კი, რაც მას რალაც შეეშალა ქრისტიანების წინაშე - როგორც ჩანს, ის რალაც აკრძალულის (17) ჭამაში შენიშნეს - თავიანთ საზოგადოებაში აღარ დაუშვეს. შეჭირვებულმა პერეგრინმა ახლა სხვა სიმღერა წამოიწყო მშობლიური ქალაქისაგან ქონების უკან დაბრუნების მოთხოვნით, თან თხოვნაც გაგზავნა იმპერატორთან, რათა მას ქონების დაბრუნების საქმეში ეშუამდგომლა. მაგრამ ქალაქმაც თავის მხრივ ელჩობა აფრინა იმპერატორთან. ასე რომ, პერეგრინმა ვერაფერი მიიღო. მას ებრძანა, დაეცვა თავისი პირვანდელი გადანყვეტილება, რაც არავის დაუძალებია მისთვის.

17. საქმის ამგვარად დასრულების გამო მას მესამედ მოუხდა უცხოობაში ყოფნა, ამჯერად ის ეგვიპტეში, აგატოზულოსთან (18) ჩავიდა. იქ იგი თავს გასაოცარი ვარჯიშებით ინვრთინდა: თავი ნახევრად გადაიპარსა, ნაცრით მოითხუპნა სახე და ირგვლივ შემომკრბალი ხალხის თანდასწრებით აღიგზნებდა თავს, რასაც კინიკოსები განურჩევლობას (19) ეძახიან. ამას გარდა, სხვებსაც ურტყამდა უკანალზე სახრეს და თავისასაც უშვერდა გასანკეპლად (20) და კიდევ ბევრი განსაცვიფრებელი სიახლენი შემოიღო მან.

18. ამგვარად გარდაქმნილმა პროტეგსმა ახლა იტალიას მიაშურა და ფეხი ჩამოადგა თუ არა გემიდან, მისივე ყველას განქიქება დაიწყო. განსაკუთრებით კი იმპერატორისა, რადგან იცოდა, რომ ის უაღრესად უწყინარი და მშვიდი პიროვნება გახლდათ და უსაფრთხოდ მყოფი პერეგრინი ამგვარად თავხედობდა. იმპერატორი კი, როგორც მას შეშვენოდა, ნაკლებ ყურადღებას აქცევდა მის ცუდსიტყვაობას და ღირსეულ ქმედებად არ მიაჩნდა რალაც სიტყვათა გამო ფილოსოფიას ამოყარებული კაცი დაესაჯა, მით უმეტეს, როცა ზოგს აყვირობდა ხელობად ჰქონდა გადაქცეული. ასე და ამგვარ საქმეთა გამო განითქმებოდა სახელი მისი. განსაკუთრებით კი მიაშიტ და გაუნათლებელ ხალხში იძინდა პატივს თავისი უგუნურებით, სანამ ქალაქის თავმა, კაცმა ბრძენმა, პროტეგსი თავის ზღვარდაუდებელ ქმედებათა გამო არ გააძევა და არ განაცხადა, რომ ქალაქს ას-

ეთი ფილოსოფოსი არ ესაჭიროებოდა. სხვათა შორის, ამანაც შესძინა პროტეგსს დიდება და ყველას მისი სახელი ეკერა პირზე. ფილოსოფოსისა, რომელიც სიტყვის თავისუფლებისა და ეგზომ ნანატრი სულის თავისუფლებისათვის (21) გააძევეს. იგი, ამ თვალსაზრისით, მუსონიოსს, დიონსა და ეპიტეტეს და სხვებსაც კი შეადარეს, რომელთაც ამდაგვარი ხვედრი ერგოთ.

19. აქედან კი, ცხადია, პერეგრინი პირდაპირ ელადაში ჩამოვიდა და ხან ელველებს ლანძღავდა, ხანაც ელინებს არწმუნებდა რომაელთა წინააღმდეგ იარაღისთვის მოეკიდათ ხელი, ხან კი ბოროტებდა და ძვირს ამბობდა იმ ღირსეულ და განათლებულ კაცზე (22), რომელმაც ელადისათვის გაკეთებულ ბევრ კარგ საქმესთან ერთად, წყალიც გამოიყვანა ოლიმპიაში და წყურვილი მოუკლა იქ სადღესასწაულოდ შეკრებილ ხალხს. ბოროტებდა იმაზეც, თითქოს ამ კაცმა გაააზიზა ელინები, რომ ოლიმპიური თამაშების მონაწილეთ უნდა გაეძლიათ წყურვილისთვის. თუმცა, ზევსს ვფიცავ, შეკრებილთაგან ბევრი ილუბებოდა ულმობელი სნეულებებით, რაც აქამომდე ამ კუთხის უწყლობითა და ხალხის სიმრავლით იყო გამოწვეული. ამას ამბობდა კაცი, რომელიც ამ წყაროდან თვითონაც სვამდა. ხალხმაც არ დაახანა და ვისაც რა მოხვდა ხელში, იმით გაეკიდა პერეგრინს. ამ კეთილშობილმა კაცმა კი, რომ არ მოეკლათ, ზევსის საკურთხეველს შეაფარა თავი.

20. ხოლო შემდეგ, დადგა თუ არა მომდევნო ოლიმპიიდა, მან ელინთა წინაშე ოთხი წლის განმავლობაში შეთხზული სიტყვა წარმოთქვა, რომელშიც იგი ხოტბას ასხამდა წყლის გამომყვან პიროვნებას და ამასთანავე თავსაც იმართლებდა მაშინდელი გაქცევის გამო. რა თქმა უნდა, პროტეგსი ამ დროს უკვე ყველასაგან უყურადღებოდ იყო დარჩენილი და აღარც ადრინდელი პატივი ჰქონდა - ყველა მისი ძველი ოინი ცნობილი იყო, ახლის მოფიქრება და შემოჯარული ხალხის ყურადღების მოზიდვა კი, რაც უსოდენ სურდა მას, აღარ შეეძლო - ამიტომ ბოლოს და ბოლოს, პროტეგსმა მაინც მოიფიქრა თავხედური რამ ცეცხლთან დაკავშირებით და გასული ოლიმპიადისას ელინებში ხმები დაყარა, რომ ახლანდელი თამაშებისას დაინგავდა თავს.

21. და ახლა, როგორც ამბობენ, ამ მიზეზ-

თა გამო საკვირველმოქმედებს: თხრის მიწას, ეზიდება ფიჩხს და ირწმუნება, რომ არნახულ გამძლეობას გამოიჩინს. არადა, უმჯობესი, ჩემი აზრით, ის იქნებოდა, სიკვდილისთვის დაეცა და სიცოცხლეს არ დასძვრომოდა ხელიდან და თუ მაინცდამაინც საჯაროდ გამოაცხადა, ცეცხლისა და ტრაგიკული ქმედებებისათვის კი არ უნდა მიემართა, არამედ სიკვდილის სხვა ხერხი უნდა აერჩია, რომელიც ათავგავარია. ვთქვათ, შერაკლესავით ეტრფის ცეცხლს, მაშ რატომ არ აირჩია უღრანი ტყე მალულად და რატომ მარტო არ დაინვაჯს თავს? მაშ, რატომ არ იახლებს თუნდაც მხოლოდ ერთ თეაგინეს ფილოქტეტეს რანგში? ამან კი ოლიმპიაში ხალხმრავალი დღესაწაულისას, ლამის სცენაზე მონიდომა დახრუკვა. თუმცა, ვფიცავ შერაკლეს, დაუშახურებელი სულაც არ იქნება, თუკი მაშისმკვლელები და ათეისტები თავიანთი ნათავებდარის გამო სამართალს მიეცემიან. ასე რომ, პროტევსმა კიდევაც დააგვიანა. ძველ საქმეთა გამო ის ფაქტარდის სხეულში (23) უნდა გადაშვებულიყო აქამდე. აი, ეს იქნებოდა ღირსეული სასჯელი. მყისიერად კი არ უნდა მომკვდარიყო ცეცხლისათვის ერთხელ პირის დაფრენით - როგორც ბევრი მარწმუნებს, ცეცხლზე იოლი ხერხი სიკვდილისა არ არსებობს: საკმარისია პირი გააღო და უკვე მკვდარი ხარ.

22. პროტევსმა კი ახალსახიობა რამ შემოიღო, მგონი, ფიქრობს, რომ დიდებული სანახაობა იქნება წმინდა ადგილას ადამიანის დაწვა. იქ, სადაც მიცვალებულთა დაძმარსვაც უწმინდურებაა. ჩემი აზრით, მოსმენილი გექნებათ, რომ უწინაც ყოფილა სახელის მაძიებელი და როცა მისი მოპოვების სხვა გზა ვერ მოუწახავს, არტემიდეს ტაძარი გადაუწვავს ეფესოში. რაღაც ამდგავარს სწადის პროტევსიც, რომელიც სახელის მოხვეჭის ესოდენ სიყვარულს შეუპყრია.

23. თუმცა ამბობენ იმასაც, რომ ამას იგი ადამიანებისთვის აკეთებს, რათა მათ სიკვდილის სიძულვილი და სხვა განსაცდელთა გაძლება ასწავლოს. მე კი ვისურვებდი, მეკითხა, ცხადია, არა მისთვის, არამედ თქვენთვის, ნუთუ ინდომებდით, ბოროტმოქმედნი პროტევსის მონაფენი გამხდარიყვნენ, ცეცხლში დაწვა, ეს სიამამეც, სიკვდილის სიძულვილი და სხვა მსგავსი საშინელებანი ესწავლათ? მაგრამ მე კარგად ვუნცი, ამას არ ისურვებდით თქვენ.

აბა, როგორ უნდა გაერკვეს პროტევსი იმაში, რომ ზნეკეთილ ხალხზე ზრუნვით შეპყრობილმა არ არის საჭირო, ისედაც გარეწარნი კიდევ უფრო მამაცნი და თავზეხელალებული გახადოს?

24. ვთქვათ, ისეც მოხდეს, რომ ამ სანახაობაზე მხოლოდ ისინი წავიდნენ, ვინც სასარგებლო დასკვნას გამოიტანს, მაშინ კიდევ გეკითხებით თქვენ: ნუთუ ისურვებდით თქვენი შვილები ასეთი კაცის მოშურნე მიმდევარი გამხდარიყვნენ? ალბათ, არას ბრძანებთ, თუმცა ამას რას გეკითხებით, როცა მის მონაფეთაგან არავის სურს, მასწავლებელს მიბაძოს? ამიტომ უპირანია თეაგინე გაეკიცხოთ, ვინადან ყველაფერში მისი მოშურნე მიმდევარი თან არ ახლავს მასწავლებელს შერაკლეს გზაზე და როგორც თვითონ ბრძანებს, ხელს იღებს შესაძლებლობაზე, პროტევსთან ერთად ცეცხლში თავის დურთვით უბედნიერესი გახდეს. ხომ არ შეიძლება მიბაძვის საგანი იყოს: გუდა, ჯოხი და დაცხავებული მოსასხამი - ეს ხომ უსაფრთხოა, იოლი და თანაც ხელწიფება ყველას. მთავარია, საბოლოო და უმთავრეს ქმედებებში მიბაძვა. კოცონი რაც შეიძლება ნედლი ლედვის ტოტებისაგან უნდა გააჩალო და კვამლში გაიგუდო. ცეცხლი, როგორც სიკვდილის საშუალება, შერაკლემ და ასკლეპიოსმა როდი უწყოდნენ მხოლოდ. მის შესახებ ტაძართა მძარცველებმა და ქურდებმაც იცოდნენ, რომელთაც განკითხვის შემდეგ, როგორც ვხედავთ, წვავენ ხოლმე. მაშასადამე, უმჯობესია კვამლით სიკვდილი, ეს მხოლოდ თქვენ მიერ გამოყენებული ხერხი იქნებოდა.

25. რაც შეეხება შერაკლეს, თუკი მან მართლაც გაბედა ამდაგვარი რამ, სნეულების გამო მოიქცა ასე. როგორც ტრაგედია მოგვითხრობს, კენტავრის სისხლი ცოცხლად ჭამდა მას. ამან კი რა მიზეზთა გამო უნდა ჩაიგდოს თავი ცეცხლში? ვფიცავ ზევსს, იმასაც კი გვეუბნებიან იმის გამო, რომ ბრაჰმანთა მსგავსად უნდა აჩვენოს თავისი შემართებაო. თეაგინემ პროტევსი ხომ მათაც გაუტოლა. თითქოს ინდოელთა შორის შეუძლებელია მოიძევებოდეს ბრიყვი და ამპარტავანი ადამიანი. ასეთ შემთხვევაში დაე მიბაძოს ბრაჰმანებს. მაგრამ ისინი მაშინვე კი არ ცვივიან ცეცხლში, როგორც ამას ჩვენ ალექსანდრეს ხომალდის მესაჭე ონესიკორიტი (24) გადმოგვცემს, რომელმაც თვითონ იხილა კალანის დაწვა, არამედ ჯერ



კოცონს გააჩაღებენ და მას მიეფიცებიან უძრავად. არაფერს აქცევენ ყურადღებას, შემდეგ კი ცალმხარდამწვარი წარმოსადგეობის შენარჩუნებით ადიან კოცონზე და ყოველგვარი ჩქამის გარეშე ცვივანი შიგ. აბა, იმაში კი რა იქნება დიდებული თუკი პროტევის ჩახტება ცეცხლში და მისგან შთანთქმული მოკვდება? არც იმის იმედია, რომ ნახევრად დაშვარი უკან არ გამოვარდეს, თუკი, როგორც ამბობს, ცეცხლის დასაგზნებად ღრმა ორმოს არ ამოხსრის.

26. ისეთიც არიან, რომელნიც ირწმუნებიან: პროტევისა გადაიფიქრა და ახლა სიზმრების ახსნას უნდა მიჰყოს ხელი, ვინაიდან ზევსს მისთვის წმინდა ალაგის წაბილწვა აუკრძალავსო. მაგრამ ნუ ინაღვლებს იგი ამის გამო. მე მზად ვარ საჯაროდ დავიფიცო, რომ არავინ გაბრაზდება ღმერთთაგან, თუკი უბადრუკი ბერიკაცი უბადრუკად აღესრულება. სხვათა შორის, მისთვის იოლი როდი იქნება უკანდახვევა, ვინაიდან თანამყოფი კინიკოსები აქეზებენ პერეგრისს და ცეცხლისაკენ ეზიდებიან, თან მის აზრს აცხოველებენ თანისთანობით და სისუსტის გამოვლენას არ დაუშვებენ. აი, პროტევის ორ კინიკოსს მაინც რომ გადაიყოლებდეს ცეცხლში, ეს მისი ერთადერთი სამადლო საქმე იქნებოდა.

27. მე ისიც შევიტყვე, რომ მას უკვე აღარ სურს პროტევის ერქვას და ფენიქსად გადაირქვა სახელი. ვინაიდან ფენიქსი, ეს ინდური ფრინველი, როგორც ამბობენ, ღრმა სიბერეს მიტანებული, ცეცხლში ინვაეს თავს. ამას გარდა, პერეგრინი თურმე არაკებსაც თხზავს და ნანინასწარმეტყველევათაც განმარტავს, მაგრამ, ცხადია, ძველებს: ჰყვება თითქოს ღამის მცველ სულად უნდა იქცეს. ამით, რალა თქმა უნდა, ის სურვილს გამოთქვამს, საკურთხეველები დაუდგან და იმედი აქვს, რომ ოქროს ძველსაც

აღუმართავენ.

28. და მართლაც, ვფიცავ ზევსს, არაფერია იმაში გასაოცარი, თუკი ბრიყვთა ასეთ სიმრავლეში ისეთი ადამიანებიც გამოჩნდებიან, რომელნიც მტკიცებას მოჰყვებიან, თითქოს მისი შემწეობით ოთხდღიანი ციებ-ცხელებისაგან განიკურნენ და ღამისმცველ სულსაც გადაეყარნენ ღამით. ჩემი აზრით, მისი წყეული მონაფენი კოცონის ადგილას სამლოცველოებსა და სამისნოებს აუგებენ, ვინაიდან ის ცნობილი პროტევისი და ზევსის ძე, ამ სახელის ფუძემდებელი, ასევე წინასწარმეტყველი იყო. ღმერთებს ვიძომნებ, რომ პროტევისს ქურუმებსაც დაუნიშნავენ მათრახებით, დასაგზნები საშუალებებითა და სხვა ამისთანაით, ან კიდევ ბოლოს, ზევსს ვფიცავ, ღამის მისტერიებსაც შემოიღებენ ცეცხლის ირგვლივ ფერხულითა და ღამისთევებით.

29. არცთუ დიდი ხნის წინ თეაგინეს, როგორც მე პროტევისის ერთმა ამხანაგთაგანმა მითხრა, უმტკიცებია, თითქოს სიბილასაც ჰქონოდას ამ ამბების შესახებ წინასწარმეტყველება. მან გაიხსენა იგი და ლუქსად გადმომცა მე. პროტევისმა, აღმატებულმა კინიკოსთა შორის, მესთანმტყორცნელი ზევსის მამულში, ვინაიდან დაინვა თავი, ამაღ გიბრძანებთ, ან დღეს ყოველმა ინებოთ მხოლოდ მინდვრის ნაყოფი. ქებაც მივუძღვნათ უდიადეს გმირს, ღამლამობით მოხეტიალეს, ჰერაკლესა და ჰეფესტოს ძალით შემოსილს და მათსავე თანამოსაყდრეს.

30. თეაგინე ირწმუნება, რომ მან ეს სიბილასაგან მოისმინა, მე კი მას ამ საკითხთან მიმართებით ბაქიდეს(25) წინასწარმეტყველებას შევასხენებ, ხოლო რასაც ბაქიდე ბრძანებს, ძალიან კარგად ებმის სიბილას თქმულს:

როს კინიკოსი მრავალსახელა ცეცხლს შეერია, რამეთუ ჰქონდა ბეჩავი სული ამპარტავნების ისრით დაჭრილი, ძალღმელა უნდა ყოფილიყვნენ მის მიმდევარნი, მკვდარ მელის ბედი სამოძღვრებოდ რომ გაეხადათ, ამიტომ ვბრძანებ, ვინაც სიმხდალით გაქცევა ჰეფესტოს ძალას, აქაველებმა ის გარეწარი ჩაქოლონ ქვებით, რათა ცივისსხლამ არ წარმოთქვას მგზნებარე სიტყვა და ვით მევახშემ გაიძემკოს ოქროთი გულად, დიდმეშენიერ ქალაქ პატრამში მოიქონია სამგვერ სუთი ტალანტი ვინაც.

რას ფიქრობთ მოქალაქენო? განა ბაქიდე, როგორც წინასწარმეტყველი სიბილაზე სუს-

ტია? ასე რომ, დროა პროტევის განსაცვიფრებელმა თანამაზრებებმა "ჰაერად" გადატყვევისათვის - ასე ეძახის ისინი დაწვას - ადგილი შეათვალთვირონ.

31. თქვა თუ არა ეს ორატორმა, ყველა იქ შემომკრბალმა ერთხმად შესძახა: დიას, ეგენი ნამდვილად ღირსნი არიან ცეცხლში დაიდაგონ. ამის შემდეგ მან სიცილით დატოვა შემალღებული ადგილი, მაგრამ ნესტორს ხმაური არ გამოჰპარვია (26), ე.ი. თეაგინეს, რომელმაც ყური მოჰკრა თუ არა ყვირილს, მყისვე იქ გაჩნდა, პირმალზე ავიდა, ყიოდა იგი და თან ათასგვარ უჯვრო სიტყვას წარმოსთქვამდა ორატორის მისამართით, რომელიც ის-ის იყო ჩამოვიდა შემალღებული ადგილიდან. მე კი ისიც არ ვიცი, ვინ იყო ეს კეთილშობილი კაცი და რა ერქვა მას. შემდეგ გამოვერიდე თეაგინეს, რათა ის ყვირილით გამსკდარიყო და ათლებების სანახავად გაწვიე. ელანოდიკები (27) კი, როგორც ამბობდნენ, უკვე ასპარეზზე იყვნენ. აი, ყოველივე ის შენივის, რაც ელდიამი მოხდა.

32. მას შემდეგ, რაც ჩვენ ოლიმპიაში ჩავედით, ტაძრის უკანა მხარე მუდამ სავსე იყო როგორც პროტევის მიძაგებლებით, ასევე იმ ხალხით, ვინც ქებას ასახმდა მის განზრახვას. ასე რომ, მათ შორის ხელწართულ ბრძოლამდეც კი მიდიოდა საქმე. ბოლოს თვით პროტევისც მოვიდა ბევრი და ჭრელი ხალხით შემოჯარული. მან დამძახებლის შემდეგ წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც ისაუბრა თავისი ცხოვრების შესახებ, როგორ განვლო იგი, რამდენი ხიფათი გამოიარა და რა განსაცდელი გადაიტანა ფილოსოფიის გულისთვის. კიდევ ბევრი რამ თქვა მან, მაგრამ მე ცოტა თუ მესმოდა დამსრუთა სიმრავლის გამო. შემდეგ შეშინებულიმა, ვითუ ამ ჭედვაში ვინმეს გადავექელე, როგორც ბევრს მოსვლია ეს მაყურებელთაგან, ზურგი ვაქციე და დავტოვე გრძელი სიტყვის მოყვარე და სიკვდილმონყურებული სოფისტი, რომელიც თავისი აღსასრულის წინ სამგლოვიარო სიტყვას ამბობდა.

33. სხვათა შორის, აი, ამდაგვარი რაღაცის მოსმენა მაინც მოვახერხე: ის ამბობდა, რომ ოქროვანი ცხოვრებით მცხოვრებს სურდა სიცოცხლის ბოლოს გვირგვინიც ოქროსი დაეღვა თავზე. ჰერაკლესებურად მცხოვრები ჰერაკლესავით აღსრულებულიყო და შერთოდდა ჰაერს. "მე - ამბობდა იგი - მსურს სარგებლო-

ბა მოვუტანო ადამიანებს. მსურსო, ვუტეგო როგორ უნდა სხაგდეთ სიკვდილი, რისთვისაც საჭიროა, ყოველმა მათგანმა ჩემთან მიმართებაში ფილოქეტობა შექლოსო". პროტევი ამას რომ ამბობდა, იქ მყოფთა ყველაზე მიაბიტი ნაწილს გული აუწყყდა და ყვირილი მორთო: "იცოცხლე, ელინებისთვის". უფრო გულადნი კი იძახდნენ: "შეასრულე აღნათქვამი". საქმის ასეთმა ვითარებამ შეაკრთო ბერიკაცი, იგი იმედოვნებდა, რომ ყველა მას ჩააფრინდებოდა, ცეცხლთან არ მიუშვებდნენ და ცხადია, თავისდა უნებურად ცოცხალი დარჩებოდა. სრულიად მოულოდნელად კი აღმოჩნდა, რომ ნათქვამის შესრულება მოუწევდა, რამაც კიდევ უფრო გააფითრა იგი, თუმცა აქამდეც მკვდრის ფერი ედო. ახლა კი, თვითაც ზევსს, შიშისაგან ერთიანად კანკალებდა, ასე რომ, დაასრულა მან თავისი სიტყვა.

34. მე კი, წარმოიდგინე, რამდენს ვიხარხარებდი. ჩემი აზრით, სიბრალულის ღირსი არ იყო ის კაცი, რომელსაც სხვათა უმეტეს სდევნიდა განდიდების სიშმაგე. ასე იყო თუ ისე, ბერიკაცი თვალს ავლებდა მისით აღტაცებული ხალხის სიმრავლეს, მაგრამ ის კი არ იცოდა საცოდავმა, რომ ხალხის გაცილებით მეტი სიმრავლე იმათ მოსდევს ხოლმე, ვინც ჯვარზე უნდა გააკრან, ან ვინც უკვე ჯალათს გადასცეს.

35. ეს ოლიმპიური თამაშებზე დასრულდა, ულამაზესი იმათ შორის, რაც მე მინახავს, უკვე მეოთხედ ვესწრებოდი ამ თამაშებს. ბოლოს - ვინაიდან ეტლი ვერ გავაჩერე შინ წამსვლელთა სიმრავლის გამო - ჩემდა უნებურად იქაურობას შემოვრჩი. ბერიკაცმა კი, რომელიც სულ აყოვნებდა დაქადნებულის აღსრულებას, როგორც იქნა, საჯაროდ დაასახელა ის ღამე, როცა ყველას დასანახად დაინვაგდა თავს. მართალია, მე ერთმა ჩემმა ამხანაგთაგანმა გამიყოლა თან, მაგრამ შუალამისას ადევქი და მაშინათვე ჰარპინას (28) მივაშურე, სწორედ იქ იყო ცეცხლი. მთელი ეს მანძილი თუკი ოლიმპიიდან აღმოსავლეთით ჰიპოდრომის გასწვრივ ივლიდი ოცი სტადიონი იქნებოდა. ჩვენ ჩქარი ნაბიჯით ვიარეთ და მივადექით ცეცხლს, რომელიც სიღრმით ერთი ორგია (საფენი) იქნებოდა. იქ მაშხალაც ბევრი იყო და ფიჩხი ჩასაკეთებლად, რათა კოკონი სწრაფად ავიზგიზებულიყო.

36. როცა მთვარე ამოვიდა - ჩანს, მასაც უნ-

და ენახა ეს მშვენიერი სანახაობა - გამომჩნდა პერეგრინი. ის ნიადაგ სახმარ სამოსში იყო გამოწყობილი და თან კინიკოსთა მეთაურნიც ახლდნენ. მათ შორის უადრესად კეთილშობილი კინიკოსი ქალაქ პატრადან. ხელში ჩირაღდნით - არცთუ ურიგო მეორე როლის შემსრულებელი. მაშხალა ეჭირა თვით პროტევესაც. ყოველი მხრიდან მოდიოდნენ კინიკოსები და თითოეული ცალ-ცალკე აღვივებდა ცეცხლს. მალე, მართლაც, უზარმაზარი ალი ავარდა, ვინაიდან მაშხალაც ბლომად იყო და ფიჩხიც. ბერიკაცმა - ახლა კი მთელი შენი გონების მოკრებას ვითხოვ - მოიხსნა გუდა, მოსასხამი. დედო თავისი კომბალი ჰერაკლეს კომბლის მსგავსი რომ იყო და წმინდა ტილოსაგან შეკერილი ჭუჭყიანი პერანგის ამარაღა დარჩა. შემდეგ მან ლიბანის ხისგან დამზადებული საკმეველი მოთხოვა ცეცხლში შესაგდებად. როცა ვილაცამ მიანოდა იგი, მართლაც ცეცხლში გადაუძახა და სამხრეთისაკენ მზერამიპერობილმა (ვინაიდან სამხრეთიც მისი ტრაგედიის ნაწილი იყო) წარმოთქვა: "სულნო დედაჩემის და მამაჩემისა, მიმიღეთ და კეთილად დამიურვეთ". თქვა თუ არა ეს, პროტევეს ცეცხლში გადაეშვა. მისი დანახვა, რა თქმა უნდა, უკვე შეუძლებელი იყო, ვინაიდან ცეცხლის უშველებელმა ენებმა შთანთქმეს იგი.

37. აი, კვლავ მოციწინარს გხედვ შენ, კეთილო კრონიოს, დრამის ასეთი დასრულების გამო. მე, როცა პერეგრინი დედის სულს უხმობდა, ამას ძალიან სულაც არ გავუღიზიანებოვარ, მაგრამ როგორც კი მამის სული ასენა, გამახსენდა ამ კაცის სიკვდილის შესახებ გავრცელებული ხმები და სიცხის ველარ ვიკავებდი. კინიკოსები კი ცეცხლთან იდგნენ. არ ტიროდნენ, ცეცხლს მისჩერებოდნენ ისინი და დუმილით გამოხატავდნენ საკუთარ მწუხარებას. მე, ცხადია, აქამდე თავშეკავებულმა, ვუთხარი ბერს: "ახრეუზულნო, რა სიამოვნებაა დამწვარი ბერიკაცის ყურება და უფარგისი ჰაერის სუნთქვა? ან იქნებ, ელით, რომ ვილაც მხატვარი მოვა და ისევე დაგხატავთ, როგორც სოკრატესთან ციხეში მოსულ მოწაფეებს ხატავენ? კინიკოსები გაბრაზდნენ და ლანძღვა დამინწყეს, ზოგი ჯოხსაც დასწვდა, თუმცა მე იქეთ დავემოქრე, რომ ვისაც დავიჭყრდი, ცეცხლში გადაეშავებდი, რათა მასწავლებელს მიჰყოლოდნენ კვალში. მათ ლანძღვა შეწყვიტეს და მშვიდად გაჩერდნენ.

38. იქაურობას რომ ვტოვებდი, ჩემო მეგობარო, ჭრელაჭრულა აზრები მომდიოდა თავში. მაინც რაში მდგომარეობს პატივმოყვარეობის არსი? - განვსჯიდი ჩემთვის - და რამედნე გარდუფალია იგი თვით იმ ადამიანებისთვისაც გამორჩეულებად რომ გვეჩვენებინან. მაშ ალარც არაფერი სათქმელი იმ კაცზე, რომელიც უწინაც გონთგადასული იყო და ყოველ მხრივ განუსჯელად ცხოვრობდა და რომელიც დაუმსახურებლად როდი დაინვა ცეცხლში.

39. შემდეგ ბევრს ისეთსაც შეეხვდი, ვისაც ყოველივეს თვითონვე ნახვა სურდა. ისინი იმედოვნებდნენ, რომ პერეგრინს ცოცხალს მიუხსნებდნენ, ვინაიდან წინა დღეს ხმები დაყარეს, რომ იგი მზის ამოსვლისას ჩავნათებოდა ცეცხლში - როგორც ამას, მცოდნეთა თანახმად, ბრაჰმანები სწადიან. ბევრი იმათგანი უკან გაავბრუნე, რადგან ავუსხენი, რომ საქმე დასრულებული იყო, ბევრს კი დანვის ადგილისა და მინავლული კოცონის ნახვა აუცილებლად მიაჩნდა. აი, მაშინ კი, ჩემო მეგობარო, ცხადია, მე ბევრი საქმე გამომიჩნდა. ყველას ვუყვებოდი, ისინი კითხვებს მაყრდნენ და მომხდარის დანვრილებით შეტყობა უნდოდან. როცა ვინმე საზრიანს გადავანყებოდი, მომხდარს ისე მოვუთხრობდი, როგორც შენ გიყვები, ხოლო როცა მიამიტსა და მოსმენაზე დახარბებულს ვხვდებოდი, რაღაც-რაღაცებს ჩემით შეთხზულსაც ვამატებდი, მაგალითად ასეთს: როცა ცეცხლი აგიზგიზდა და პროტევეს შიგ გადაეშვა, ჯერ მიწა იძრა ძლიერ, რასაც თან ერთვოდა გუგუნის, შემდეგ კი შუაგული ცეცხლიდან ძერა გამოფრინდა, რომელმაც, აღინოდა რა ზეცად, ადამიანის მსგავსად დაიძახა ხმამალა: "დავტოვე წარმავალი ნუთისოფელი და ოლიმპოსკენ მივემართები". მსმენელებს გაცოცხლა იპყრობდა, სასოებდნენ ბერიკაცს ძმონოლატანილი და თან მეკითხებოდნენ: "საით გაფრინდა ძერა, აღმოსავლეთით თუ დასავლეთით"? მე კი რაც ენაზე მომადგებოდა, იმას ვპასუხობდი.

40. კვლავ ხალხის თავყრილობას დავებრუნდი და ერთ მსცოვან კაცს მივადექი, რომელმაც, ვფიცავ ზევსს, ნდობა აღმიძრა თავისი შესახედაობით, წვერითა და სხვა დანარჩენითაც. მან ყველაფერი მიაბო პროტევესის შესახებ და ისიც დააყოლა, რომ თვითონ ნახა ბერიკაცი დანვის შემდეგ თეთრითომოსილი და

ახლანდის იგი, მხიარულად მოსიარულე, შვიდ-ხმინა ჭიშკართან (29) დატოვა, ტყის ზეთისხილის ტოტებით შეთხზული გვირგვინით თავზე. შემდეგ კი ამ ყოველივეს ძერას ამბავიც მოაყოლა, თან ფიცქვეშ ირწმუნებოდა, რომ მან საკუთარი თვალთა იხილა, როგორ გამოფრინდა ძერა ცეცხლიდან. არადა, სულ ცოტა ხნის წინ მე დავანყებინე ამ ძერას ფრენა, რათა მიამიტი და ბრივალად ადამიანებისათვის დამეცინა.

41. ამას მოვავალში როგორი ამბები მოჰყვება, შენ თვითონ წარმოიდგენ. რანაირი ფუტკარი არ მიიყრის აქ თავს, რანაირი ჭრიჭინა არ იჭრიჭინებს, ან რანაირი ყორანი არ მიფრინდება იმ ადგილას, ზუსტად ისევე, როგორც შესიოდეს საფლავზე, და კიდევ რამდენი ამდაგვარი რამ მოხდება? ამბობენ, რომ ელელთაგან და თვით ელითაგანაც ბევრს, რომლებთანაც პროტევეს მიმოწერა ჰქონდა, განუზრახავს მას მოკლე ხანში ქანდაკებები დაუდგას, და მჯერა, ასეც იქნება. იმასაც ამბობენ, პერეგრინმა ყველა სახელგანთქმულ ქალაქს წერილები დაუგზავნა სულიერი ანდერძით, რჩევა-დარიგებებითა და წესებით აღსავსე, რისთვისაც თავის მეგობართაგან ვიღაცები აირჩია მოციქულებად და "მკვდართანგელოზნი" და "საიქიოს მოციქულნი" უწოდაო მათ.

42. აი, ასეთი იყო ბუდკრული პროტევესის აღსასრული კაცისა, რომელიც მოკლედ რომ ვთქვათ, ჭეშმარიტებას არასოდეს აგდებდა რამედ. იგი ყველაფერს სახელისა და ხაზნისაგან ქება-დიდების მისაღებად ამბობდა და აკეთებდა. სწორედ ამისთვის ჩაგარდა ცეცხლში. თუმცა ახლა უგრძობქმნილი ვეღარ გაიხარებს მისადმი აღვლენილი ხობით.

43. ადრე თქმულს კიდევ ერთსაც დავამატებ, გულანად რომ გაიცინო. თუმცა, ეს ძველი ამბავია და შენც იცი. სირიიდან დაბრუნებულმა მაშინვე გაამბე: როგორ ვიმგზავრეთ მე და პერეგრინმა ტროადიდან ზღვით. როგორ თავნებობდა იგი გზაში, თან ვიღაც ჭაბუკი მოჰყავდა, რომელიც დაერწმუნებინა კინიკოსობის გზას დასდგომოდა, რათა თვითონვე მყოფოდა იგი ალკიბიადეს რანგში. ან როგორ შეშინდა, როცა შუა ვეგოსის ზღვაში ლამით წყვილიად ჩამოწვა, ვეებრთელა ზღვის ტალღები აზვირთდა, როგორ მოთქვამდა ქალებთან ერთად ეს გასაოცარი კაცი, სიკვდილზე აღმატებულად რომ მოჰქონდა თავი.

44. თავის აღსასრულამდე ცოტა ხნით ად-

რე, ასე, დაახლოებით ცხრა დღის წინ, ბერიკაცი - უნდა ვიფიქროთ, რომ მან უზომოდ მიერთვა - მთელი ღამის განმავლობაში აღებინებდა და ძლიერმა ციებ-ცხელებაზე შეიპყრო. ეს ამბავი ექიმმა ალექსანდრემ მიაგმო, რომელიც პროტევესის გასასინჯად დაიბარეს. ალექსანდრემ ავადმყოფს ძირს მოსხავს მიუსწრო. პროტევესი სიცხეს ვეღარ უძლებდა და ექიმს რაიმე ციეს გავიყუბით სთხოვდა თურმე. მან კი არ მისცა არაფერი. თქმით კი უთხრა, რომ ყოველ შემთხვევაში, თუკი ის მართლაც აპირებდა სიკვდილს, ახლა თვითონ სიკვდილი უკაკუნებდა კარზე. ასე რომ, კარგი იქნებოდა თან გაჰყოლოდა და ხელი აეღო ცეცხლზე. მას კი, თავის მხრივ, უპასუხია: "სიკვდილის ეგ გზა ჩემს სახელს ვერაფერს შესძენს, რადგან ეგ ყველას ხვედრია".

45. ალექსანდრესაგან შევიტყვე ყოველივე ეს. მე კი არცთუ მრავალი დღის წინ თვითონ ვნახე, როგორ წაიცხო პერეგრინმა ქუთუთოებზე ყოველც მძაფრი სუნის წამალი თვალზე ცრემლი რომ მოსდგომოდა. ხედავ? დიდი სიამოვნებით არ დებულობს თურმე ეაკი მრუმედ მხედველებს. ეს ხომ იმას ჰგავს, ჯვარცმის წინ კაცმა დაშვებულ თითზე იზრუნოს. როგორ გგონია შენ, ლემოკრიტე რას იზამდა ამის მნახველი? სამართლიანად დააყრდა სიცილს ამ კაცს? თუმცა, სად მოიხილება დემოკრიტე ამოდენა სიცილს? მაშ, იცინე შენც, ჩემო კეთილო, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა პოისმუნ სხვანი როგორი აღფრთოვანებულნი არიან მისით.

შენიშვნები:

1. პერეგრინი - არის ლათინური საზოგადო სახელი და ნიშნავს "სახლს გარეთ", "საზღვრებს მიღმა", "უცხოეთში მავალ კაცს". რომის მოქალაქეობის მრავალსაფეხურიან სისტემაში პერეგრინი, ლათინისაგან განსხვავებით, აღნიშნავდა ისეთ თავისუფალ ადამიანს, რომელსაც როგორც ნომმა, მინიჭებული ჰქონდა ბუნებითი კანონი - *ius gentium*, პერეგრინთა ზოგიერთი თემი კი ფლობდა ქორწინების - *ius conubii* და ვაჭრობის *ius commercii* -ს უფლებასაც. პერეგრინის ძებურძნული შესატყვისი იყო მეტეკი. რომის იმპერიაში 211 წ. იმპერატორ კარაკალას (211-217 წ.) მიერ გამოცემული კონსტიტუციის თანახმად, რომის ყველა მოქალაქე აბსოლუტურად თანაბარუფლებიანი გახდა და პერეგრინმაც, როგორც თავისუფალი მოქალაქის რაღაც გარკვეული დონის აღმნიშვნელმა ტერმინმა, არსებობა შეწყვიტა.

შემდგომში ეს სიტყვა ლათინურიდან იტალიურში გადავიდა უკვე ქრისტიანული შინაარსით და აღნიშნავდა "მოხეტიალე, ყველგან მავალ მომოლცველს". მას ასწენებს დანტეს (სამოთხე, ქება 31, 43). ეს სიტყვა იტალიური-

დან ფრანგულ და გერმანულ ენებში გადავიდა, გერმანული ენის მეშვეობით კი XVIII ს-ის რუსეთშიც შეღწეა, იქედან კი ჩვენთან.

პერეგრინის წარმართული ქართული ყოფიდან ქრისტიანულ მწერლობაში გადმოვიდა შესატყვისა "მწირი - სხვით მოსრულა" (იოანე საბანოძე), აგრეთვე "მსხეში", "ყარბიბი". რუსთველი კი მწირის მაგივრად იყენებს არაბული წარმომავლების "ღარიბს", თანაც სრულიად საერთო დატვირთვას ანიჭებს მას.

პერეგრინი - ეს საზოგადო სახელი ლუკიანე სამოსატელმა საკუთარ სახელად აქცია. მაგრამ მოუხედავად ამის, ლუკიანეს პერეგრინისა თუ ამ სახელს ამოვარებული სხვა პიროვნების ისტორიულბას ადასტურებენ: რომაელი ავტორი ავულოს გელიუსი(II ს.). თავის "ატიკურ ლამებში" პერეგრინს სერიოზულ და განონსანორებულ ადამიანს უწოდებს. მას ასხენებს აგრეთვე ეკლესიის ისტორიის მამად წოდებულ ზომერი არიანელი ევსევი კესარიელი (260-339). იულიე გაბდაშილინს გაღმერთებული ამიანე მარცელინუსი (IVს) და სხვანი.

პერეგრინის პიროვნებით არაერთხელ დაინტერესდა მკვლევართა მამიძე გონძა. ზოგამ მის პიროვნებაში, ლუკიანეს ნაწარმოებში მოყვანილი მონაცემების თანახმად, ანტიოქიის ეპისკოპოსი, მონაშე, ადრექრისტიანობის დოგმატიკის ფუძემდებელი, "იდეველიყოველთა" და "დოკტრინის" მონიანდადმდე ეგნატუს ლმერთმეზოსილი (დაახლ. 69-107 E.) დაინახა (დ.ფელტური). თუმცა პერეგრინის პიროვნებაში ასევე თამამად შეიძლება მოიხსენიოთ მონაშე პოლიკარპე სირნელი (დაახლ. 69-156 E.), მომხსრე და თვითმბილელი იოანე ლვისმეტველინსა. 80 წლის პოლიკარპეს აზიის პროკონსულმა ჯანდრატუმმა კოცონზე დანვა მიუსჯა. იგი გალოკით შეხვედრისა თავის აღსასრულს, ხოლო მორწმუნარი, შემწარნი ამ ფაქტისა, ირწმუნებოდნენ, რომ საკუთარი თვალით იხილეს, როგორ გამოეჩინა მტერისა სახით პოლიკარპეს სული ცეცხლიდან.

პერეგრინის პიროვნებით ასევე დაინტერესებულა და მისი რეაბილიტაცია უწყდა გერმანელ განმანათლებელსა და ლუკიანეს შემოქმედების უბადლო მთარგმნელს კრისტოფ მარტინ ვილანეს (1733-1813 E.).

პერეგრინი და მით უმეტეს მისი შემოქმედებითი მოღვაწეობა მხედველობიდან არ გამოეჩინა ქრისტიანობის ისეთ მოძულესა და კრიტიკოსს, როგორც ფენგელსი იყო. იგი თავის ნაშრომში "ადრეული ქრისტიანობის კრიტიკისათვის" წერდა: "ჩვენ ვერ ვიჭებთ იმაში დარწმუნებულნი, შეიძლება თუ არა რამე ჩვენს ახალ აღიქმამში, იმ მრავალრიცხოვან თხზულებათაგან, რომელთაც თხოვდა პერეგრინი.

- კრონიოსი - ლუკიანეს ადრესატის, კრონიოსის შესახებ სხვა წყაროები არ არსებობს, რის გამოც იგი ხან ფილოსოფოს-ეპიკურულად არის მოხსენიებული მეცნიერთა მიერ, ხან კი ფილოსოფოს-პლატონიკოსად.
- სიკვდილის, თუ თვითმკვლელობის წინ შესაფერისი სიტყვის წარმოთქმა (გაიხსენით სოკრატეს საუბარი თავის მონადეებთან. პლატონის დიალოგი "ფედონი". ქსენოფონტე "სოკრატეს აპოლოგია") განსაკუთრებული მნიშვნელობა იმპერიის ეპოქაში შეიძინა. თვითმკვლელობა ხდებოდა საჯაროდ, ბრძნული სენტენციების წარმოთქმით და ერთგვარ სექტეტკლასკი წარმოადგენდა, ამიტომ პირველქრისტიანთა სიკვდილისწინა დუმილი ელიზიზმურეთათვის ახალი რელიგიის არსებობის დიდი გონებრივი გაქანების მაჩვენებლად მიიჩნეოდა. შემდგომ

ში საზოგადოებისადმი სიკვდილისწინა მიმართვა ქრისტიანულ მწერლობაშიც დამკვიდრდა და მას ჩვენ უკვე "შუშინიკის წამებლამიც" ვხედავთ დუმილის გვერდზე.

- ელია - პელოპონესის ჩრდილო დასავლეთის მხარე. 570-დან იქ იმართებოდა ოლიმპიური თამაშობანი, თუმცა საბერძნეთის პოლიტიკურ ცვლილებაში მას დიდი როლი არ შეიძინა დაკისრებული.
- გაზაგარედნი - ამით ლუკიანე ირონიულად მიანიშნებს იმ ფაქტზე, რომ, როგორც ესაი, საბერძნეთის მოსახლეობა სამი გზის შესაყარებ შევატეს საგზალს - საილის, ან შესანირის წარჩენებს ანყოზად, რითაც უადრბოესი მოსახლეობა და თვით კინიკოსებიც სარგებლობდნენ.
- თეაგენი - ისტორიული პიროვნება, II ს-ის კინიკოსი, პერეგრინის მიმდევარი.
- თვითმკვლელობა არ წარმოადგენდა ბერძენთა ცხოვრებისეულ ნორმას, თუმცა ესტელე, სოფოკლე, ევრიპიდე და პლატონი მას ამართლებდნენ გარდუვალი შურისგენის, პირადი უბედურებისა, თუ განსაკუთრებით ავადმყოფობების ფაშს. თვითმკვლელს არ ეუფთვნოდა დაკრძალვის ცერემონიის პატივი. თვითმკვლელსა და კინიკოსებს და შემდეგ სტოიკოსებმაც თვითმკვლელობა უპირიზო თავისუფლების რანგში აიყვანეს. სენეკას აზრით, "განსაჯო ძალადობა საკუთარ სიცოცხლეზე" ნიშნავს იმას, რომ "გზა გადაუვლო თავისუფლებას". ასევე სანტისტესა, რომელი პოეტის, სენეკას ნათესავის ლუკიანის სიტყვები "იარალი იმისთვის არსებობს, არავინ იყოსი მონა". ეს იარალი კი აუცილებლად მიმართული იყო მულობელისკენ და არა ტრანისკენ, როგორც ეს საფრანგეთის რევოლუციის 1789 ფაშს იაკობინელებმა გაიბტეს და ამოკვეთეს კიდევ ლუკიანის სიტყვები თვითან, იარაღზე.
- სინოპელი - იგულისხმება დიოგენე სინოპელი. შემდეგ ჩამოთვლილ ფილოსოფოსთა ქრონოლოგიური და სუბორდინაციული დამოკიდებულება ასეთია: სოკრატე (ძვ.წ.470-399), ანტისთენე (ძვ.წ.444-366), კინიკური სკოლის ფუძემდებელი. დიოგენე სინოპელი (ძვ.წ.412-323). კინიზმის მიმდევართა აბსოლუტური უმრავლესობა იყო მეტეუკი. პერეგრინი (ლათი), რასაც მათი კოსმოპოლიტობის უმთავრეს მიზეზად მიიჩნევენ. კინიკოსთა ფილოსოფიის შქონდა სამი მთავარი საყრდენი: 1. ასკეზა - სულის წყნარა იდეების პრაქტიკაში განსორციელებით; 2. აპაიუფოსია - გაუნთლებლობა და უკულტურობა; 3. ავთარკია - მცირედით, ხელმისაწვდომით კმაყოფილება და აქედან გამომდინარე, დამოუკიდებლობა და თავისუფლება.
- ჰერაკლიტე ევესტელს (ძვ.წ.564-483) ბერძნული ტრადიცია პირქუშად წარმოსახავდა, მის ნაწერებს კი უწოდებდა ბნელს, განსწავებით ატომისტ დემოკრიტესი (დაახლ. ძვ.წ.460-370), რომელსაც სულ სახემლიმარს უწოდებდა და ასევე წარმოაჩენდა.
- პოლიკლეტე (ძვ.წ.V) გამოჩენილი ბერძენი მოქანდაკე "მაღალი კლასიკის" წარმომადგენელი, რომლის ქმნილება "შუბოსანი" მამაკაცის სილამაზის ტბალონად ითვლებოდა.
- სომხეთი - სომხეთის მეფის ტიგრან II დიდის დროს (ძვ.წ.95-55) ლუკიანეს სამშობლო, სირიის ჩრდილო პროვინცია კომაგენის სოფენას ატრიპატნას, კაბადოკიას, და შუამდინარეთის ნაწილთან ერთად სომხეთის შემადგენლობაშიც კი შედიოდა ძვ.წ.66 წლამდე, სანამ რომმა არ დაამარცხა ტიგრან II. ასე რომ, ლუკიანეს, როგორც კომაგენას კოსმოპოლიტური დედაქალაქის, სომხობას

დან ფრანგულ და გერმანულ ენებში გადავიდა, გერმანული ენის მეშვეობით კი XVIII ს-ის რუსეთშიც შეაღწია, იქედან კი ჩვენთან.

პერეგრინის წარმართული ქართული ყოფიდან ქრისტიანულ მწერლობაში გადმოსული შესატყვისია "მწერი - სხვით მოსრული" (იოანე საბანაძე), აგრეთვე "მსხემი", "ყარიბი". რუსთველი კი მწირის მაგივრად იყენებს არაბული წარმოშობის "ლარობს", თანაც სრულიად საერო დატვირთვას ანიჭებს მას.

პერეგრინი - ეს საზოგადო სახელი ლუკიანე სამოსატელმა საკუთარ სახელად აქცია. მაგრამ მიუხედავად ამისა, ლუკიანეს პერეგრინისა თუ ამ სახელს ამაოფერებული სხვა პიროვნების ისტორიკოსების ადასტურებენ: რომელი ავტორი ავლუს გელიუსი(II ს). თავის "ატიკურ ლამებში" პერეგრინს სერიოზულ და განონასწორებულ დაბაობას უწოდებს. მას ასსენებს აგრეთვე ეკლესიის ისტორიის მამად ნოდუბელი ზომერი არიანელი ევსევი კესარიელი (260-339). იულინე განდგომილის გაღმერთებული ამიანე მარცელისონი (IVს) და სხვანი.

პერეგრინის პიროვნებით არაერთხელ დაინტერესდა მკვლევართა მძიბებელი გონება. ზოგმა მის პიროვნებაში, ლუკიანეს ნაწარმოებში მოყვანილი მონაცემების თანახმად, ანტიოქიის ეპისკოპოსი, მოწამე, ადრეკრისტიანობის დოკუმტის ვუძემდებელი, "იუდეველმყოფელთა" და "დოკეტების" მოწინააღმდეგე ენაბტე ლმირიუმოსილი (დაახლ. 69-107 E.) დიანახა (დ.ფელტერი). თუმცა პერეგრინის პიროვნებაში ასევე თამამად შეიძლება მოიხაზროთ მონამე პოლიკარპე სპირნელი (დაახლ. 69-156 E.), მომსწრე და თვითმწილველი იოანე ღვთისმეტყველისა. 80 წლის პოლიკარპეს აზიის პროკონსულმა კუადრატუსმა თავის კოცონზე დაწვა მიუსაჯა. იგი ბალოპით შუბედედობა თავის აღსასრულს, ხოლო მორწმუნეთი, შემსწრეთი ამ ფაქტისა, ირწმუნებოდნენ, რომ საკუთარი თვალით იხილეს, როგორ გამოფრინდა მტრედის სახით პოლიკარპეს სული ცეკლიდან.

პერეგრინის პიროვნებით ასევე დაინტერესებულა და მისი რეაბილიტაცია უცდია გერმანელ განმანათლებელსა და ლუკიანეს შემოქმედების უხალხო მთარგმნელს კრისტოფო მარტინ ვილანდს (1733-1813 E.);

პერეგრინი და მით უმეტეს მისი შემოქმედებითი მოღვაწეობა მხედველობიდან არ გამოორჩენია ქრისტიანობის ისეთი მოძულესა და კრიტიკოსს, როგორც ფენგელსი იყო. იგი თავის ნაშრომში "ადრეული ქრისტიანობის კრიტიკისათვის" წერდა: "ჩვენ ვერ ვიჭებთ იმაში დარწმუნებულნი, შეიპარა თუ არა რამე ჩვენს ახალ აღთქმაში, იმ მრავალრიცხოვან თხზულებათაგან, რომელთაც თხზავდა პერეგრინი.

- კრონიოზი - ლუკიანეს ადრესატის, კრონიოზის შესახებ სხვა წყაროები არ არსებობს, რის გამოც იგი ხან ფილოსოფოს-ეპიკურელად არის მოხსენიებული მცენიერთა მიერ, ხან კი ფილოსოფოს-პლატონიკოსად.
- სიკვილისი, თუ თვითმკვლელობის წინ შესაფერისი სიტყვის წარმოთქმამ (გაეისენით სოკრატეს საუბარი თავის მონაცემთან. პლატონის დიალოგი "ფედონი". ქსნოფონტე "სოკრატეს ამოლოგია") განსაკუთრებული მნიშვნელობა იმპერიის ეპოქაში შეიძინა. თვითმკვლელობა ხდებოდა საჯაროდ, ბრძნული სენტენციების წარმოქმით და ერთგვარ სექტაკლსად კი წარმოადგენდა, ამიტომ პირველქრისტიანთა სიკვდილისწინა დუმილი ელიზიზირებულათვის ახალი რელიგიის არცთუ დიდი გონებრივი გაქანების მარცხნულად მიჩნეოდა. შემდგომ

ში საზოგადოებისადმი სიკვდილისწინა მიმართვა ქრისტიანულ მწერლობაშიც დამკვიდრდა და მას ჩვენ უკვე "შუშანიკის ნაშებაშიც" ვხედავთ დუმილის გვერდით.

- ელიად - პელოპონესის ჩრდილო დასავლეთის მხარე, 570-დან იქ იმართებოდა ოლიმპური თამაშობანი, თუმცა საბერძნეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში მას დიდი როლი არ ჰქონდა დაკისრებული.
- გზაჯვარედინი - ამით ლუკიანე ირონიულად მიიანიშნებს იმ ფაქტზე, რომ, როგორც წესი, საბერძნეთის მოსახლეობა სამი გზის შესაყარზე შეკატეს საგზაღს - სადლის, ან შესანარის ნარჩენებს აწყობდა, რითაც უღარბესი მოსახლეობა და თვით კინიკოსებიც სარგებლობდნენ.
- თეაგრე - ისტორიკოსი პიროვნება, II ს-ის კინიკოსი, პერეგრინის მიმდევარი.
- თვითმკვლელობა არ წარმოადგენდა ბერძენთა ცხოვრებისულ ნორმას, თუმცა ეს ქილე, სოფოკლე, ევრიპიდე და პლატონი მას ამარბობდნენ გარდაუდებლად შერცხვენის, პირადი უბედურებისა, თუ განსაკუთრებული აცადმყოფობების ფაშს. თვითმკვლელს არ ეკუთვნოდა დაკრძალვის ცერემონიის პატივი. სოფისტებმა და კინიკოსებმა და შემდეგ სტრიკოსებმაც თვითმკვლელობა უპირობო თავისუფლების რანგში აიყენეს. სენეკას აზრით, "განსაცო ძალადობა საკუთარ სიცოცხლეზე" ნიშნავს იმას, რომ "გზა გადაუკეტოს თავისუფლებას". ასევე სანისტერუსი, რომელი პოეტის, სენეკას ნათესავის ლუკანის სიტყვები "იარაღი იმისთვის არსებობს, არავინ იყოსო მონა". ეს იარაღი კი აუცილებლად მიმართული იყო მკვლობელისაკენ და არა ტირანისკენ, როგორც ეს საფრანგეთის რევოლუციის 1789 ფაშს იაიბონებულმა გაიგებს და ამოკვეთეს კიდევ ლუკანის სიტყვები თავიანთ იარაღზე.
- სინოპელი - იგულისხმება დიოგენე სინოპელი. შემდეგ ჩამოთვლილი ფილოსოფოსთა ქრონოლოგიური და სუბორდინაციული დაშოკიდებულება ასეთია: სოკრატე (ძვ.წ.470-399), ანტისტენე (ძვ.წ.444-366), კინიკური სკოლის უწყემდეგელი. დიოგენე სინოპელი (ძვ.წ.412-323), კინიზის მიმდევრთა აბსოლუტური უმრავლესობა იყო მეტეკი ე.ი. პერეგრინი (ლათ), რასაც მათი კოსმოპოლიტიზმის უმთავრეს მიზეზად მიჩნევენ. კინიკოსთა ფილოსოფიას ჰქონდა სამი მთავარი საყრდენი: 1. ასეკება - სულის წვრთნა იდეების პრაქტიკაში განხორციელებით; 2. აპაიდესია - გაუნათლებლობა და უკულტურობა; 3. ავთარკია - მცირედით, ხელმისაწვდომით კმაყოფილება და აქედან გამომდინარე, დამოუკიდებლობა და თავისუფლება.
- პერაკრეტე ეფესტულს (ძვ.წ.564-483) ბერძნული ტრადიცია პირქუშად წარმოსახავდა, მის ნაწერებს კი უწოდებდა ბნელს, განსტავებით ატომისტ დემოკრიტისა (დაახლ. ძვ.წ.460-370), რომელსაც სულ სახელობის უწოდებდა და ასეც წარმოაჩენდა.
- პოლიკეტე (ძვ.წ.V) გამოჩენილი ბერძენი მოქანდაკე "ნაბალი კლასის" წარმომადგენელი, რომლის ქმნილება "შუბოსანი" მამაკაცის სილამაზის ეტლიანად ითვლებოდა.
- სომხეთი - სომხეთის მეფის ტიგრან II დიდის დროს (ძვ.წ.95-55) ლუკიანეს სამშობლო, სირიის ჩრდილო პროვინცია კომაგენა სოფენას ატრიპატენას, კაბადოკიას, და შუამდინარეთის ნაწილთან ერთად სომხეთის შემადგენლობაშიც კი შედიოდა ძვ.წ.ანწ წლამდე, სანამ რომმა არ დაამარცხა ტიგრან II. ასე რომ, ლუკიანეს, როგორც კომაგენას კოსმოპოლიტური დედაქალაქის, სამოსატის



პანიკა კურეიში (დ. 1954), ცნობილი ინგლისელი პროზაიკოსი, დრამატურგი, სცენარისტი. არის რამდენიმე ლიტერატურული პრემიის ლაურეატი, მათ შორის უაითბრედისა. არის ავტორი რომანებისა "გარეუბნელი ბუდა" (1990), "შავი ალბომი" (1995), "სი-ახლოვე" (1998)

ერთ საღამოს ჩვენ ძველ სახლთან აღმოვჩნდი და ანაზღად მახლობელი პაბის კარი შევალე. იქ კი მამაჩემი დამიხვდა. ლონდონიდან შინ მობრუნებულს თუ შემოველო გზად და ახლა ბართან გამოქვიშულიყ. მამამ ვერ მიცნო, მე კი გამიხარდა მისი დანახვა, გამიხარდა კი არა, კონაღამ გავვიჟიდი სიხარულით. აბა, რა იქნებოდა, ის ხომ ათი წლის გარდაცვლილი იყო. დედამ კი ამ ხუთი წლის წინ დამიქნია ხელი.

მივედი და მივესალმე.

- საღამო მშვიდობისა. - მიპასუხა მან.
- ვხედავ, აქაურობა არ იცვლება.
- მერედა, მაგას რა სჯობს?

გუშინ, გუშინწინ და იქამდე

საშინლად მომინდა დაღევა და სასმელი შევუკვეთე. მერე იქვე მიგდებულ ძველ გაზეთს დაეხედე და თარიღის მიხედვით გამოვთვალე, რომ მამა ჩემზე ერთი წლით თუ იქნებოდა უფროსი. მე ხომ გუშინ ორმოცდაათი შემისრულდა, ეს კი დაახლოებით ორმოცდათერთმეტის უნდა ყოფილიყო. ახლა ჩვენ თითქმის ტოლები ვიყავით, ასე ვთქვათ, ერთი თაობის ადამიანები. თუმცა რა, განა სულ ასე არ იყო?

ის ბართან წამოყუწულ კაცს ესაუბრებოდა, მიმტანი გოგონა კი ორივეს მონდომებით ეკისკისებოდა. მამაჩემს ყველაზე უკეთ მე ვიცნობდი, ყოველ შემთხვევაში ასე მეგონა. ერთი სული მქონდა გადავხვეოდი, ანდა ხელზე მაინც მეკოცნა ადრინდებულად, მაგრამ ვარჩიე ჯერ-ჯერობით გრძნობები მომეთოკა. ახლა იმ მეორე კაცს დავაკვირდი და მასში ჩემი სკოლის მეგობრის მამა შევიცანი. ვერ ვიტყვი, ცივად დამიხვდნენ-მეთქი, პირიქით, თითქოს არაფერი ჰქონდათ ჩემი საწინააღმდეგო.

სხვების მსგავსად მეც გაშინაურებული ვარ გარდაცვლილებთან. დედ-მამა ხშირად მესიზმრება, მესიზმრება ის ძველი, უღიმღამო სახლიც, სადაც ჩემი ბავშვობის წლებმა ჩაიარა. მაგრამ იმას კი ვერ წარმოვიდგენდი, მე და მამა სალაპარაკოდაც თუ შევხვდებოდით ერთმანეთს.

ბოლო ხანებში რაღაც ვერ ვცნობდი საკუთარ თავს. ტრაგედიადა აღვიქვი ორმოცდაათი წელი, ქარს გატანებულმა ოცნებებმა და ჩემივე სისულელით დაშვებულმა შეცდომებმა ნიავეით ჩამიქროლა თვალწინ. კაცმა რომ თქვას, რა ოხრობა მანუწუნებს. კინოსა და თეატრის პროდიუსერი ვარ, სახლები ლონდონშიც მაქვს, ნიუ-იორკშიც და ბრაზილიაშიც. მაგრამ მაინც გამუდმებით ვწუნუნებ და მოვთქვამ. უამრავი პრობლემა დამიგროვდა, ნერვები სულ ამენენ-დამენენა, თუმცა ვერ ვიტყვი, საბოლოოდ გავ-

ნადგურდი-მეთქი.

მამას ორშაბათს გადავყვარე, შაბათ-კვირა კი მეგობართან ვავატარე, ქალაქგარეთ. მას იქ კარგი სახლი აქვს და შესანიშნავი ფერწერული ტილოები, მზარეულიც ბრწყინვალე ჰყავს და ნაცნობ-მეგობრებიც. ტელევიზორში სულ ერთ-ერთს ომს უჩვენებდნენ. ასე ოცამდე კაცი, ხანდაზმული და ახალგაზრდა, ღრმა სავარძლებში უდარდელად ჩაფლულ-გადანოილი, შამპანურს ვწრუპავდით ნება-ნება და ყველაფერზე ვხვდით თვებით... მერე კი ეკრანი გადაირია: ყუმბარის წვიმამ ერთმანეთში ალუფხა ვირებშებმული ურიკები, საცოდავი ქოხმახები და, რაც მთავარია, ადამიანები. ამან ყველა დაგვალონა. თანაც ვიცოდით, რა განწყობაც იყო ქვეყანაში. ტონი ბლერი, ეს ჩვენი დიდი იმედი და ყოფილი მემამოხე ახლა ყველაზე უნიათო ლიდერად ქცეულიყო. რა თქმა უნდა, ენტონი იდენის შემდეგ! რას იზამ, სიცურუსა და გაუცხოების ეპოქაში ვცხოვრობთ! ჩვენი ცვდილობით როგორმე დრო გაგვეყვანა.

ლანჩის შემდეგ იქედან ტაქსით წამოვედი და როცა რკინიგზის სადგურს მივალწიეთ, აღმოვაჩინე, რომ მეგობართან ქალაქის სამაგრი დამრჩენოდა, ძველი, გალუნული "სკრები", სულ ერთთავად ხელში რომ ვაცოდევილებდი. იქ, ბიბლიოთეკაში მოპასანისა და დიკენსის აზრებს ვეცნობოდი პიპნოტიზმის შესახებ (საბრალო ჩარლზს ხომ ამის გამო დიდი დავიდარაბა გააბახდა თავს მეგობრის ცოლთან) და ფიქრებში გარეთულს მიმავინყდა ჩემი სათამაშო. ტაქსი მოვებარუნე, სახლში შევერდი და სამაგრი მოვიკითხე, მაგრამ იქ ის-ის იყო გამოერთოთ მტვერსასრუტი. შიგთავსის გადაჩხრეკა ხო არ გინდაო, მკითხეს მასპინძლებმა, თან ერთმანეთს თვალს უპაჭუნებდნენ. ნეტა, რას მერჩოდნენ, მე ხომ დიდ წარმატებას მივალწიე, აკი ჩემი ფსიქოთერაპევტიც ამას ამბობდა! მეორე დღეს უნდა მივსულიყავი იმ დალოცვილთან. გული კი მატიკინა დანაკარგმა, მაგრამ, აბა, რალას ვიზამდი! კვლავ სადგურს მივაშურე და მატარებელზე ავედი. გზაშივე მივხვდი, რომ ის მატარებელი ვარეუბანში, ჩემი ძველი სახლის მახლობელ სადგურთან შეჩერდებოდა. როგორც კი ბაქანს მივუახლოვდით, ერთიანად დავიძაბე, თვალთ ნაცნობ ადგილებს, ნაცნობ სახეებს დავუწყე ძებნა. მერე რა, რომ იქაურობა ოცდაათი წლის წინ მიმეტოვებინა! მაგრამ საშინლად წვიმდა და ვერაფერი გავარჩიე. ვიდრე მატარებელი დიძ-

რებოდა, ჩანთას დავტაცე ხელი და ჩამოვხტი. გზას დავადექი, არკი ვიცოდი, სად მივდიოდი და საერთოდ, რის გაკეთებას ვაპირებდი.

სადგურთან ფირფიტების მალაზია იყო, წიგნების ჯისური და პატარა ფარდული, სადაც მშვენიერ ჯინსებს ყიდდნენ, კიდევ რამდენიმე პაბი. აქ სშირად დავყავი ადგილობრივ მოცისფრო ესთეტს, ჩემ პირველ მასწავლებელსა და ჭკუის დამრიგებელს. მისი ოცნების მამაკაცი უნ კოქტო იყო. მასსოვს, სადგურის ტუალეტში სახელდახელოდ ვიბოლებოდი, თან მაკაიას ვიკეთებდით და ფრანგულ ლიტერატურაზე ესაუბრობდით, ზოგჯერ უაილდსა და პოპზუც. მერე მატარებელს ქალაქში ჩავყავდით. ერთი მეგობარიც გვასლდა, თეთრკანიანი. ჯიმი ჰენდრიქსის სტილში უყვარდა ჩაცმა. სპექტაკლს არა ვტოვებდით. მალე ვესტ ენდის ერთ-ერთი თეატრის სალაროში დავინყე მუშაობა. მერე წავიდა და წავიდა კარიერა: სცენის მუშაც ვიყავი, კაპელდინერიც, დეკორატორიც... ბოლოს დამდგმელი რეჟისორიც კი... ეს ყველაფერი მანამდე, ვიდრე აღმოვაჩენდი, რომ ჩემი მოწოდება, არც მეტი, არც ნაკლები, პროდიუსერობა იყო.

კარგი, ჩვენს ამბავს მივუბრუნდეთ. მამას ვკითხე, როგორ მოგმართოთ და რას საქმიანობთ-მეთქი. ვიცოდი, საიდანაც უნდა მომეარა მისთვის. აშკარად გამიმართლა, ახლა მე უფრო ვაინტერესებდით, ვიდრე თავისი თანამეინახე. მაინც რალაცის მეშინოდა. თითქოს ვგავდით ერთმანეთს და თითქოს არა. ჩემ უფრო ძვირფას კოსტიუმში ვიყავი ჩაჭედლი, ჩემი ახალი, კრიალა კბილის პროთეზიც გაცილებით ჯობდა მისას, მასზე ჩასკვნილიც ვიყავი და მალალიც, მაგრამ მე ჭალარა მომძალეობდა (გაკვივრდებოდა და თმას არ ვიღებავდი), მას კი თითქმის არ ერია თეთრი.

მამამ მითხრა, ბულალტერი ვარ და აგერ უკვე თხუთმეტი წელია ერთსა და იმავე ოფისში ვმუშაობ, ორი ბიჭი მყავს, დენისი, ყოჩალი ავიატორი და კიდევ ბილიო (სხვათა შორის, ბილი მე გახლავართ).

ჰოდა, მიყვებოდა, ბილი ამ რამდენიმე თვის წინ უნივერსიტეტში სასწავლებლად გაემგზავრა, იქ ნამდვილად არ შეურცხვენია თავი, ის კი არადა, "გოდოს მოლოდინში", ეს სულისშემკრელი პიესა დადგა, თანაც სულ ქალები ათამაშა და სახელიც გაითქვაო. მინდოდა შევპასუხებოდი, მე არ დამიდგამს, მამი, მხოლოდ პრო-

დიუსერი ვიყავი-მეთქი, მაგრამ გადავიფიქრე.

მამას თავი პიტერად გავაცანი. ამ სახელს მაშინ ვირქმევდი ხოლმე, როცა რომელიმე შემთხვევით პარტნიორთან ვეძლეოდი ანონიმურ სიამტკბილობას. რომ მეთქვა, ბილი მქვია-მეთქი, გულაჩუყებული უთუოდ მკითხავდა, საიდან ვიყავი და რას ვაკეთებდი, თანაც ხეირიანად პასუხის გაცემასაც არ დამაცდიდა, საკუთარი მოსაზრებებისა და რჩევების ნაკადს დამატებდა თავს. მერე მამამ თქვა, ოჰ, ეს ოხერი რადიკულიტი, მოდი, ჩამოგსხდეთო. გვერდით მივუჯექი. მან კიდევ ერთხელ შეავლო თვალი მიმტან გოგონას და მორცხვად მკითხა:

- ლამაზია, არა?

- ლამაზი თმა აქვს. აი, ცოტა უფრო გემოვნებით რომ ეცვას...

- კი მაგრამ, ჩაცმაში რა ჭკუაა?

მსგავსი აზრი მისგან ადრე არ მომესმინა. თუმცა, რა ვიცი, იქნებ მესხიერება მღალატობდა. იმას კი წყალი არ გაუფიქროდა, რომ მამა ოფისიდან მუდამ პირდაპირ სახლში მოდიოდა, არა სჩვეოდა პაბში წრიალი.

მას შემდეგ, რაც დენისი სახლიდან წავიდა, საღამოობით საქმე მომემატა. ყოველ საღამოს მამას ველოდი ავტობუსის გაჩერებასთან, პორტფელს ჩამოვართმევდი და სახლამდეც მე მიმქონდა. მერე, ვიდრე ის საგარეო ტრანსცემლს გამოიცივლიდა, ჩაის ვუდუღებდი.

მიმტანი გოგო მოვიდა ჭიქებისა და ცარიელი საფერფლეების წასაღებად. მაგიდაზე რომ გადმოიხარა, მამამ ხელი წვივზე მოუცაცუნა, მერე ზევით ააცურა და დაუკრფავამდე გადავიდა. ცოცხალი თავით არ უშვებდა ხელს აჭყვილებულ მსხვერპლს. გოგო თვალებგაფართოებული შეჰყურებდა და თავმოქლებით ჭრიჭინებდა, ეს პაბიც მეზიზღება და აქ შემოთრეული ყველა მამაკაციც, ახლავე წაშავდი აქედან, თორემ მეპატრონეს დავუძახებ და კინისკვრით გაგიძახებს კარშიო.

იმ წყეულმა მეპატრონემაც არც აცია, არც აცხელა, ფეთიანივით შემოვარდა, მამას ჭიქა ხელიდან გამოგლიჯა და მუშტი მოუღერა. მამა ისე გაიჭრა გარეთ, პორტფელი არც გახსენებია. ადრე არასდროს წასულა სამსახურში უპერტფელოდ, არც სადმე დარჩენია. მე და დენი მის ამ განუყრელ ატრიბუტს "ატაშეს პორტფელს" ვეძახდით.

მამა გარეთ იდგა და ტანსაცმელს იფერთხავდა. მორიდებით მივანოდე პორტფელი.

- გმადლობთ. ცუდად გამომივიდა, მაგრამ ერთხელ მაინც უნდა მექნა ეს. ვინ იცის, იქნებ უკანასკნელადაც შევქევი ადამიანს. ახლა საით გაგიწევიათ?

- ცოტაზე გაგაცილებთ. ჩემი ჩანთა პრობლემას არ შემეძქნის, მსუბუქია. ლონდონის მატარებელს უნდა გავყვე, მაგრამ არსად მეჩქარება.

- იქნებ ჩემთან შეგვევარა და ერთი-ორი ჭიქაც გადაგვეკრა?

ადრე ჩემი მშობლები მკაცრ განაწესს არასდროს გადაუხვევდნენ, მათემატიკური სიზუსტით ასრულებდნენ მის ყოველ პუნქტს, ახლა კი მამაჩემი სახლში უცხო ადამიანს ეპატიუბოდა. გამახსენდა, რომ მე მუდამ მისი ერთადერთი მეგობარი ვიყავი და ვკითხე:

- მართლა ამბობთ?

- დიახ. წავიდეთ.

ირგველი ხმაური იყო, კიდევ ღამე და წვიმა. საკუთარ ცხვირს ჩემი ვერაფერს ვხედავდი. მაგრამ ჩვენ ორივემ ვიცოდით ზნა. მამა ნელა მიდიოდა, პირით ჰაერის დაჭერას ცდილობდა. კმაყოფილი ჩანდა თავისი ამასწინდელი გმირობით, ანდა სულაც ის ახარებდა, მე რომ მიგვევებოდი გვერდით.

მერე, როცა კუთხეში შევუხვიეთ და ჩემი ბავშვობის ქუჩას დავადექით, ქუჩას, რომელიც, ჩემდა გასოცრად, არ შეცვლილიყო და ადრინდებურად კარგად მოვლილი ჩანდა, ვიგრძენი, რომ უსიამო სიცივემ ამიტანა. ჩემს ბოლოდროინდელ სიზმრებსა თუ ზმანებებში ეს ქუჩა პირქუში იყო და ბნელი, ბევრს ვერ შევლოდა ღამპიონების სუსტი სინათლე, ტროტუარებზე ყვითელ ლაქებად რომ გადღაბნილიყო. თეთრი ყვავილების მძაფრი სურნელი სულს მიგუბებდა და ისეთი გრძნობა მეუფლებოდა, თითქოს ვარდებში ვიყავი ჩამარხული, მაგრამ ახლა რაღა დროს ყოყმანი იყო!

სახლში შევედი, მამამ სასტუმრო ოთახის კარი შელო და ჩემი გაცივების ფერიც დადგა: უშველებელ სავარძელში დედაჩემი ჩაფლულიყო, ფეხები ავეკცა და არხვინად ქსოვდა. გვერდით, პატარა მაგიდაზე მისი საყვარელი შოკოლადის კოლოფი დავინახე, შიგადაშიგ ცალი ხელით აშრილებდა ბრჭყვილა ქაღალდს და სანატრელ ნუგბარს პირისაკენ მიაქანებდა.

მამამ დამტოვა და პიჟამოსა და საშინაო ხალათის გადასაცმელად გავიდა. უცხო ადამიანი ჰყავდა სტუმრად, ის კი მაინც არ ღალატობდა ოდინდელ ჩვეულებას. მე დედაჩემის სავარძლის

უკან ავიტუზე, როგორც მაშინ, ბავშვობაში. ასე მყუდროებას ვერც ხმაურითა და ბუზღუნით ვურღვევდი და არც ცხვირ-პირით ვეჭირებოდი თვალში. მორიდებით აუფსენი, მე და თქვენი ქმარი პაბში შევხვდით ერთმანეთს და იმანაც ერთ ყლუბ სასამელზე დამაპტიყო-მეთქი.

- არა მგონია, რაიმე გვექონდეს სახლში, თუმცა იქნებ შობიდან გადაგვრჩა ცოტაოდენი. კარგი რამეა არა გადაყლურწვა?

- დიას, კარგია.

- აბა, ახლა ხმა-კრინტი! ხომ ხედავ ფილმს ვუყურებ. შენ არ გიყვარს სერიალები?

- ისე რა.

ჩემ სიზმრებს ავებდითი სითეთრე ალბათ იმ რაღაც-რულაცებებიდან გამომჟყვა, დედა რომ გაუთავებლად ქსოვდა და ქარგავდა: ყურთბალიშებს, სუფრებს. ხელთათმანებს... სახლის მთელ ავეჯს რაღაც ნაქსოვი ჰქონდა გადაფარებული. და მერე, უკვე “დაკაცებული“, სადმე ხელთათმანს რომ შევიძინე, სულ იმას ვვიქორბოდი, ესეც დედაჩემის მოქსოვილი ხომ არ არის-მეთქი.

სამზარეულოში წყალი ავადულე, ჩაის სამზადისს შევუდექი. დედას ვახშამი ქურაში დაეტოვებინა: სოსისი, კარტოფილის პიურე და ბარდა. ეს ყველაფერი, იმ დროისთვის უკვე კირივით გამოშხმარი, ერთ დიდ, გაბზარულ ლანგარზე აღმართულიყო სამ გროვად. დედამ მკითხა, ხომ არა გზიაო, მაგრამ, აბა, იქ რამის მჭამელი ვიყავი?

ვიდრე წყალი ადულდებოდა, ნიჟარაში ჭურჭელი გავრეცხე. მერე ვახშამი და ჩაი მამას კაბინეტში შევუტანე, რომელიც ადრე, მასსოვს, ჩვენი სასადილო ოთახი იყო. ცალი ხელით მივწი-მოვწიე მაგიდაზე დახვავებული წიგნები და ლანგარი დავდგი.

ადრე, საშინაო დავალებას რომ მოვრჩებოდი, მამა რადიოს პროგრამას მაკითხებდა და მეც მისთვის საინტერესო გადაცემებს ვინიშნავდი. თუ ბედნიერი დღე გამითენდებოდა, მამა რამეს წამიკითხავდა, ანდა ხელოვანთა ცხოვრებაზე მიყვებოდა. საბავალითო კი იყო ეს ცხოვრება, მაგრამ მათ მიბაძვას მხოლოდ იდიოტი თუ შეეცდებოდა. ამასობაში პიჟამოს ზედა მოსაცმელის ქვეშ ხელს შევეცურებდი და ზურგსა ვფხანდი. მერე მკლავებსაც ვუხედი, იქამდე, ვიდრე სიამოვნებით არ განაბავდა თვალებს.

ახლა კი პიჟამოში გამოწყობილი მაგიდას რომ მიუჯდა სავსეშობი, გამანდო, “ლიტერატურ-

რული ხუთნღვის“ შესრულებას შევუდექი, ჯერ “ომსა და მშვიდობას“ დაგამუშავებ, მერე დიკენსს, ჩოსერსა და სხვებსო. ყველა ავტორისთვის ცალკე რვეული ჰქონდა გამოყოფილი.

- ამ მეთოდით კაცი საფუძვლიანად შეისწავლის ლიტერატურას... არასდროს მობეზრდება წიგნებში ქექვა... მერე მუსიკის ჯერაც დავგება, მზატვრობისაც და ბოლოს და ბოლოს კაცობრიობის ისტორიისაც.

მისმა ნათქვამმა ის დრო გამახსენა, ჯილდო რომ მივიღე სკოლაში ესეისტური ნაშრომისათვის დაკარგულ დროზე. იმას კი არ ვურჩევდი მკითხველს, როგორ უნდა გაეფლანგა დრო (რაც ჩემს ნაღვანს უთუოდ გამოსადეგ და ცოცხალ ესეც აქცევდა), არამედ დაჟინებით ჩაეჩინებდი, თუ რამდენი რამის მიღწევას შეეძლებოდა ამ ცხოვრებაში ყოველი წამის აქტიური გამოყენებით.

მამა ჩემი იდეალი იყო. ის ბანაობის დროსაც კი კითხულობდა და როცა ნებიერად გადანვევოდა აბაზანაში, მე მისთვის ფეხების გახეხვა, ზურგისა და თავის დაბანა მევალებოდა. მერე თბილ პირსახოცში უნდა გამეხვია.

ველარ მოვიტომინე და ლიტერატურაზე მსჯელობა შევანყვევტინე:

- მართლა გინდოდათ ის გოგო?

- რაო? ოჰ, რა სინყნარეა. მუსიკას ხომ არ მოეუყმინოთ?

მართალი იყო. გარეუბანი ხომ ქვეყნად ყველაზე წყნარი ადგილია. ამ მხრივ ვერც ქალაქი შეედრება და ვერც სოფელი. აქ ადამიანები სუნთქვასაც კი იკავებენ და ამიტომ მეფობს ასეთი სიჩუმე.

მამას ხელში ბიბლიოთეკიდან გამოტანილი კასეტი ეჭირა.

- ეს ალბათ ადრეც მოგისმენია, მაგრამ, ვვიქრობ, არა ისე, როგორც საჭიროა.

ბეთპოვენის მესუთე სიმფონია დიდი ვერაფერი არჩევანი იყო ჩვენი საუბრის მუსიკალური გაფორმებისთვის, მაგრამ რა მექნა, ხომ არ ჩავიცინებდი?

სწორედ მამაჩემის ენთუზიაზმმა ამივსო ცხოვრება მუსიკით. დედაც ეკლესიის პიანისტი იყო და ხშირად დავყავდით ბალეტზე, ძირითადად “მანტატუნაზე“, თუმცა “ბოლშოის“ გასტროლებსაც არ ვტოვებდით. ზოგჯერ მშობლები სამეჯლისო ცეკვებზე მიდიოდნენ. მიხაროდა, გამოპრანჭულებს რომ ვუყურებდი. ასეთი წუთიერი აღმაფრენა თუ მიანიჭებდა აზრს ჩემს

უღიმილამო ყოფას.

- როგორ გგონიათ, კიდეც შემისუბრენ იმ პაბში?

- ალბათ კი... ოღონდ ბოდიში უნდა მოისადლოთ.

- სჯობს რამდენიმე კვირა მოვიცადო. არ ვიცი, ამ საღამოს რა დამემართა. ის ქალი ებრაელი არ უნდა იყოს. თქვენ რას იტყვით, ებრაელია?

- აბა, რა გითხრათ.

- ისე ყოველთვის სიამოვნებით მისმენდა, როცა ჩემს სატკივარს ვუჩიოდი.

- ასეთი მაინც რა განუხებთ?

- ეჰ, რალა არა! სადგურიდან როცა მოვიდოვარ, ზოგჯერ ისეთი ტკივილი წამომივლის, რომ ველარ ვუძლებ. უნდა გაგჩერდე და რალაცას დავეყრდნო, თორემ გავეგიუდები.

- იცით, მე კარგად ვაკეთებ მასაჟს.

- მართლა?

მამამ ფეხი კალთაში ჩამიდო. მე ხელი მაგრად მოვუჭირე ჯერ ტერფზე, მერე კოჭზე, მერე ნაკუთალზე. ის რატომღაც თვალს მარიდებდა.

- ძლიერი ხელები გაქვთ. მრჩილავი იქნებით.

- არა, რა მრჩილავი. აკი გითხარით, პროდიუსერი ვარ. ახლა ახალგაზრდულ სტუდიას ვაარსებთ რამდენიმე კაცი.

- ცისფერი ხარ? - ჩამჩურჩულა.

- კი ვარ. ჭკუა მეკეტება კარგ ბიჭებზე. თქვენ?

- ასე რომ ყოფილიყო, აქამდე ხომ შევატყობდი თავს? არა, ჩემთვის უცხოა ქალური ინტერესები.

- ნუთუ ერთხელ მაინც არ...

- არა, არა! ქალები მომწონს და რა ექნა!

- იმათ თუ მოსწონხართ?

- აბა, რა ვიცი. აქაური მდივანი გოგონები ხალისიანები არიან, არასდროს შეგიბღვერენ, მაგრამ რად გინდა, იმაზე არ ნამოვლენ, მეძავის ფული კი საიდან მოვიტანო?

- ხშირად დადიხართ იმ პაბში?

- სამსახურის შემდეგ თუ შევირბენ ხოლმე. იცი, ჩემი ბილი ნავიდა.

- და დაბრუნებას აღარ აპირებს?

- უნივერსიტეტს რომ დაამთავრებს, მაშინვე ჩემკენ გამოქანდება. ამ დროს, შეღამებულზე, ყოველთვის ვსაუბრობდით. ბევრი რამ შეგიძლია ჩაუნერგო ბავშვს, თანაც ისე, რომ ვერც კი მიხვდეს, ჭკუას თუ ასწავლი. აი, ჩემი

ცოლი კი სიტყვასაც არ იმეტებს ჩემთვის და საერთოდ, არაფრად მაგდებს.

- სექსის საქმე როგორღა გაქვთ?

- როგორ და ხომ ხედავ, რამხელაა. გასდელი კიდეც უფრო დიდია, მლილივით მიმაჭყლეტდა ხოლმე სანოლზე. და თუ მაინცდამაინც სიმართლე გინდა, უკვე თვრამეტი წელია, ერთმანეთს არ ვეკარებით.

- მას შემდეგ, რაც ბილი დაიბადა, არა?

მამას ნახად ვუცაცუნებდი ხელებს და მასაც არაფერი ჰქონდა სანინალმდეგო.

- ისედაც არასდროს იჩენდა დიდ ენთუზიზმს მაგ საქმეში. ახლა კი ინდიფერენტულია... გაყინული... თითქმის მიცვალებული.

- აღამიანს ყველაზე მეტად საკუთარი ვნებების ეშინია, მაგრამ ცოლი მაინც სასტიკად მოგქცევიათ. განა ასეთი რამის მოკლება შეიძლება მამაკაცისათვის?

მამამ თავი დამიქნია.

- აი, თქვენ, წყუული ცისფრები, კარგ დროს ატარებთ. ერთმანეთს ტუალეტებში ვკურკურებთ...

- ჰო, რატომღაც ყველას ისე ჰგონია, რომ მაგის მეტი საქმე არა გვაქვს. აი, მე კი, სუთი წელია მარტო ვარ, ჩემთვის.

- ნება კი ჩემზე ადრე მოკვდებოდეს... აი, მერე მომეცემა შანსი. ჩვენ, არაცისფერები, მხოლოდ შთამომავლობის გულისთვის ვითმენთ ამ საბაგლობას. თქვენ კი რა გიჭირთ ასეთი?

- აბა, რა ვიცი.

მერე მამამ ჩემი და ჩემი ძმის სურათები მიჩვენა.

- უამათოდ ჩემი სიცოცხლე არაფერია. მარტო შენი თავისთვის ვერ იცხოვრებ კაცი.

- განა არ მესმის. ვერ იცხოვრებ... თუ სხვა ვერავინ იპოვე, ვისთვისაც ღირს ცხოვრება.

- რალაც კი გესმის, მაგრამ სხვისი ცხოვრება მაინც სხვისია.

თუ სიყვარულში ხელი მოგეცარა, შევილებილა გრჩება სანუგეშოდ. მე ნამდვილი მამიკოს გოგო ვიყავი, მისი ფარეში და... მასზე მლოცველი. ჩემი ერთგულება სიცოცხლეს უნარჩუნებდა. მან ხომ იმთავითვე პიროვნების კულტი შექმნა საკუთარი თავისგან და მე და დენის სარკეებად გვიყენებდა.

კმარა, ისევე ჩვენს ამბავს მივუბრუნდით. დედამ კარი შემოაღო, არც ისე ფართოდ, რომ ერთმანეთი დაგვენახა, და გამოაცხადა, დაძინებას ვაპირებო.

- ლამე მშვიდობისა. - გავძახე მე.

მამა სწორია, კარგი რამეა შვილი, მაგრამ მე რა ვქნა, საიდან მოვიყვანო? სამაგიეროდ საკუთარი დანაზოგიტ ძველი ქარხნის შენობა შევიძინე და თეატრალურ სტუდიად გადავაკეთე. იქ ახალგაზრდებს ცნობილ მსახიობებთან მუშაობის შესაძლებლობა ეძლეოდათ. იმ შენობაში იმდენ დროს ვატარებდი, რომ ჩემი ოფისიც იქ გადავიტანე. ოფისში საქმეს რომ მოვრჩებოდი, სტუდიის კაფეს მივაშურებდი და მიმსვლელ-მომსვლელს ვათვლიერებდი. რატომღაც ასაკის მატებასთან ერთად ნელ-ნელა ვიძარცვავდი ყველაფერ იმას, რაც ადრე მომეპოვებინა. აქვე შევნიშნავ, რომ მამაჩემის უსაყვარლესი ნაშრომი იყო ტოლსტოის "რამდენი მიწა სჭირდება ადამიანს?"

- შვილიანიც და უშვილოც მაინც კაცნი ვართ. ზოგჯერ ისეთი რამეც გჭირდება ადამიანს, მარტო შვილები რომ ვერ მოგცემენ.

- ასეა, ასე. ამიტომაც გვაქვს აქაურებს ჩვენი ჩობი.

- როგორ, ქალებსაც?

- ვგენი ქსოვენ, თუ რაღაც ამგვარი. ნუთით არა გვაქვს მოცლა. სხვათა შორის, ჩემმა ბიჭმა ბრწყინვალე ესე დაწერა დროის მაქსიმალურ გამოყენებაზე.

მამამ ჩაი მოსვა და ბეთჰოვენმაც გადაიგრა-ვინა. აშკარად სიამოვნებდა, ფეხებს რომ ვუზღუდი. მერე ვთხოვე, იატაკზე განოლიდიყო. ჩვეული ხალისით გაიძრო ხალათი და პიჟამოს ზედა მოსაცმელი. მთელ სხეულს გულმოდგინედ ვუზღუდი და თან სულშეგუბებული ვუტბუტებდი: "მამი, მამიკო." ბოლოს, როცა წამოდგა, თბილი ხალათი შევაგებე. ადრევე დავიჭირე თადარიგი და რადიატორზე გადავფინე.

გვიანი იყო, მაგრამ არც ისე, რომ წაესულიყავი და საერთოდ, რა მნიშვნელობა აქვს როდის დატოვებ გარეუბანს? მამამ მთხოვა დარჩიო და აღარც მე გამიღია თავბატიჟი, მაგრამ, აბა, რას წარმოვიდგენდი, ჩემს ძველ ოთახში, ჩემს ძველ სანოლში თუ დავიძინებდი!

მამამ ზემოთ ამიყვანა და მეც ჩემი ბავშვობის სამყაროში შევაბიჯე. გვერდი ავუარე იატაკზე მიმოფანტულ კასეტებს, უურნალებს, ნიგნებს, ტანსაცმელს და პირდაპირ ჩემი პიანინოსკენ გავექანე. ყველაზე მეტად მისმა დანახვამ გამახარა. ახლაც კი ვუკრავ ცოტას, მაგრამ ჩემი საქმე მაინც სიმღერების ჩაწერა იყო პიანინოს თავზე დახვავებულ სანოტო რეველებში.

როცა თეატრში დავიწყე მუშაობა, ამ სიმღერებს უკვე არავის ვასმენინებდი, რადგან დავრწმუნდი, რომ აქედან ბევრს ვერაფერს გამოვადნობდი და ჩემი უწინდელი შრომაც წყლის ნაყვია იყო და სხვა არაფერი.

ოთახში ვიდექი და ვცასცახებდი. მაშინლა მივხვდი, რაში იყო ჩემი საიდუმლო: გულის გულში მსახიობობაზე ვოცნებოდი, მაგრამ იძულებული შევიქენი, პროდიუსერობას დავჯერებოდი... ცოტა რამ ჩემი მშობლების ბრალიც იყო. ისინი საკუთარ თავს მაყურებლად აღიქვამდნენ, მე კი მაკლავ ის სითამამე, უწინ და ნებისყოფა, მსახიობს რომ მოეთხოვება, ხელმოცარვასა და წარმატებას ვერ გადავხარშავდი, ვერა, ვერ ვივარგებდი მსახიობად... მე ხომ ხელზე მოსამსახურე გოგო ვიყავი, ჯერ მამაჩემის, შემდეგ კი სხვების, ჩვენი თეატრის მსახიობების. როგორც ჩანს, საკუთარი თავისთვის ველარ მოვიცალე.

ვინეკი ჩემს ვინრო სანოლზე და ერთობ თხელი ჭვრის წყალობით ზემოდან მამაჩემის ხვრინვა მესმოდა. ჩემი მშობლები ერთმანეთს არასდროს ესიყვარულებოდნენ. მათ ფიზიკური სიყვარული რაღაც უცნაურ, მიუწვდომელ ცნებად ექციათ. ნეტავ ვიცოდე, რატომ ისჯიან ასე თავს ადამიანები?

დედაჩემს ხვრინვა არა სჩვეოდა. ერთი ეგ იყო, ზოგჯერ ინგლისის ბედიტ გულშეძრული თუ ამოიკენესებდა.

ავდექი და კიბის თავთან მივედი. სამზარეულოში სინათლე ენთო. დედას საღამურნი ხალათი წამოესხა, ყელწინდები კოჭებთან ჩასჩაჩოდა და ოთახ-ოთახ დაბორილობდა, ხელებს ისრესდა, საკუთარი თავის ქალაში მოფუთფუთე მოჩვენებებს რალაცას ებუტბუტებოდა. მერე გაჩერდა და მოშიშვლებული მკლავები მოიფხოქნა. დღისით მკლავებს არ აჩენდა, გრძელი სახელოებით ფარავდა ეგზემას. მონუსხული შეეყურებდი, როგორ ეცემოდა ხალჩაზე ტყავის ნაფლეთები, თითქოს დედა თავადვე აქცევდა თავის სხეულს მტვრად, მერე კი მოცეკვავის მოხდენილი, თხელი ტერფით ქელავდა ამ ნაფლეთებს.

ადრე ასეთ დროს დედას ყოველთვის ვერიდებოდი. მან იმთავითვე მიგვაჩვია წესრიგს: მე და დენის ხმაურით არ უნდა შეგვეწუხებინა, ჭირვეულობა ხომ სასტიკად გვეკრძალებოდა. რალა თქმა უნდა, დედა ჩვენ სიკვდილს ვერ გვისურვებდა, ამიტომ თავად მოკვდა... შინაგა-

ნად.

ერთხელ ჩემმა ექიმმა მკითხა, შენ და მამა-შენს თუ შეგეძლოთ ერთად მსხდარიყავით და კრინტი არ დაგეძრათო. უპირიანი იქნებოდა ის ეკითხა, თუ შეგეძლო დედასთან ისე მჯდარიყავი, რომ არ გეგებედა, რაც პირზე მოვადგებოდა, რათა როგორმე მისი უაზრო ფიქრები გაგეფანტათო. ახლაც თავზე ხელი ავიდე და კიბეზე დავეშვი, თან დედას თვალს არ ვაცვილებდი. ეს ქალი რაღაც მძიმე, ჩაუნვდომელ მუსიკას მახსენებდა, ისეთს, გულთან რომ ვერა და ვერ გაიხლოვდება. მაგრამ მე მინც არავის ვურჩევდი მის გასაგებად თავის გაცხელებას. ჯობდა, შენთვის მჯდარიყავი წყნარად და დაგეცადა, ადრე თუ გვიან თვითონ მოალწევდა შენამდე.

მალე მის გვერდით ვიდექი და ისიც ქვეშევმ მიყურებდა.

- ჩაის მოგიდუღებთ. - ამოვლერლე ბოლოს. დედამ თავი დამიქნია.

ერთხელ, მისი ლამეული ხეტილისას, იმ საქმეზე გამომიჭირა. ტელევიზორში რაღაც მუსიკალურ ბენდს უჩვენებდნენ... ბიჭებისას... ჰოდა, მეც გასაქანი მივეცი ფანტაზიას!

- ვიცი, რაცა ხარ.- მითხრა დედამ.

არა, არ განვუსჯივარ. უბრალოდ, მივხვდი, ერთი მომხრით ნაკლები რომ მეყოლებოდა ამიერიდან.

ლიმონიანი ჩაი მივართვი. ვიდრე ის იდგა და ჩაის წრუბავდა, გვერდით ავეტუზე, თავი დაეხარე და შევეცადე, დამენახა და განმეცადა ის, რასაც ეს ქალი ხედავდა და განიცდიდა. მივხვდი, მას ვერას დიდებით ვერ განვკურნავდი. ერთი ეგ იყო, თუ ძალიან მოვინდომებდი, მისი სიგიჟე ნაკლებად დამაფრთხობდა.

მამა ისევ ხერხინავდა. კიდევ კარგი! სულაც არ მოეწონებოდა, დედასთან რომ დავენახე. მან ხომ ფაქტიურად შეილება წაართვა ამ ქალს. ისე მოგვწუსხა მე და დენისი, რომ დედას საბოლოოდ ჩამოგვაშორა... საზიარო შეილება არ უნდოდა მამას.

დედამ თითქმის მთლიანად ამოწროუბა ჩაი და მოუთმენლობა დაეტყო. წინ მნიშვნელოვანი საქმე ელოდა: ხეტიალი, ბუტბუტი, ფხოჭნა. ასე კი დროს უქმად კარგავდა. მეც მეტს ველარ შევაყვინებდი.

წინა ოთახში მის სავარძელში მოკვალათი და დავიძინე. როცა ავდექი, ჩემი მშობლები საუზმობდნენ. მამას უკვე კოსტიუმი ეცვა, დედას კი სამუშაო ფორმა (არ მითქვამს, ერთი ხანო-

ბა სუპერმარკეტში რომ მუშაობდა?). სწრაფად ჩავიცვი, რათა მამა სადგურამდე მიმეცილებინა. ამასობაში წვიმასაც გადაელო. ვკითხე, დღეს რა გაქვთ გეგმაში-მეთქი, მაგრამ საკუთარ გეგმებზე უფრო ვფიქრობდი. გეგმებზე კი არა, დროზე. აკი ჩემი ექიმიც სიამოვნებით მახსენებდა, საათი უმთავრესი რამაა შენ ცხოვრებაშიო.

უეცრად მომინდა სტუდიაში მივსულიყავი და მსახიობებთან მელაპარაკე; გემოზე მეჭამა და მერე სიყვარულს მივცემოდი; შოუზეც ნავსულიყავი, მეცეკვა და ისევ სექსს მიგბრუნებოდი. აბა, მართლა ჩემ მშობლებს ხომ არ მიგბაძავდი ეს ნორმალური ადამიანი!

სადგურში მე და მამა ერთმანეთს დავემშვიდობეთ. ვუთხარი, როცა აქეთ მოვხვდები, უთუოდ განახეთ, მაგრამ არ ვიცი, ეს როდის იქნება-მეთქი.

2004

ანკლესურიდან თარგმნა
სამაიო ლამიაშვილი




ჯონ ჰარტიგანი

რა შეემატა ოლდოს ჰაქსლის

მეტაფიზიკა მოდიდან გავიდა. მასზე (როგორც კომერსანტები იტყვიან ხოლმე) მოთხოვნა აღარაა. სიტყვა "მეტაფიზიკა" არ გვხვდება სტივენ პინკერის ბესტსელერში "სრული ნუსხა", სადაც აღწერილი და დახასიათებულია ადამიანთა ტიპები. ჩვენი მეტაფიზიკური მრწამსი, ალბათ, უმნიშვნური დულიზმის ერთ-ერთი ნაირსახეობაა. დიხს, რა თქმა უნდა, არსებობს გარერეალობა, "სამყარო", ანუ მატერიალური ობიექტები, რომელთა არსი (ოთხსაუკუნოვანი გულმოდგინე კვლევის შედეგად) შეგვიძლია საკმაოდ დეტალურად განვსაზღვროთ. არსებობს აგრეთვე შინაგანი რეალობა, "თვითება", ანუ მენტალური ობიექტები (მათ შერასებებ მეცნიერებამ გაცილებით ნაკლები რამ იცის), რომელთა გარკვეული არარეალური ბირთვი, ჩვენი აზრით, დამოუკიდებელია მატერიალური სამყაროსგან. მათ, ვინც იცნობს თანამედროვე ნეირომეცნიერების მიღწევებს, ან ვინც ნაკითხა ტომ ვულფის ცნობილი სტატია ამ თემაზე ("ბოდიში, თქვენ, ეს-ესაა, სული განუტყვევთ"), სამწუხაროდ, უწყინან, რომ მკვლევრები სულ უფრო მეტად კვებენ ზემოხსენებული ბირთვის ზომებს, მაგრამ ჩვენ გვწამს, რომ ისინი ვერასოდეს მოახერხებენ მის სრულ გაქარწყლებას. პროფესორი პინკერი, რომელიც ძალიან კარგად იცნობს ამ საკითხებს, აშკარად არ იზიარებს ჩვენს რწმენას და, ამიტომ სრულიად უგულებელყოფს მეტაფიზიკურ პრობლემებს.

ჩვენს არამეტაფიზიკურ ეპოქაში, ალბათ, ვერ გაუგებთ მწერალს, რომლის ქვემოთმოყვანილი შესვლელება წარმოადგენდა მისივე შემოქმედების საფუძველს ხანგრძლივი ლიტერატურული მოღვაწეობის განმავლობაში: "შეუძლებელია ცხოვრება მეტაფიზიკის გარეშე. არ არსებობს არჩევანი მეტაფიზიკის გარკვეულ სახეობასა და არამეტაფიზიკას შორის; არის მხოლოდ კარგი მეტაფიზიკა და ცუდი მეტაფიზიკა".

ოლდოს ჰაქსლი თაყვის პირველი წიგნი (ლექსების კრებული) გამოქვეყნდა 1916 წელს, როდესაც ოცდაორი წლისა იყო. ის გარდაიცვალა 1963 წლის ნოემბერში, ესეების მეოცე წიგნის გამოცემიდან რამდენიმე კვირის შემდეგ (ჰაქსლი გარდაიცვალა იმ დღეს, როდესაც ჯონ ფიცჯერალდ კენედი მოკლეს). მწერლის გამოქვეყნებული თხზულებები მოიცავდა სამ პოეტურ კრებულს, თერთმეტ რომანს, მოთხრობათა ხუთ კრებულს, სამოგზაურო ჟანრის ორ ნაწარმოებს, ორ ბიოგრაფიას, პიესას, რამდენიმე კინოსცენარსა და უამრავ ურუნალისტურ სტატიას. ამასთან, მკითხველთა



მაჟორ ინტერესს იწვევდა სწორედ ჰაქსლის ესეები. 1939 წელს კალიფორნიაში მცხოვრებ მწერალთან მისული ახალგაზრდა სტუმარი ამგვარად აღწერდა თავის შთაბეჭდილებებს: "ჰაქსლის მეექვსე რომანმა (იგულისხმება "ღაზელი უსანათლო" - ჯ.დ.) მწარედ გამიცრუა იმედები. თანაგრძობა როდღე აღმოძრა ჰაქსლის შეხედულებებმა რელიგიის შესახებ, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს იყო ესეების ოლდოსი... თავაზიანი, დაკვირვებული, მომწუსხველი და მონუსხული ყოველი ფაქტით, ყოველი იდეით, რომელთა შესახებაც ის საუბრობდა ხმის გასაოცარი მოდულაციებით".

ამჟამად ჰაქსლის ესეების ექვსტომეული გამოსცეს რობერტ ბეიკერმა (ვისკონსინის უნივერსიტეტი) და ჯემს სექსტონმა (ბრიტანული კოლუმბია). პირველი ტომი ორი წლის წინ გამოქვეყნდა, უკანასკნელი ტომი კი (რომელიც 1956-63 წ.წ. ნაწარმოებებს მოიცავს) ახლახან დაისტამბა. ამ გამოცემაში გაერთიანებულია არა მხოლოდ ჰაქსლის ესეები და სამოგზაურო ჟანრის ორი

თხზულება, არამედ - მრავალი საგაზეთო და სა-
 ჟურნალო სტატია, რომლებიც უნინ ხელმოწე-
 დომელი იყო ფართო მკითხველისთვის. სათაურის
 ("ესეების სრული კრებული") მიუხედავად, კრებუ-
 ლი აბსოლუტურად სრული როდია. აქ ვერ ნა-
 ხავთ ჰაქსლის ვერც ერთ ადრეულ სტატიას, რომ-
 ლებიც "აიენუშა" ან "ლონდონ მერკურიში" იბ-
 ექდებოდა, აგრეთვე - რამდენიმე გვიანდელ
 თხზულებას, რომელთაც სიამოვნებით გადავი-
 კითხავდი. მაგალითად, მასში შეტანილი არაა 1944
 წლის სტატია შელდონიზმის (იხ.ქვემოთ) შესახებ.
 ამასთან, ესაა საკმაოდ ვრცელი კრებული, რომ-
 ლიც ასახავს ჰაქსლის შემოქმედებითი განვითარე-
 ბის გზას.

მწერლის ყველა ბიოგრაფი მიუთითებს, რომ ის
 შესანიშნავი წინაპრების უცნაური ნაზავის შთამო-
 მავალი გახლდათ. პაპამისი (მამის მსრივ) იყო გა-
 მოჩენილი ვიქტორიანელი ბიოლოგი, თომას ჰენრი
 ჰაქსლი, რომელმაც 1860-იან წლებში ევოლუციის
 პრობლემასთან დაკავშირებით გამართული პოლე-
 მიკის დროს დაამარცხა არქიეპისკოპოსი უილბერ-
 ფორსი. "დაკვირვება" ან "სახელი ცნობი-
 ლი თ.ჰაქსლი იცავდა მეცნიერებას - ე. ი. შეხე-
 დულებას, რომ არ არსებობს ადამიანის გამოცდი-
 ლების ან ცოდნის არავითარი სფერო, რომლის
 განვითარებასაც მეცნიერება დროთა განმავლობა-
 ში ვერ შეძლებს ან რომელსაც ვერ განმარტავს.
 ამბობენ, რომ მან გამოიგონა სიტყვა "აგნოსტიკუ-
 რი" და გამოიყენა ის გონების, სულისა და სამყა-
 როს მიმართ საკუთარი პოზიციის დასახასიათებ-
 ლად. ოლდოსის დედა იყო შვილთაშვილი
 ცნობილი პროტესტანტული სკოლის დირექტორის,
 თომას არნოლდისა ("დოქტორი" - "ტომ ბრაუნის
 მოწაფეობის წლებში"), რომელმაც ვაჟთა ინტერნა-
 ტებში დაამკვიდრა "სპორტული ქრისტიანული
 აღზრდის" სტილი. მისი ვაჟი გახლდათ პოეტი მე-
 თოუ არნოლდი (ე.ი. ოლდოს ჰაქსლის პაპის ძმა).
 დოქტორი არნოლდი, ღრმად რელიგიური პიროვნე-
 ნება, რაგბის სკოლის დირექტორობის დროს მთე-
 ლი სკოლის წინაშე ჰყვებოდა ქრისტეს ენებათა
 შესახებ და დასტიროდა ტანჯულ ღმერთს.

საინტერესოა, როგორი ზემოქმედება მოახდინა
 ოლდოს ჰაქსლის მსოფლადქაზნე მისმა წარმომავ-
 ლობამ, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით,
 რომ ევეგენია - დისკუსიებისა და კვლევების ეს
 რესპექტაბელური სფერო, წარმოადგენს ჰაქსლის
 გახმაურებული რომანის, "მშენიერი ახალი სამყა-
 რის" მთავარ თემას. ყოველ შემთხვევაში, შეიძლე-
 ბა ითქვას, რომ ოლდოს ჰაქსლი გაიზარდა მყა-
 რი ინტელექტუალური ტრადიციების ოჯახში,
 მთელი სიცოცხლის განმავლობაში იჩენდა მძაფრ
 ინტერესს მეცნიერების მიმართ და რელიგიურ

ინსტიტუტს მარტოოდენ პატივისცემით იხსენიებდა.

ვიქტორიანული მეცნიერული ოპტიმიზმის საა-
 მური ზაფხული, რომლითაც ოლდოსის პაპა ტკე-
 ბოდა, დიდი ხნის წინ იყო მიწურული, როდესაც
 ოლდოსმა ინტელექტუალურ სიმწიფეს მიიღწია.
 ამდენად - ნაწილობრივ, ჰაქსლის პაპის წყალო-
 ბით - სუფევდა იმგვარი სოციალური ატმოსფერო,
 რომ, რომელიმე სერიოზულ ინტელექტუალს
 (ყოველ შემთხვევაში, ანგლოსაქსონურ ქვეყნებში)
 შეეძლოთ სოციალურ რეფორმათა პროგრამების
 დაფუძნება ქრისტიანობაზე, რაც ადრე დოქტორ-
 მა არნოლდმაც მოიპოქმედა. მეოცე საუკუნის მე-
 ორე და მესამე ათწლეულები იყო დანერგული
 ბოძონებისა და უარყოფილი კერპების ეპოქა, რო-
 მელმაც ბევრ ინტელექტუალს უზიძგა უკან - ნი-
 შოლიზმისკენ, ჰედონიზმისა და ექსპერიმენტალიზ-
 მისკენ - დაეხია. ლიტერატურაში იმძლავრა სუბი-
 ექტურობამ, ხელოვნებაში - აბსტრაქციებმა, პოე-
 ზია განიძარცვა ტრადიციული ფორმებისგან. მომ-
 დევნო "დაკვირვების ათწლეულში" ამ ნეგატივიზმის
 უმეტესმა ნაწილმა ძალაუფლების თავყანისცემისა
 ან ესკაპიზმის ფორმა მიიღო და გაქვავდა.

ოლდოს ჰაქსლი შორის იდგა ზემოხსენებული
 ტენდენციებისგან. თუმცა ის პირნაყოფილი ვიქ-
 ტორიანელი არ გახლდათ, მაგრამ არც საერთო
 ტენდენციას მიეწრო, რაც სრულად ვლინდება
 ჰაქსლის ესეების პირველ ტომებში. "ულისე", -
 აცხადდება ის 1925 წელს, - ერთ-ერთი ყველაზე
 უაზრო და უმნიშვნელო წიგნია, რომელიც ოდეს-
 მე დაწერილა. "ჯაზი, - აღიარებდა ის ორი
 წლის შემდეგ, - საშინლად მოსაწყენ რამაა". სერ
 კრისტოფერ რენის შესახებ მსჯელობისას (1923
 წელს) ჰაქსლი ეთანხმება კარლაილის შენიშვნას,
 რომ რენის ერთ-ერთი ნაგებობა - ჩელსის საავად-
 მყოფო - "ნამდვილი ჯენტლმენის ნადვანია". "რე-
 ნი, - განაგრძობს ჰაქსლი, - იყო მართლაც რომ
 შესანიშნავი ჯენტლმენი, ერთ-ერთი მათგანი, ვინც
 გასებად ღირსებასა და თავშეკავებას და ვინც,
 პატივს სცემდა რა საკუთარ თავს, პატივისცემით
 ეპყრობოდა აგრეთვე კაცობრიობას".

ოცდაათი წლის ჰაქსლის შეხედულებებში ერთ-
 გვარი კონსერვატიზმი შეიმჩნევა: "სულ უფრო
 მშვიდად ვაკვირდები უკანასკნელი სოციალურ-
 კულტურული ავტობუჟის გასვლას - და იმ ურიცხ-
 ვი უკანასკნელი ავტობუჟების გამგზავრებას, რომ-
 ლებიც ყოველ ნაშბ გადის მსოფლიოს ყველა დე-
 დაქალაქიდან. მათში შესვლა არ მიცდია და რო-
 დესაც თითოეული ავტობუჟი უწინარდება, შვებით
 ვაბობ: "მადლობა ღმერთს". ამ შენიშვნით იწყება
 პირველი გახმაურებული კინოფილმის "ჯაზის მომ-
 ღერლის" ჰაქსლისეული რეცენზია. "დიდსულოვან-
 მა ღმერთმა დამიბინდა მხედველობა ისე, რომ, სა-

ბედნიეროდ, ოთხ-სუთ იარდზე შორს ვეღარ ვარჩევ ადამიანის სახეს. კინოში კი ვერაფერი მშველს. ადამიანის უზარმაზარი სახე ექვსფუტიანი პირით ილიბება, ახამამებს ოცდათორმეტდუმიანი თვალებს (რომლებშიც აისახება (si) თანაგრძობა ან სევდა, ლიბიდო ან კაპრიზები) და მკრთალ ვეება მთვარეს ნააგავს. აქ პირველად შევნიერღმერთს მაღლი მხედველობის დეფექტის გამო - ჩვეულებრივ, ის მიცავს ამგვარი სცენებისგან".

მისი გათვალისწინებით, რომ მწერალი შიშით განჭვრეტდა ჰედონიზმის საუკუნის დადგომას (გენეტიკური მანიპულაციების მეშვეობით), ის მართლაც წარმოგვიდგება კონსერვატორის სახით.

"მხედველობის დეფექტმა" მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა ჰაქსლის ცხოვრებაზე და შეზღუდა მისი მოგზაურობათა მარტოტუბით, თუმცა - დაიცვა პირველ მსოფლიო ომში განვცვისგან. 1911 წელს 17 წლის ჰაქსლი დააავადდა თვალის რქოვანი გარსის ანთებით, რასაც რამდენიმე თვეში სრული სიბრმავე მოჰყვა. ჭაბუკი მხნედ შეხვდა განსაცდელს; იტონიდან შინ დაბრუნებული, ბრაილის შრიფტს დაეუფლა, სწავლა გააგრძელა და, წარმოიდგინეთ, ფორტიპიანოზე დაკვრაშიც დაოსტატდა. ერთი ხელი უკრავდა, მეორით კი ბრაილის ნოტებს "კითხულობდა". პირველი (აქამდე გამოუქვეყნებელი) რომანის წერის დროს ჰაქსლი, პრაქტიკულად, უსინათლო იყო, მაგრამ საკუთარი მდგომარეობის შესახებ მარტოოდენ ზემორობით საუბრობდა. ზამთრის ერთ ცივ დილას მან უთხრა თავის ბიძაშვილს, გერვას ჰაქსლის: "იცე, გერი, ბრაილს ერთი დიდი უპირატესობა აქვს. შეიძლება, ისე ერთხონ წიგნები ლოგინში წოლისას, რომ ხელები არ გაგყენოს".

მოგვიანებით, ოქსფორდში სწავლისას, ჰაქსლი წერდა: "ცალი თვალით მხოლოდ სინათლეს ვხედავ, მეორით კი მარტოოდენ ორასფუტიან ასოებს ვარჩევ".

ამიტომ გაცოცხებას იწვევს ჰაქსლის ოქსფორდელ თანაკურსელთა მოგონებები მის შესახებ. გერვასი, რომლის ჩანაწერები ორჯერ უნდა გადაიკითხოთ, რათა სწორად გაიგოთ, აცხადებს: "სიბრმავეს პერიოდში მან უამრავი წიგნი ნაიკითხა და შეისწავლა ფრანგული ენა". რაიმოდ მორტიმერი, რომელიც პირველ კურსზე ჰაქსლისთან ერთად სწავლობდა, ასე აღწერს მას: "დახვეწილი... ღრმად ერუდირებული... მას ყველაფერი აქვს ნაკითხული". ჰაქსლი ბევრითად მეცადინეობდა (კითხვისას გამადიდებელ ლინზებს იყენებდა) და ინგლისურის გამოცდაზე ყველაზე მაღალი შეფასება დაიმსახურა.

ამგვარი კრიზისის გადატანა და ოქსფორდის ბრწყინვალე ახალგაზრდა სტუდენტებზე გამოგ-

ნებელი შთაბეჭდილების მოხდენა (ადამიანი, რომელსაც "ყველაფერი აქვს ნაკითხული") უჩვეულო ინტელექტუალურ მიღწევას წარმოადგენდა. ექვზარეშეა, რომ ოლდოს ჰაქსლი ინტელექტუალურ საქმიანობას უდიდესი სერიოზულობით ეკიდებოდა და ძალზე ინტენსიურად მუშაობდა საკუთარ თავზე. ის მთელი სიცოცხლის განმავლობაში წელა, მაგრამ განუწყვეტლოვ კითხულობდა. აი, რას წერდა ჰაქსლი ჯორჯ ორუელს 1949 წელს, როდესაც ამ უკანასკნელმა "1984"-ის ეგზემპლარი საჩუქრად გაუგზავნა მას: "შივილ თქვენი წიგნი. ახლა ვმუშაობ საკუთარ თხზულებაზე, რისთვისაც ბევრი წყაროსა და ცნობარის კითხვა მიხდება (სავარაუდოდ, ეს იყო "თემები და ვარიაციები", რომლებიც შეტანილია "ესეების სრული კრებული" მეხუთე ტომში - ჯ.დ.). სუსტი მხედველობის გამო ჩემთვის აუცილებელია კითხვის წორმირება. ამიტომ დიდი დრო დამჭირდება, სანამ "1984"-ს ბოლომდე გავცნობი".

ჰაქსლის სუსტმა მხედველობამ შეზღუდა მისი მეცნიერული საქმიანობა. თავდაპირველად ის ამირებდა ექიმს გამზდარიყო, მაგრამ მხედველობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო ეს გეგმები ჩაეფუშა. ჰაქსლისგან უეჭველად დადგებოდა კარგი მკვლევარი - მაგალითად, ასტრონომი ან ფიზიკოსი. მან იცოდა, რომ ამგვარი მიდრეკილებები გააჩნდა. "ხელახლა რომ დაებადებულიყავი, მეცნიერი გავხდებოდი და თვით შექსპირის ნიქს ფარადის ბედს ვამჯობინებდი"... ძალზე იოლია, წარმოვიდგინოთ ჰაქსლი, როგორც მეცნიერი-თეორეტიკოსი, რომელიც სიბრძნის ფაქს, ალბათ, შექმნიდა პოპულარულ წიგნებს სიცოცხლის წარმოშობისა და კაცობრიობის მომავლის შესახებ, ფრიმენ დაისონის მსგავსად, ან მიმართავდა მეცნიერული ფანტასტიკის ჟანრს, როგორც ფრედ ჰოილი მოიქცა. ის სიამოვნებით მეგობრობდა პროფესიონალ მეცნიერთან, მაგალითად, ასტრონომ იდეინ შაბლთან, რომლის სახელი ტელესკოპს უწოდეს. შაბლი ჰაქსლის უახლოესი მეგობარი გახლდათ 1937 წლიდან მეცნიერის უეცარ სიკვდილამდე (საკუთარ მანქანაში, თავის სახლთან), ე.ი. 1953 წლამდე.

ჩემი აზრით, ჰაქსლი ჭკუშარიტი მეცნიერის ნიჭით დაჯილდოვებული პიროვნება იყო, მის დაუოკებელი ცნობისმოყვარეობა და კლასიკაციისადმი ლტოლვა ახასიათებდა. ამიტომ გასაკვიარი არაა, რომ მისი საუკეთესო რომანი "კონტრაპუნქტი" "ტიპების რომანია", პონკიელის ოპერის "ჯოკონდას" მსგავსად, სადაც ექვსი თანაბარმნიშვნელოვანი როლი განკუთვნილია ექვსი ძირითადი ვოკალური რეგისტრისთვის. საუბედუროდ, მხედველობის ნადრევმა დასუსტებამ გზა გა-

დაუკეტა ჭაბუკს ექსპერიმენტული მეცნიერებისკენ. შესაბამისად, ის უფრო მეტს ფიქრობდა მეცნიერების შესახებ, ვიდრე ეს სჩვევიათ აქტიურად მომუშავე ახალგაზრდა მეცნიერებს. ამის შედეგი გახლდათ მეტაფიზიკური იმპერატივი, რომელიც ზემოთ ვახსენე. ედვინ ბარტის "თანამედროვე მეცნიერების მეტაფიზიკური საფუძვლები" ჰაქსლის უსაყვარლეს წიგნად იქცა და 1925 წელს ის აღფრთოვანებით წერდა მამამისს ამ წიგნის შესახებ. ჰაქსლი დადებითად აფასებდა ბარტის თხზულებას თორმეტი წლის შემდეგაც, ნარკვევების კრებულში, სახელწოდებით "მიჯნები და საშუალებები", შემდგომ კი - 1946 წლის კრებულში "მეცნიერება, თავისუფლება და მშვიდობა" (ეს წიგნი მუხლებზე უდევს "კონტრაპუნქტის" პერსონაჟს, ფილიპ კუორლზს, რომლის სახით მწერალმა საკუთარი ავტობიოგრაფიული შექმნა). ბარტი (1892-1989) ჩიკაგოს უნივერსიტეტის ფილოსოფიის პროფესორი იყო, როდესაც (1924 წ.) "მეტაფიზიკური საფუძვლები" გამოაქვეყნა. ამ წიგნის თემაა "აზროვნების ადეკვატური ფილოსოფია", რომლის საფუძველს წარმოადგენს მეცნიერულ რევოლუციითა ლოგიკის შესწავლა. ჰაქსლის ინტერესები ბარტის ზეგავლენით ჩამოყალიბდა, მოგვიანებით კი მწერალი მიიზიდა აღმოსავლურმა რელიგიებმა. 1955 წელს მან გამოსცა ბუღალსტური ტექსტების ანთოლოგია. ამ წიგნს ახლაც იპოვეთ მალაზიებში.

ჰაქსლის ბუნებრივი მეცნიერული მიდრეკილებების განუხორციელებლობას მოჰყვა ერთი უარყოფითი შედეგი: ძალზე არაკრიტიკული დამოკიდებულება ვერც ერთ ნოდელური ოკულტური მეცნიერებების მიმართ, რომლებიც გვთავაზობენ სულთა სამყაროსთან დაკავშირების პერსპექტივას. ის დაინტერესდა ჯ.გ. რაინის პიროვნებით, რადგან მან, ჰაქსლის რწმენით, დაადგინა ექსტრასენსორული აღქმის რეალურობა. 1954 წელს ჰაქსლიმ "ლაიფში" გამოაქვეყნა სტატიები რაინის კვლევის "შედეგების" (რომელთა სტატისტიკური შეფასებება შეუძლებელი გახლდათ) შესახებ. მისი ყურადღება მიიპყრო, აგრეთვე, ჯ.უ.დაისის "ექსპერიმენტებმა დროზე", ანუ სიზმართა წინასწარმეტყველური თვისებების ანალიზმა. ასევე მოხდა დიანეტიკის შემთხვევაში, რომელიც მოგვიანებით შეუერთდა სციენტოლოგიას. ჰაქსლი და მისი პირველი ცოლი მარია მეტადინობდნენ რომ ჰაბარდის ხელმძღვანელობით.

მწერალი გაიტაცა აკადემიური მეცნიერის, ფსიქოლოგ უილიამ შელდონის (რომელმაც შექმნა ტერმინები "ენდომორფი", "მეზომორფი" და "ექტომორფი") თეორიებმა. შელდონის თვალსაზრისით, ყოველი ადამიანის ინდივიდუალობა შეიძ-

ლება აიხსნას მისი სხეულის კონსტიტუციური ტიპის საფუძველზე.

შელდონისეული კლასიფიკაცია მოიცავს სამ კონსტიტუციურ ტიპს. მათ შორისაა: "ვისცეროტონიკი", "სომატოტონიკი" და "ცერებროტონიკი". ეს ტერმინები სშირად გვხვდება ჰაქსლის თხზულებებში და აძნელებს მათ კითხვას ახლა, როდესაც შელდონის თეორიები დაინწყებას მიეცა. ჰაქსლი საკუთარ თავს მიაკუთვნებდა ცერებროტონიკური ექტომორფის ტიპს: მისი სიმაღლე ექვს ფუტსა და ოთხ დუიმს შეადგენდა (დავუშვათ, რომ ჰაქსლის მეგობარი, ედვინ ჰაბრი ექვსი ფუტისა და ხუთი დუიმის სიმაღლისა იყო).

ამჟამად ფართო საზოგადოება იცნობს ჰაქსლის, როგორც "შვენიერი ახალი სამყაროს" ავტორს. ესაა მხოცე საუკუნის ერთ-ერთი (ორიდან) უმნიშვნელოვანესი რომანი-გაფრთხილება. რამდენადაც ვიცი, მას ახლაც ასწავლიან უმაღლეს სასწავლებლებში ორუელის "1984"-თან ერთად, რათა სტუდენტებმა წარმოდგენა შეიქმნან კაცობრიობის სავარაუდო მომავლის შესახებ. ჰაქსლი მერყეობდა ამ საკითხთან დაკავშირებით. ნარკვევში, რომელიც ეძღვნება ფრანგ მეტაფიზიკოსის ფრანსუა-პიერ მენ დე ბირანს (სხვათა შორის, კიდევ ერთ "ცერებროტონიკს"), ჰაქსლი შენიშნავს, რომ ორუელის წინასწარმეტყველება "უფრო მომგებიან პოზიციას ემყარებოდა და, ალბათ, უფრო უზუსტი იყო", მაგრამ 1949 წელს ორუელისადმი გაგზავნილ წერილში ჰაქსლი გამოთქვამდა შეხედულებას საკუთარი წინასწარმეტყველების უპირატესობის შესახებ.

ვფიქრობ, ჩვენი უმრავლესობა დაეთანხმება მწერალს. საუკუნის შუა ხანების ტერორი და დესპოტიზმი უკვე წარიშალა ჩვეს მესხიერებაში. მათი სტილი შემორჩენილია მესამე მსოფლიოში, აფრიკასა ან არაბეთში, მაგრამ ამის გამო დიდად არავინ ნუხს. ესაა ნახევრად ველური ქვეყნები, რომელთაგანაც უკეთესს არაფერს უნდა ველოდეთ. ნაცისტური და საბჭოური ტერორი იმიტომაც იყო შემზარავი, რომ მან თავი იჩინა ცივილიზებულ ცვრობაში, გოეთესა და ბეთჰოვენის, ჩაიკოვსკისა და ტოლსტოის ქვეყნებში. თუ ამგვარი რამ მაღალი კულტურის ხალხებმა განახორციელეს, რა გასაკვირია, რომ ტერორი გამეფდა სხვაგანაც - ან, როგორც ორუელის რომანში, ყველგან.

დიდი ხანია, განვლო ლენინისა და შიტლერის ეპოქამ. ამიტომ ვერ ვიჯერებთ, რომ ცივილიზებულ ქვეყანაში შეიძლება გამეფდეს ტოტალიტარიზმი. ჰაქსლისეული დისტოპია კი, პირიქით, ძალზე დამაჯერებელია. ეჭვგარეშეა, რომ თანამედროვე მკითხველისთვის ძნელია იმის თქმა, რა

არის მისთვის მიუღებელი ჰაქსლის მიერ განჭვრეტილ მომავალში. ეჭვგარეშეა, რომ ჩვენ ვიცავთ დემოკრატიას, რელიგია კვლავ ცხოველმოქმედებს და კვლავ მივინსწავით, დავიჯახდეთ და გავზარდოთ შვილები, მაგრამ, ამასთანავე, ჩვენ იოლად შევეგუეთ იმგვარ ინფანტილურ ჰედონიზმს, როგორც "შეგვიერთ ახალ სამყაროში" ასახული (ეს რომანი ახლახან გადავიკითხე და უფერად მიგხვდით, რატომ აღმაშფოთა თანამედროვე ტელევიზიის "მეგობრების" ნარმატივამ). და როდესაც ვკითხულობთ ველურისა და ინსპექტორის კინკლაობის შესახებ (ჰაქსლისეული შედეგის მე-17 თავის ბოლოს), ინსპექტორის ვეშრობით და ვენდობით მეცნიერებს, როგორი უსამაოვნო შედეგებიც არ უნდა მოჰყვეს ჩვენს არჩევანს.

"რაო?" - იკითხა ველურმა, რომელმაც ვერაფერი გაიგო.

"ესაა სრული ჯანმრთელობის ერთ-ერთი პირობა. ამიტომაც შემოვიღეთ აუცილებელი მკურნალობა".

"აუცილებელი?"

"გნებების აუცილებელი სუროგატი. რეგულარულად, ერთხელ თვეში მთელ სხეულს ადრენალინით ვიცვებთ. ესაა შიშის ან მრისხანების სრული ფიზიოლოგიური ეკვივალენტი. დეზდემონს მკვლელობის აღმზნები ეფექტი, ყოველგვარი დაძაბვასა და მღელვარების გარეშე".

"მაგრამ მე მომწონს ეს მღელვარება".

"ჩვენ კი არ მოგვწონს, - თქვა ინსპექტორმა, - ვამჯობინებთ, უშფოთველად ვიმოქმედოთ".

ჩვენც ასე ვიქცევით, ჩვენც ასე ვიქცევით.

ორუფლი ისეთივე ბრწყინვალე (ოღონდ სხვა ყადის) ესეისტია, როგორც ჰაქსლი. ამ ორი ადამიანის ყველაზე ახლო კონტაქტი განხორციელდა 1917-18 წლებში, როდესაც ჰაქსლი იტონში ასწავლიდა, ორუფლი კი სწავლობდა. როგორც ჩანს, ჰაქსლიმ ერთადერთი წერილი ("1984"-ის მიღებასთან დაკავშირებით) გაუგზავნა ორუფელს. არ ვიცი, მიიღო თუ არა მან საპასუხო წერილი. ჰაქსლი უკვე გამოცდილი მწერალი იყო, როდესაც ორუფლი სპილოებს ხოცავდა ბენგალიაში. ჰაქსლი ოცდაათხუთჯერაა მოხსენიებული (თვითონ დავთვალე) ჯორჯ ორუფლის "ნარკვევების, წერილებისა და ჟურნალისტური სტატიების კრებულში", რომელიც რამდენიმე შესანიშნავ "ორუფლიზმს" შეიცავს, მაგალითად, წერილში რიჩარდ როსისადმი: "სწორად მსჯელობ ჰაქსლის წიგნის ("მაიმუნი და სული") შესახებ. ის მართლაც ამაზრუნია. და რაც უფრო მეტად იწმინდება ავტორი ცვეთებისგან, მით უფრო ყარს მისი წიგნები სექსით. ის თავს ვერ არიდებს ამ აკვირებულ თემას".

ორუფლის აზრით, ჰაქსლი მიუკუთვნება იმ

მწერლებს, რომლებიც "ვეშაბის მუცელში" იმყოფებიან, ე.ი. სამყაროსგან საიმედოდ არიან იზოლირებული. "ნარკვევების სრული კრებული" საკმაოდ დამაჯერებელად ადასტურებს ამ თვალსაზრისს. ჰაქსლი ღრმად სწვდება სოციალურსა და პოლიტიკურ პრობლემებს, მაგრამ ვერ ეგუება ფაქტებს და თავს აფარებს ამაღლებულ აბსტრაქციებს. ამიტომ მისი სოციალური და პოლიტიკური თხზულებები მეტად მოსაწყენია. შეადარეთ ქვანახშირის რეგიონში მოგზაურობის ჰაქსლისეული მშრალი, უფერული აღწერა ("ინგლისის საზღვრებს გარეთ") ორუფლის ცოცხალ უშუალობას "უიგან-პირსის გზაში". ხოლო როდესაც განდის მკვლელობით შეძრწუნებულმა ორუფელმა დანწერა მისი ერთ-ერთი მსოფთეოს ესე, ჰაქსლიმ ამ მოვლენას მხოლოდ რამდენიმე იმპროვიზებული შენიშვნა მიუძღვნა "მაიმუნისა და სულის" შესავალში. ეს გასაოცარია, რადგან ჰაქსლი პაციფისტი და განდის თავყანისმცემელი იყო, მაშინ, როდესაც ორუფელი ანტიპათიურად იყო განწყობილი ინდოელი ბრძენკაცის მიმართ. ჰაქსლიმ თითქოს ვერ შეამჩნია პერლ-ჰარბორი, თუმცა იმ დროს კალიფორნიაში ცხოვრობდა.

რამი გამოიხატებოდა ჰაქსლის მეტაფიზიკა? თავისი შეხედულებები მან პირველად ჩამოაყალიბა 1937 წელს ესეების კრებულში "მიჯნები და საშუალებები". "ეს უინტერესო წიგნია, - შენიშნა ივლის ვომ და დასძინა, - არა მგონია, რომ ათი წლის შემდეგ ჰაქსლი გაიზიარებს აქ გამოთქმულ რომელიმე თვალსაზრისს".

ამ შემთხვევაში ვო ცდებოდა. სინამდვილეში ჰაქსლი სულ უფრო მეტად გაიტაცა მეტაფიზიკამ და ასე გაგრძელდა მთელი მისი სიცოცხლის განმავლობაში. კარგადაა ცნობილი ჰაქსლის მიერ საკუთარ თავზე ჩატარებული ექსპერიმენტები ფსიქოტროპული პრეპარატების მეშვეობით, რასაც მან მიმართა 1953 წლის შემდეგ (კიბოთი დაავადებულმა მწერალმა სიცოცხლის ბოლო საათებში მოითხოვა, მისთვის ლსდ-ს ინექცია გაეკეთებინათ და ნარკოტიკით გაბრუნებული გარდაიცვალა). "მიჯნები და საშუალებები" მრავალ თემას ეძღვნება, მათ შორისაა ომი, პოლიტიკა, რელიგია, ეკონომიკა, ეკოლოგიური პრობლემები, მაგრამ ის მთლიანად ეყრდნობა მეტაფიზიკას. წინამდებარე სტატიის მეორე აბზაცში მოყვანილია ციტატა "მიჯნებიდან და საშუალებებიდან".

ჰაქსლის ფილოსოფიური თვალსაზრისი ეფუძნებოდა მისტიციზმს, განსაკუთრებით კი - ინდუისტურსა და ბუდისტურ კონცეფციებს, რომელთა მიხედვით არსებობს ერთი უნივერსალური ცნობიერება, თავისუფალი გონი. მის გამოვლენებებს წარმოადგენს სივრცის, დროისა და ენ-

ის სამყაროში გამოდევნილი ინდივიდუალური ცნობიერებები. აქედან გამომდინარე, ჩვენს ინდივიდუალურ ცნობიერებებს პრინციპულად ძალუძთ, მოიცვან მთელი რეალობა. თხზულებაში "ალქის ზღურბლი" შაქსლი იმონემბს ციტატას ინგლისელი ფილოსოფოსის ხ.დ.ბროუდის ნაშრომიდან: "ტვინის და ნერვული სისტემის ფუნქციას წარმოადგენს ჩვენი ცნობიერების დაცვა მთელი იმ უზარმაზარი უსარგებლო ან შესუსტებო ინფორმაციისგან, რომელიც მას, სხვა შემთხვევაში, მიძემ ტვირთად დაანეებოდა". შუალედური კლასანი თავისუფალ გონსა და ჩვენ შორის, - ამბობს შაქსლი, - სწორედ ტვინი და ნერვული სისტემაა. მათი მეშვეობით რედუცირებული ინფორმაციის შინაარსი კრისტალიზდება ენის მეშვეობით, ანუ ენას ძალუძს მხოლოდ ამ შინაარსის გამოხატვა. ფსევდომეცნიერებაში გათვითცნობიერებული ადამიანები აქ შეამჩნევენ პარალელებს დიანტიკასთან, თუმცა შაქსლიმ თავისი იდეა გაცილებით ადრე ჩამოაყალიბა, ვიდრე ჰაბარდი 1950 წლის მისში გამოაქვეყნებდა მის მიერ შემუშავებულ სისტემას.

ამ თვალსაზრისის საფუძველზე ნამოჭრილი ეთიკური პრობლემა - ის ფაქტი, რომ თავისუფალი გონი უპიროვნოა და, მაშასადამე, ეთიკურად ნეიტრალური - "მიჯნებას და საშუალებებში" განიხილება ტრადიციული ვედანტური და ბუდისტური არგუმენტების მეშვეობით. თუმცა პირველადი რეალობა არც სიკეთეა, არც - ბოროტება, ადამიანს მხოლოდ სიკეთის საშუალებით ძალუძს ამ რეალობის წვდომა. ამასთან, ფეიქრობ, - აქ უნდა ვაღიარო, რომ ჩემთვის მეტაფიზიკა ძალზე მოსაბეზრებელი რამაა და არ ძალმიძს, სრულად გავიაზრო შაქსლისეული დახვეწილი არგუმენტაციის მთელი სიღრმე - მოვლენათა ეთიკური ასპექტი ბოლომდე არავის გაუანალიზებია. შაქსლის თვალსაზრისის გამოხატველი ერთ-ერთი პერსონაჟის მტკიცებობა, ბოროტება განუყოფელია დროისგან და მხოლოდ ამ უკანასკნელისგან თავის დაღწევა იძლევა სიკეთესთან მიახლოების საშუალებას. გამოდის, რომ მარტოოდენ საგანგებო მდგომარეობაში მყოფთ შეუძლიათ სიკეთის წვდომა. მაგრამ ესაა შაქსლის შეხედულებათა ჩემი ინტერპრეტაცია, რომელიც, ალბათ, არაადეკვატურია.

შაქსლი ივარგებებოდა მსოფლიო რელიგიური საკითხების გააზრებით. 1961 წელს მან უთხრა როზამუნდ ლემანს, რომ არასოდეს ჰქონდა რელიგიური განცდა. ის ყოველთვის უარყოფითად ეკიდებოდა რელიგიას, როგორც სოციალურ ფენომენს. "მარტოოდენ მაშინ გავცეანი რელიგიის სამყაროს, როდესაც ჩავედი მართლაც რომ რელიგიურ ქვეყანაში" (როგორც ჩანს, ის აქ ინდოეთს გულის-

ხმობდა). მედიტაციის ინდური მეთოდი შაქსლის შესწავლა სავამ პრაბჰვაინანდამ, ჰოლივუდის ვედანტურ საზოგადოებაში. ამასთან, მან არ აღიარა სვამი თავის გურუდ და არც ის სურდა, რომ მასთან ერთად თაყვანი ეცა ინდოეთის ღმერთებისთვის. რეალურად შაქსლისთვის მისაღები იყო მხოლოდ კულტურაზე დაფუძნებული რელიგიის ცნება. ის ეძიებდა რელიგიური გამოცდილების უნივერსალურ, ზოგად გამოხატულებას. სიმონა ვილის მან მისწერა, რომ არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, იცოდა თუ არა ქალმა სანსკრიტო: "უპანიშადები არ წარმოადგენს წმინდა სპეკულაციური ხასიათის სისტემებს, სადაც ენის სილამაზეს რაიმე ღირებულება აქვს. ისინი დაინერა ტრანსცენდენტალური პრაგმატისტების მიერ, მათ საზრუნავს კი წარმოადგენდა იმგვარი მეტაფიზიკური დოქტრინის ჩამოყალიბება, რომელიც შეიძლება აღქმულ იქნას ადამიანის უშუალო გამოცდილების საფუძველზე, მისი არსებობის ნებისმიერ დონეზე. რათა გავიაზროთ tat tvam asi ("შენ ხარ ის"), სანსკრიტის ღრმად შესწავლა საჭირო სულაც არაა (ანალოგიურად, აუცილებელი როდია, იყო ღრმად განსწავლული ებრაელი, რათა ჩასწვდეს მნიშვნელობას გამოთქმისა "არა კაც კვალა"). შაქსლის სიტყვები არ გავკავივრვებს, თუ გვიხსენებთ, რომ ის იყო პირველი მწერალი, რომელმაც თავის ნაწარმოებში ვიტგენშტაინი მოიხსენია.

ამ კონტექსტში ინტერესს იწვევს სიბილ ბედფორდის მონათხრობი აშშ-ში შაქსლის ნატურალიზაციის შესახებ. მაკკარანის 1952 წლის აქტი კრძალავს მოქალაქეობის უფლების მინიჭებას ნებისმიერი ადამიანისთვის, რომელსაც არ სურს იარაღის მხარება სხვა მიზნებისთვის, რელიგიურის გარდა. ოლდოსი პაციფისტი იყო და ამის შესახებ ხმა მაღლა განაცხადა. "ზარით თუ არა მორწმუნე?" - ჰკითხა მოსამართლემ შაქსლის. ოლდოსმა მიუგო, რომ მორწმუნე გახლდათ, ხოლო უარყოფითი დამოკიდებულება ომების მიმართ მთლიანად ფილოსოფიურ მოსაზრებებს ეყარებოდა. ამ მეტაფიზიკურმა პასუხმა არ დააკმაყოფილა იმიგრაციული ხელისუფლება და თუმცა შაქსლი აშშ-ში ოცდაექვსი წლის განმავლობაში ცხოვრობდა, მას არასოდეს მიუღია მოქალაქეობა და ბოლომდე ინგლისის მოქალაქედ დარჩა.

თვით შაქსლიმ მისი ესეების 1959 წელს გამოცემული კრებლის წინასიტყვაობაში შენიშნა: "ესეები მიეკუთვნება იმ ლიტერატურულ ფარებს, რომელთა უკიდურესი მრავალფეროვნება შეიძლება შესწავლილ იქნას მიმართებათა სამკუთხა ჩარჩოში. ერთი მათგანია პირადი და ავტობიოგრაფიული პოლუსი; მეორე - ობიექტური, ფაქტობრივი, კონკრეტულ-დეტალური, მესამე კი -

აბსტრაქტულ-უნივერსალური“. ის ცდილობდა შემუშავებინა შელდონისმაგვარი კლასიფიკაცია და ჩარლზ ლემი განათავსა სამკუთხედის ერთ წვეროში, მაკოლი - მეორეში, ბეკონი - მესამეში, ემერსონთან და დოქტორ ჯონსონთან ერთად. ნამდვილად გენიალური ესეისტის ნაშრომი მონეტნი, განავრცობს შაქსლის, რომელიც ძალდაუტანებლად მოძრაობდა სამ პოლუსს შორის.

ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს შაქსლი მესამე პოლუსზე განათავსებს თავის თავს, ბეკონთან, ემერსონთან და ჯონსონთან ერთად. თუ ასეა, მაშინ მწერალი ნამდვილად ცდებოდა. ახლა, ათწლეულების შემდეგ, ამ ესეების გადაკითხვისას “აბსტრაქტულ-უნივერსალური“ თხზულებები მხოლოდ მოწყენილობის გამოხატვას იწვევს. თვით მათი გამოქვეყნების დროსაც ამ ესეებმა გააცხუნა ზოგიერთი მკითხველი, რასაც ააშკარავენ ივლინ ვოს შენიშვნა (“მიჯნები და საშუალებები“ თითქმის მთლიანად “აბსტრაქტულ-უნივერსალურია“). შაქსლის შესანიშნავად ესერსებოდა მარტოოდენ გარკვეული სახის ლიტერატურული, მხატვრული და ისტორიული მასალის კომენტარებს ან განხილვა.

1956 წლის ესეების კრებული (სახელწოდებით “ადონისი და ანბანი“) განსაკუთრებით მდიდარ არჩევანს გვთავაზობს. მაპატიოს ექვსტომეულის გამოცემელმა, მაგრამ “ესეების ოლდოსს“ შეიძლება გავვცნოთ “ადონისის“ გაცვეთილი ეგზემპლარის მეშვეობითაც. ცხოვრების ამ ეტაპზე მეტაფიზიკა შაქსლის საყვარელ თემად იქცა და ამიტომ ბევრი ესე მთავრდება “ღვთაებრივი იმანენტურობის ფაქტის უშუალო განცდის“ ან “სამყაროს მყისიერი შინაგანი წვდომის“ შესახებ მსჯელობით. მკითხველი სწრაფად ეჩვევა მსგავსი მეტაფიზიკური სამშენისების იგნორირებას ისე, როგორც ზოგიერთი ტელეგადაცემის ყურების დროს, როდესაც ყურადღებას ვაქცევთ არა ზედმეტ ინფორმაციას, არამედ - მხოლოდ ჩვენთვის საინტერესო ფაქტებს.

“ადონისის“ ერთ-ერთი ესე, სახელწოდებით “ოზიანდები“, უცნაური ზღაპარია ლანო დერ როის სოციალისტური კომუნის შესახებ, სადაც “ყველაფერი, რაც უნდა გაკეთდეს, სისტემატურად კეთდება“. ამავე კრებულშია “ჰიპერიონი სატირის“, ანუ კომიკური დისკურსი უხამს თემებზე (შესაბამისი ლექსიკით) და, აგრეთვე, საინტერესო ესე ნეაპოლელი კომპოზიტორის კარლო ჯეზუალდოს (1560-1613) შესახებ, რომლის პირველი ქორწინება უცნაურად დასრულდა:

ჯეზუალდოს ცოლმა საყვარელი გაიჩინა. კომპოზიტორმა მოკლა ცოლიცა და მისი საყვარელიც, შემდეგ კი ცხენზე შეჯდა და გაქუსლა თა-

ვისი ერთ-ერთი მამულისკენ, სადაც მეორე შეილის (რომელიც საეჭვო წარმოშობისა იყო) მოკვლის შემდეგ რამდენიმე თვის განმავლობაში დარჩა და ამგვარად აიცილა შურისძიება კარაფას და ავალოს ოჯახების მხრიდან“.

კრებულ “ადონისში“ ნახათ აგრეთვე შაქსლის მოგზაურობათა რამდენიმე მწვერივ აღწერას. ესე “ადონისი“ შთაგონებულია ვიზიტით ძველთაძველ ბიბლოსში. შაქსლის სამოგზაურო ჟანრის თხზულებები ინტერესით იკითხება. ექვსტომეულის ოთხ ტომში მრავლად იპოვით ამგვარ ნაწარმოებებს.

შაქსლიმ იმათივე გამოავლინა ორიგინალური დამოკიდებულება ტურისტებისთვის განკუთვნილი სანახაობების მიმართ. მაგალითად, სიკვების ოქროს კოშკის შესახებ ის შენიშნავს: “ამ ძეგლის სინწინდე ვერ ანაზღაურებს არქიტექტურული ღირსებების დეფიციტს, რადგან, არქიტექტურული თვალსაზრისით, კოშკი სრულიად უზადრუკია“. კიდევ უფრო კრიტიკულია მწერლის დამოკიდებულება ტაჯ-მაშალის მიმართ: “ესაა, საუკეთესო შემთხვევაში, უგემოვნო ნაგებობა. მის “კლასიციზმში“ შეიმჩნევა არა დახვეწილი გემოვნების კარნახით მოთოკილი მდიდარი ფანტაზია, არამედ - ფანტაზიის სიმწირე. ადამიანს აოგნებს ტაჯ-მაშალის არქიტექტურულ ფორმათა ერთფეროვნება... როდესაც მას ვადარებთ მაღალი რენესანსის ან ბაროკოს პერიოდების ნეოკლასიკური სტილის ევროპულ შენობებს, კიდევ უფრო აშკარადება ამ “შედევრის“ ფორმალური ელემენტების სიღარიბე“.

წარმოდგენა იმის შესახებ, რომ შაქსლიმ სათანადოდ ვერ შეაფასა ტაჯ-მაშალი სუსტი მხედველობის გამო, იფანტება მწერლის სხვა ხელოვნებათმცოდნეობითი თხზულებების გაცნობისას. ახლომხედველობამ ხელი არ შეუშალა შაქსლის, ღრმად გარკვეულიყო ხელოვნების პრობლემებში და გამოემუშავებინა დახვეწილი ესთეტიკური გემოვნება (და არც იმაში, რომ დაქორწინებულიყო ძალზე ლამაზ ქალზე, როდესაც თვითონ ახალგაზრდა და ღარიბი იყო). შაქსლი ხატავდა კიდევ, ყოველ შემთხვევაში, ორმოცი წლის ასაკში და შემდგომ. მთელ მის შემოქმედებაში იპოვით საინტერესო მეტაფორებს ხელოვნების სფეროდან. ასეთია, მაგალითად, სამოგზაურო ჟანრის თხზულება “მექსიკის ყურის გადაღმა“, სადაც საუბარია ჰონდურასის შესახებ: “ნანგრევების დათვლიერების შემდეგ ჩვენი თვითმფრინავისკენ გავეშურეთ. სოფლის მოსახლეობა ისე შეგროვილიყო თვითმფრინავის გარშემო, როგორც ბრეველის გლეხები - ჯვარცმასთან. ზოგიერთი მათგან იდგა, სხვები კი ფრთების ჩრდილში ისხდნენ და სიგრილით ტკებოდნენ. ეს იყო ანცებისა და ქალეების ამაზრზენი ბრბო, არა იციანლები, არამედ

- უბადრუკი და ბინძური ღატაკი მეტისები, რომლებიც, თეთრკანიანთა სისხლის მინარევის მიუხედავად, ქედმაღლურად უგულვებელყოფდნენ უმაღლესი რასისთვის ჩვეული ზრდილობის წესებს. კაბინის წინ იდგა ხუთი-ექვსი ბანდიტი, რომლებიც ელისაბედის ეპოქის დრამის მეორეხარისხოვან პერსონაჟ-მკვლევებს ჰგავდნენ და შეიარაღებულნი იყვნენ ამერიკის სამოქალაქო ომის დროინდელი ძველისძველი მუსკეტებით. ადგილობრივი პოლიცია“.

რა დარჩა აქედან ახლა? თუ არ ჩავთვლით “ობიექტურ, ფაქტობრივსა და კონკრეტულ-დეტალურ ესეებს“, “მშვენიერ ახალ სამყაროს“ და (ჩემი აზრით) ადრეული ბელეტრისტიკის ირონიულ ხიბლს, რა არის ჰაქსლის შემოქმედებაში ისეთი, რასაც დღევანდელი მკითხველი ინტერესით წაიკითხავს?

უნდა ვაღიარო, რომ ასეთი ნაწარმოების მოძებნა შეუძლებელია. არ ვიცი, ვის ახასიათებს ეს ფაქტი უარყოფთად, ჰაქსლის თუ ჩვენ.

ჰაქსლის ესეები, რომლებიც 2907 გვერდს მოიცავს, სერიოზული პროზის ნიმუშია. ამასთან, ეს არაა მონოტონური სერიოზულობა. ჰაქსლის იუმორიც სჩვეოდა. მისი სტილი ხშირად იუმორისტულ-აფორისტულია, მაგალითად: “საკუთარი უმცირეობა სულაც არ აშინებს გამობრძმედილ ჟურნალისტებს“. ის გენიალური სატირიკოსი იყო. კალიფორნიის სასაფლაოს ჰაქსლისეულმა აღწერამ, ალბათ, შთააგონა ივლინ ვო, შეექმნა ტრაგიკომიკური მოთხრობა “დაუფინყარი“. მწერალს აბსურდის უტყუარი გრძნობა და სამყაროს იდუმალეობის რწმენა (რაც ყოველთვის მაგონებდა ჩესტერ-ტონს) ახასიათებდა. ამ რწმენის გამოხატულებები ხშირად გვხვდება ჰაქსლის შემოქმედებაში: “ყველაზე ჩვეულობრივი მოვლენებით გაოცება“, “დაუჯერებელი და, ამასთან, ბანალური ფაქტები“ და ა.შ. ის ძალზე გამზიარებული, როდესაც საბჭოები მანქანის კლავიატურაზე მარცხენა ხელის თითი “c“-დან “v“-ზე გადაუსრიალდა და “ადამიანური კომედია“ “ადამიანურ ვომედიად“ იქცა.

ჰაქსლი საკუთარ თავს “ანტისოციალურ პიროვნებას“ უწოდებდა, მაგრამ ის ასკეტი არ გახლდათ. სიამოვნება, რომელსაც მწერალს ხელოვნება, ლიტერატურა, მეგობრები და ჩვეულებრივი ცხოვრებისეული მოვლენები ანიჭებდა, აშკარად გამოსჭვივის მის შემოქმედებაში. ამასთან, ჰაქსლი სუსტი მხედველობის მქონე ინტელექტუალი იყო და მისი სიამოვნება ძირითადად პრივატული ან შინაგანი ხასიათისა გახლდათ: “საოჯახო მოვალეობები ბედნიერების წყაროა, ხოლო ინტელექტუალური შრომას ყველაზე ინტენსიური ტკობა მოაქვს, - წერს იგი 1931 წელს, - რელიგია როდით

მიცავს იმისგან, რასაც სიბარიტობას უწოდებენ. უბრალოდ, ასეთია ჩემი ტემპერამენტი. ფიქრობ, სიბარიტობა მოსაწყენი და უსიამოვნოა“.

ეს ღრმად სერიოზული პიროვნება გამუდმებით ფიქრობდა საკუთარი ცხოვრების წესის შესახებ. ჰაქსლის შეხედულებები ამჟამად შეუსაბამობის შთაბეჭდილებას ტოვებს, რადგან გასული 50 წლის განმავლობაში დასავლური სამყაროს განათლებულმა საშუალო კლასებმა შეიმუშავეს საკუთარი წარმოდგენა ამ საკითხის შესახებ და ის იმპლიციტურად უგულვებელყოფს ჰაქსლის იდეებს.

ჩვენი ცხოვრება, ჩვენივე სურვილისამებრ, ზომიერად ჰედონისტურია; ზომიერად, რადგან ის შემოჭილია ზომიერი პატივისცემით ტრადიციული მორალური პრინციპების მიმართ; ჩვენ ვანდობთ მშვიდობის დაცვას არმიებსა და დიპლომატებს და არა - იდეალისტებს. ჩვენ ვანდობთ ჩვენს სოციალურ წესრიგზე ზრუნვას პოლიციელებსა და მსაჯულებს და არა - იმედებს, რომლებიც ესება საერთო მორალურ სრულყოფას. ჩვენი თვითრეალიზება ხორციელდება მუშაობის, გატაცებების, შვილების აღზრდის, სხვების მომსახურების მეშვეობით და არა ნირვანისკენ სწრაფვის წყალობით. ადამიანის არსის შემეცნების მიზნით მივიღივართ პროფესორ პინკერთან და არა ლიტერატურული ესეების ავტორებთან. ფსიქოტროპული პრეპარატივი? ისინი ყირაზე აყენებს ჩვენს ცხოვრებას. დემოგრაფიული ან ეკოლოგიური კატასტროფა? ჩვენ ვიცით, როგორ დავიცვათ თავი. მეტაფიზიკა? ოჰ, ჩვენ ისიც კი არ გვესმის, რა არის ფიზიკა! დაე, ეს საკითხები ექსპერტებმა გაარკვიონ.

ამ ლოყანიითელ ვაშლში უფჭველად ზის მატლი. ადამიანთა ცხოვრებაში ის ყოველთვის არსებობს. ისტორიის დასასრული მხოლოდ ილუზიაა: როდესაც ჭადრაკის ერთი პარტია მთავრდება, დაუყოვნებლივ იწყება მეორე. მსოფლიოს არსებობის ეს ხალისიანი ეტაპი კიდევ რამდენიმე წლის განმავლობაში გაგრძელდება, შემდეგ კი დიდი უბედურებები და ადამიანთა სასოწარკვეთილება გამეფდება, ისე, როგორც 1914-45 წლებში მოუვიდა ჰაქსლის თაობას. თუმცა, ჯერჯერობით არც ისე სერიოზულ განწყობილებაზე ვართ და ჰაქსლის სერიოზულობა სულაც არ გვიზიდავს.

2003
 The New Criterion

ინგლისურიდან თარგმნა
 (მაბარ. ლ.წმ.წმ)



ჯიბრან ხალილ ჯიბრანი (1883-1931) ცნობილი ლიბანელი ხელოვანია. მამის გარდაცვალების შემდეგ, ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლეს, აშშ-ში მოუხდა გადასახლება, რადგან დედამის ბოსტონში ნათესავეები ჰყავდა. ჯიბრანი ბავშვობიდან კარგად ხატავდა. მხატვრობას ეუფლებოდა ამერიკაში, ჰოლანდიაში. დაამთავრა პარიზის ჟულიანის აკადემია. აწყობდა წარმატებულ გამოფენებს. 1911 წლიდან ნიუ-იორკში მოღვაწეობდა და მთელი ცხოვრების მანძილზე ენატრებოდა ლიბანი, სადაც გარდაცვალების შემდეგ გადაასვენეს. დაკრძალულია ერთ-ერთი მარონიტული ეკლესიის ეზოში.

ჯიბრან ხალილი ლიტერატურაშიც მაღალი დონის მხატვრად და ფილოსოფოსად გვევლინება. მისი მხატვრული ქმნილებების, ესეების, ჩანახატებისა თუ პირადი წერილების გაცნობისას თვალში საცემია სამყაროს მისეული, განსაკუთრებული ხედვა.

ყველაზე ცნობილი ესე "წინასწარმეტყველი" 1923 წელს ნიუ-იორკში გამოქვეყნდა ინგლისურ ენაზე. ილუსტრაციები თავად ავტორს ეკუთვნოდა. წიგნი შეფასდა, როგორც ჯიბრანის მსოფლალქმის მხატვრული ენციკლოპედია, არაბული ფილოსოფიური რომანტიზმის უმნიშვნელოვანესი ქმნილება.

თვითონ ჯიბრანი, რომელიც ოთხი წლის მანძილზე ინტენსიურად მუშაობდა ამ წიგნზე, ამბობდა: "ესაა ჩემი აღმსარებლობა, ჩემი ცხოვრების ხელშეუხებელი სინამდვილე. ვისურვებდი, ის ერთ-ერთ ეკლესიაში წამეკითხა".

მისი ხელოვნების თავყვანისმცემელი მარი ჰაქსლი წერდა: "გადავშლით ამ წიგნს სიბნელეში, რათა სულელებს საზრდო მივანოდოთ, ჩვენს შიგნით ცა და დედამიწა აღმოვაჩინოთ".

გთავაზობთ ნაწყვეტს ესედან "წინასწარმეტყველი", რათა ნაწილობრივ მაინც ვეზიაროთ ჯიბრანის "სულიერ გამოცდილებას", მისი "სიცოცხლისა და სიკვდილის მეტაფიზიკას".

ჯიბრან ხალილ ჯიბრანი

წინასწარმეტყველი



გამის გამოჩენა

ღამუსტაფა, რჩეული და საყვარელი, თავისი დღის განთიადი, თორმეტ წელიწადს ელოდა ქალაქ ორფალესში გემის დაბრუნებას, რომელსაც იმ კუნძულზე უნდა წაეყვანა, სადაც დაიბადა.

მეთორმეტე წელიწადს, აილულის - მოსავლის თვის მეშვიდე დღეს ის აძვრა ბორცვზე, რომელსაც ქალაქის გალავანი ვერ ფარავდა და ზღვისკენ გაიხედა. შენიშნა, მისი გემი ნისლთან ერთად ახლოვდებოდა.

მაშინ აღმუსტაფას გული გაიღო და მისი სიხარული უკიდვრად ზღვას გადასწვდა. თვალები დახუჭა და თავისი სულის სიწუმეში ლოცულობდა.

მაგრამ როდესაც ბორცვიდან ჩამოვიდა, სევდამ მოიცვა და გაიფიქრა: როგორ ნავიდე მშვიდობით და ნაღველის გარეშე? ქალაქის დატოვება სულს დამისერავს.

ამ კედლებში გაგატარე გრძელი ტკივილიანი დღეები, გრძელი მარტოობის ღამეები და ვის ძალუძს, საკუთარ ტკივილსა და მარტო-

ბას სინანულის გარეშე დაშორდეს?!

ამ ქალაქის ქუჩებში უხვად მიმოვფანტე ჩემი სულის ნამსხვრევები. ჩემი კაემსის პირმშობი მრავლად დადიან ამ ბორცვებს შორის. არ შემოიძლია, მათ უტკივილოდ დავცილდე.

ტანისამოსს კი არ ვინძი დღეს, არამედ ტყავს ვიძირობ საკუთარი ხელებით. ჩემს უკან აზრს კი არ ვტოვებ, არამედ შიმშილისგან და წყურვილისგან დამტკბარ გულს.

და მაინც, ველარ დავაყოფნებ.

ზღვა, რომელიც ყოველ არსებას თავისკენ უბმობს, მეც მეძახის და უნდა წავიდე. დარჩენა გაყინვასა და გაქვავებას ნიშნავს, თუმც საათები ღამეც გადაიან.

მე წავიღებდი აქედან ყველაფერს, მაგრამ როგორ?!

ხმას არ შეუძლია, თან წაილოს ენა და ტუჩები, რომლებიც მას აფრთიანებენის მარტო უნდა გაიჭრას სივრცეში.

არწივიც მარტო მიფრინავს ცისკენ და ტოვებს თავის ბუღღს.

როდესაც აღმუსტავა ბორცვის ძირას ჩავიდა, ისევე მიაპყრო მზერა ზღვას და დაინახა: მისი გემი ნაპირს უახლოვდებოდა. გემბანზე კი მეზღვა-

ურები - თავისი ქვეყნის შვილები იყვნენ.

მათ დანახვაზე აღმოსდა მის სულს:

ჩემი ძველთაძველი დედის შვილებო, ტალღების მხედრებო, რამდენჯერ შემოცურებულხართ თქვენ ჩემს სიზმრებში, ახლა კი მოხვედით ცხადში, როცა გამოვიღვიძე, თუმც ეს სიცხადე ჩემი უფრო ღრმა სიზმარია.

მზად ვარ წასვლისთვის და ჩემი სწრაფვა გამგზავრებისკენ აფრებს აღმართავს, რომლებიც უკვე ქარს ელიან.

მხოლოდ კიდევ ერთხელ ჩავისუნთქე ამ მშვიდ ჰაერს, კიდევ ერთხელ მოვიხედაე უკან სიყვარულის მზერით და შემდეგ დავდგები თქვენს შორის - მეზღვაური მეზღვაურებს შორის.

ჰოი, შენ, უნაპირო ზღვაო, უძინარო დედაც, მხოლოდ შენში ნახულობენ სიმშვიდეს და თავისუფლებას მდინარეები და ნაკადულები.

კიდევ ერთხელ შეირხევა ეს ნაკადულიც, ერთხელაც ჩაიწურულეხს ამ ველზე, და შემდეგ მოგენდობი, უკიდევგანო წვეთი უკიდევგანო ოკეანეს.

ის მიდიოდა და შორიახლოს ხედავდა კაცებსა და ქალებს, რომლებიც თავიანთი ვენახებიდან და მინდვრებიდან ქალაქის ჭიშკრისკენ მიიქპაროდნენ. ესმოდა მათი ხმა - მის სახელს იმეორებდნენ, ერთმანეთს გასძახოდნენ - ჩამოვიდაო გემი.

და მან თქვა თავისთვის:

ნუთუ განშორების დღე იქნება მკის ალო?

ნუთუ მართლა ჩემი მიმწუხრი იქნება ჩემი განთიადი? რა უნდა ვუთხრა მას, ვინც სწული მიატოვა შუა გზაში, ან მას, ვინც ყურძენი მიატოვა დაუნწურავი?

გადიქცევა კი ჩემი გული ნაყოფიერ ხედ, რათა მოვაგროვო და დაფურიგო მათ ჩემი ნაყოფი? ამოხეთქს კი შადრევანივით სურვილები ჩემში, რათა ავავსო მათი თასები?

განა არფა ვარ, რომ ყოვლად ძლიერის ხელი შემეხოს, ანდა ფლეიტა, რომ მისი სუნთქვა პირდაპირ ჩემში გადმოიღვაროს?

სიჩუმის მძებნელმა განა რა საგანძური ვიპოვე მღუმარებაში, რომ მისი გაცემა თამამად შევძლო? თუკი ეს ჩემი მოსავლის დღეა, რომელ უხსოვარ დროში ან რომელ მინდვრებში დავეთესე თესლი?

თუ ეს მართლა ის დროა, როცა მე ჩემი ლამპარი უნდა ავნიო, ალი, რომელიც მას გაანათებს, არ არის ჩემი.

ავწეე ჩემს ლამპარს ბნელს და ცარიელს და ღამის გუშავი ჩაასახმს მასში ნავთს. ანთებს კიდევ მას.

ეს ყოველივე მან სიტყვებით თქვა, მაგრამ გა-



ცილებით მეტი დარჩა გულში უთქმელი, რადგან თავად არ შესწავდა ძალა, თავისი ღრმა საიდუმლო გამოეთქვა.

როცა ქალაქში შევიდა, ხალხი ერთხმად მიეცე-
 ბა.

ქალაქის უხუცესები წინ წარსდგნენ და უთხ-
 რეს:

ნუ დაგვმორდები.

შენ შუადღე იყავი ჩვენს ბინდბუნდში, შენი ახ-
 ალგაზრდობა კი ოცნებებს გეჭურქინდა, რომ გვე-
 ოცნება.

უცხო არა ხარ ჩვენს შორის და არც სტუმარ-
 რი. შენ ჩვენი საყვარელი, ძვირფასი ვაჟი ხარ.

ნუ შეანუხებ ჩვენს თვალებს შენი სახის უნა-
 ხაობით გამოწვეული შიმშილით.

ქურუმებმა კი უთხრეს მას:

ნუ დაუშვებ, რომ ზღვის ტალღებმა დაგვა-
 ცალკეონ, და წლები, რომელიც ჩვენთან გაატარ-
 არე, მოგონებად იქცეს.

ჩვენს შორის დადიოდი, სულო და შენი ჩრდი-
 ლი ნათელს ჰყენდა ჩვენს სახეებს.

ისე გვიყვარდი! მაგრამ უსიტყვო იყო ჩვენი
 სიყვარული და დაფარული. ახლა კი ხმამაღლა

მოგმართავს ის და ღიად დგება შენს წინაშე.

ყოველთვის ასე ხდებოდა - სიყვარულის ხილ-
 რმეს განშორების უამს შეიგრძნობ შოლოდ.

სხვებიც მოვიდნენ და სუყველა ვეფერებოდა.

მაგრამ მან უარი თქვა. შოლოდ თავი დახარა.
 და ვინც ახლოს იდგა, შეამჩნია მისი ცრემლები,
 მკერდზე რომ ეცემოდნენ.

ხალხთან ერთად აღმუსტავა ტაძრისკენ, დიდი
 მოედნისაკენ გაემართა.

სალოცავიდან ქალი, სახელად ალმიტრა, გამო-
 ვიდა. ალმიტრა მარჩიელი იყო.

აღმუსტავამ ალერსით საგეს მზერით შეხედა
 ქალს, რამეთუ ის იყო პირველი, ვინც იპოვა წი-
 ნასწარმეტყველი და ირწმუნა მისი, როცა იგი ქა-
 ლაქში გამოჩნდა.

ალმიტრა მიესალმა სიტყვებით:

ლეთის წინასწარმეტყველო, მიუხედავად სიერ-
 ცეებში დიდხანს ეძებდი შენს გემს და ახლა ის
 მოვიდა. უნდა ნახვიდე. უსაზღვროა შენი სევდა
 შენი მოგონებების მიწის გამო, სადაც ცხოვრობ-
 დნენ შენი დიდი სურვილები და მისწრაფებები.

ახლა კი, ვერც ჩვენი სიყვარული და ვერც ჩვე-
 ნი მწუხარება ვეღარ დაგაკავებს. შოლოდ ამას
 გათხოვ, სანამ დაგვტოვებ, გველაპარაკე და ცო-
 ტა კიდევ გვაზიარე შენს დიდ სიძარტლეს. ჩვენ
 კი მას ჩვენს შვილებს გადავცემთ, ისინი - თავი-
 ანთ შვილებს. და შენი სიძარტლე აღარ გაქრება.

მარტობაში ჭვრეტდი თითოეული ჩვენგანის

დღეებს და მუდამ ფხიზელს გესმოდა, მძინარე
 როგორ ვტიროდი და ვიცინოდი.

ამიტომ ახლა ჩვენივე თავი დადაგვიშალე და
 დაუფარავად გვიტხარი ყველაფერი, რაც დაინახე
 დაბადებას და სიკვდილს შორის.

წინასწარმეტყველმა უპასუხა:

ორფალესის მაცხოვრებელნო, რაზე შემიძლია
 გესაუბროთ, თუ არა იმაზე, რაც სწორედ ახლაც
 არ ასვენებს, აწუხებს და აფორიაქებს თქვენს სუ-
 ლებს.

სიყვარული

მაშინ ალმიტრამ უთხრა: გვესაუბრე სიყვარ-
 ულზე.

აღმუსტავამ თავი ასწია და ხალხს გადახედა.
 სულგანაბული ადამიანები პასუხს ელოდნენ. მან
 კი ხმამაღლა წარმოთქვა: როდესაც სიყვარული
 გიხმობთ, გაჰყევით მას, თუმც მისი გზები რთუ-
 ლია და ეკლიანი.

თუ მისი ფრთები შემოგეცევათ, დანებდით
 მას, თუმც შესაძლოა, ფაფუკ ბუმბულებს შორის
 ჩამადგება ხმაღმა დაგჭრათ.

როდესაც გესაუბრებათ, დაუფერეთ მას, მაშინ-
 ნაც კი, როცა მისი ხმა ოცნებებს გიმსხვრევთ ისე,
 ვით ჩრდილოეთის ქარი გააბიზარებს ხოლმე ბა-
 ლებს.

მართალია, სიყვარული გვირგვინს გადგამთ,
 მაგრამ ჯვარსაც გაცვამთ.

გზრდით და თან ტოტებს გაჭირთ.

მალღებმა თქვენს სიმაღლემდე, რათა მოეხვი-
 ოს მზის სხივებში მოცახცახე თქვენს მგრძობიარე
 ყლორტებს.

და ჩადის თქვენს ძირებამდე, რათა მიწას
 ჩაბლაუჭებული თქვენი ფესვები შეაჯანჯღაროს.

ხორბლის ძნის მსგავსად გაგროვებთ ის თავის
 გარშემო.

ის გლწავთ, რათა გაგამიშვლოთ.

გცრით, ბზისაგან რომ გაგათავისუფლოთ.

ის გფქვავთ გათეთრებამდე.

გზღოთ, ვიდრე არ დარბობდებით.

და შემდეგ დადაგცემთ თავის წმინდა ცეცხლს,
 წმინდა პურად რომ იქცეთ ლეთის წმინდა ზიარე-
 ბისთვის.

ყოველივე ამას სიყვარული დაგატყთ თავს,
 რათა თქვენი საკუთარი გულის საიდუმლობათა
 შეცნობა შეძლოთ. და ამ შეცნობით ცხოვრების
 გულის ნაწილად იქცეთ,

მაგრამ თუ შიმშირულენი სიყვარულში მხო-
 ლოდ მშვიდობასა და ნეტარებას დაუნყებთ
 ძებნას, უმჯობესი იქნება, დაფაროთ თქვენი
 სიშიშველე და მიატოვოთ სიყვარულის კაღო,

ნახვიდეთ სამყაროში, სადაც არ არის წელიწადის დროები, სადაც გაიცინებთ, მაგრამ მთელი გულით ვერ გადაიკისკისებთ, სადაც იტირებთ, მაგრამ თქვენს ცრემლს ბოლომდე ვერ დაღვრით.

სიყვარული არაფერს გასცემს საკუთარი თავის გარდა და არსიდან იღებს გარდა საკუთარი თავისა.

სიყვარული არაფერს ფლობს და არც ის სურს, რომ მას ფლობდნენ,

რადგან სიყვარული მხოლოდ სიყვარულს სჯერდება.

როცა გიყვარს, კი არ უნდა თქვა "ღმერთიაო ჩემში", არამედ "მე ვარო ღვთის გულში".

არ იფიქრო, რომ შეგიძლია მართო სიყვარული. თუკი ღირსად ჩაგთვლის, თვითონ წარმართავს შენს გზას.

სიყვარულს მხოლოდ ის უნდა, საკუთარი თავი განახორციელოს.

მაგრამ თუ გიყვარს და შენს სურვილებზე უარს ვერ ამბობ, მოდი, ეს იყოს შენი გულისთქმა, შენი ნადილი,

რომ დადნე და ემსგავსო მორაკრაკე ნაკადულს, რომელიც ღამეს უმღერის თავის სიმღერას.

რომ შეიცნო უსაზღვრო სინანის ტკივილი.

რომ დაიჭრა შენი სიყვარულის წდომით და სისარულით დაცვალო სისხლისგან.

რომ გაიღვიძო მზის ამოსვლისას გაფრთიანებული გულით და მადლობა თქვა კიდეც ერთი სიყვარულის დღისათვის.

რომ დაისვენო შუადღისას და სიყვარულზე იფიქრო.

რომ საღამოს შინ მადლობით სახეს დაბრუნდე.

და შემდეგ დაიძინო შეყვარებულისთვის ღოჯით შენს გულში, ხოტბის სიმღერით შენს ბაგეებზე.

ძორწინება

შემდეგ აღმიტრამ უთხრა: ქორწინებაზე რას გვეტყვი, მასწავლებლო?

და მან უპასუხა:

ერთად დაიბადეთ და სამუდამოდ ერთად იქნებით.

ერთად იქნებით მაშინ, როცა სიკვდილის თეთრი ფრთები თქვენს დღეებს მიმოფანტავენ.

ერთად იქნებით ღმერთის უჩუმარ მასსოვრობაშიც.

მაგრამ დატოვებ ცოტა მანძილი თქვენს ერთადყოფნაში.

ნება მიეცით ზეციურ ქარებს თქვენს შორის ციკვის.

გიყვარდეთ ერთმანეთი, ოღონდ სიყვარულს ხუნდებდა ნუ აქცევთ

უმჯობესია, ის თქვენი სულის ნაპირებს შორის აღელვებული ზღვა იყოს.

აახსეთ ერთმანეთის თასები, მაგრამ ნუ შესვამთ ერთი თასიდან.

მიეცით ერთმანეთს თქვენი პურები, მაგრამ ნუ შეჭამთ ერთი ნაჭრიდან.

იმღერეთ, იცეკვეთ, ერთად იმხიარულეთ, მაგრამ თითოეული თქვენგანი მარტო იყოს.

ბარბითის სიმებიც მარტონი არიან, თუმც მთვანე ერთი მუსიკა ჟღერს.

მიეცით ერთმანეთს თქვენი გულები, მაგრამ არა მპყრობელობაში,

რადგან მხოლოდ ცხოვრების ხელს შეუძლია მათი დატევა.

იდევით ერთად, მაგრამ არა ძალიან ახლოს - ტაძრის სვეტებიც ერთმანეთისგან შორს აღმართულან,

მუხა და ალვა ერთმანეთის ჩრდილში არ იზრდებიან.

შვილები

ქალმა, რომელსაც თავისი პატარა ბავშვი მკერდზე მიეკრა, უთხრა: გველაპარაკე შვილებზე.

და მან თქვა:

თქვენი ბავშვები თქვენ არ გეკუთვნიან.

ისინი არიან ვაჟიშვილები და ქალიშვილები ცხოვრების სევდისა საკუთარი თავის გამო.

ისინი თქვენი საშუალებით მოდიან, მაგრამ არა თქვენგან.

და თუმცა თქვენთან ერთად არიან, თქვენს კუთვნილებას არ წარმოადგენენ.

შეგიძლიათ, მისცეთ მათ თქვენი სიყვარული, მაგრამ არა თქვენი აზრები.

რადგან მათ თავიანთი ფიქრები აქვთ.

შეგიძლიათ შეიკვდლოთ მათი სხეულები, მაგრამ არა - სულები,

რადგან მათი სულები სვალინდელი დღის მკვიდრნი არიან, თქვენ კი ოცნებაშიც არ შეგიძლიათ მომავლის მონასულები.

შესაძლოა, ესწრაფოდეთ, მიემსგავსოთ მათ, მაგრამ ნუ ეცდებით, დაიმსგავსოთ ისინი,

რადგან ცხოვრება უკან-უკან არ მიდის და გუშინდელ დღესთან არ ყოვნიდება.

თქვენ მშვილდები ხართ, რომლიდანაც თქვენი შვილები, როგორც ცოცხალი ისრები წინ-წინ გაიჭრნენ.

მსროლელი ხედავს მიზანს უსასრულობის ბი-

ლიკზე და ის გულუნავთ თქვენ თავისი ძალით, რომ მისი ისრები სწრაფად და შორს გაფრინდნენ.

და, მისი თქვენი მოხრილობა მსროლელის ხელში მსოლოდ სისარულის მომტანი,

რამეთუ როგორც გაფრინილი ისარი, ისევე უყვარს მას მშვილდი, რომელიც ადგილზე რჩება.

წყალოვის გაცემა

შემდეგ მდიდარმა თქვა: გველაპარაკე წყალოვის გაღებაზე.

და მან უპასუხა:

თქვენ გაცემთ, მაგრამ სულ მცირედს, როდესაც თქვენი კუთვნილიდან გაცემთ.

და გაცემთ ჭეშმარიტად, რასაც თქვენივე არსებიდან გაიღებთ.

რისთვისაა თქვენი ქონება, თუ არა იმისთვის, რომ გეშინიათ, ვაითუ ის, რასაც დღეს ფლობთ, ხვალ რამეში დაგჭირდეთ.

და ხვალ? რას მოუტანს ხვალინდელი დღე გამჭრიახ, წინდახედულ ძალს, რომელიც თავის ძვლებს უკვალო უდაბნოს ქვიშაში მარხავს და თან პილიგრიმებს მისდევს წმინდა ქალაქისაკენ?

რა არის გაჭირვების წინაშე შიში, თუ არა თავად გაჭირვება?

განა წყურვილის შიში, როცა ჭა სახსება, არ არის დაუოკებელი წყურვილი?

არიან ისეთნი, რომლებიც ცოტას გაცემენ იმ ბევრიდან, რასაც ფლობენ. მათ სურთ, სახელი გაითქვან და ეს სურვილი მათ ნაწყალობევს საზიზღსა და ფუჭს ხდის.

არიან ისეთნიც, რომლებიც მთლიანად გაცემენ იმ მცირედს, რაც გააჩნიათ.

მათ სწამთ ცხოვრების და მისი ხელგაშლილობის. მათი ხაზინა არასოდეს ცარიელდება.

ზოგიერთები გაცემენ სისარულით და ეს სისარულია მათი ჯილდო.

ზოგიერთები გაცემენ ტკივილით და ეს ტკივილია მათი მირონცხება.

ისეთებიც არიან, ვინც აძლევენ და არ იციან გაღების ტკივილი. არც სისარულს ეძებენ და არც იმის იმედად გაცემენ, რომ სათნოებაში ჩათვლენ ბათ.

ისინი გაცემენ, როგორც მინდვრად მურტი აფრქვევს თავის სურნელებას.

ასეთი ადამიანების ხელებით თვით ღმერთი საუბრობს. მათი თვალების სიღრმიდან უფალი უღიმის დედამიწას.

კარგია წყალობის გაცემა, როცა გთხოვენ, მაგრამ უკეთესია, როცა არ გთხოვენ და თავად გესმის.

გულუხვი მწყალობლისთვის იმის ძებნა, ვინც

მიიღებს, უფრო დიდი სისარულია, ვიდრე თვით წყალობის გაცემა.

არსებობს კი ამქვეყნად რაიმე ისეთი, დამალვად რომ ღირდეს?

რაც გაბადიათ, ერთ დღეს ყველაფერი გაიცემა. ამიტომ ახლა გაიღეთ, რომ ჩუქების მთელი მადლი და სიმშვენიერე თქვენ გეკუთვნოდეთ და არა თქვენს მეშვედრეებს.

ხშირად ამბობთ: მივცემდი, ოღონდ ღირსეულს.

არც ხეები თქვენს ბაღში და არც ფარა თქვენს საძოვრებზე ამას არ ამბობენ.

ისინი იძლევიან, რათა იცოცხლონ, რადგან არმიცემა გაჭრობის, დღღუპის ტოლფასია.

ჭეშმარიტად, ის, ვინც ღირსია მიიღოს თავისი დღეები და ღამეები, ღირსია, მიიღოს თქვენგან ყველაფერი დანარჩენი.

და ის, ვინც დაიმსახურა, ცხოვრების ოკეანიდან შეესვა, იმსახურებს, თავისი ფიალა თქვენი პატარა ნაკადულიდანაც აავსოს.

განა არსებობს უფრო დიდი უდაბნო, ვიდრე წყალობის მიღების სიმტკიცესა და სიმამაცეში, გულდაჯერებულობასა და ურყეობაში, ან თუნდაც შემწყნარებლობაში დავანებულა?

ვინა ხართ თქვენ, რომ ადამიანებმა თქვენს წინაშე გულისპირი შემოიფლითონ, თავიანთ სიმამყეს საფარველი ახადონ, რათა მათი გამაშვლებული ღირსებისა და შეცბუნებისგან გათავისუფლებული სიამაყის დანახვა შეძლოთ?

პირველად იმას დააკვირდით, თავად თუ იმსახურებთ, იყოთ გამცემნი, წყალობის გაღების იარაღნი.

რამეთუ სინამდვილეში მარტო ცხოვრება აძლევს ცხოვრებას. თქვენ კი, მწყალობლებად რომ მოგაქვთ თავი, ამის მოწმენი ხართ მსოლოდ.

და თქვენ, წყალობის მიმღებთ - თქვენ ხომ უკლებლივ ყველა ღებულობთ - მადლობის თქმაც არ გინდათ იტვირთოთ, უღელი რომ არ დაადოთ თქვენს თავსაც და იმასაც, ვისგანაც მოგეცემათ.

უკეთესია, ამაღლდეთ მწყალობელთან ერთად მის საჩუქრებზე, როგორც ფრთებზე.

რამეთუ გადამტებული ზრუნვა საკუთარ მოვალეობაზე იმის დიდსულოვნებაში დაეჭვებას ნიშნავს, ვისი დედაც ნაყოფიერი მინაა, ხოლო მამა - ღმერთი.

ინგლისურიდან თარგმნა
6060 ლოლიძემ



თქვენ თქვანი ლიბანი გაქვთ, მე კი ჩემი ლიბანი



თქვენ თქვენი ლიბანი გაქვთ, მე კი ჩემი ლიბანი.

თქვენ თქვენი ლიბანი გაქვთ თავისი პრობლემა-სირთულეებით, მე კი ჩემი ლიბანი თავისი სილამაზით.

თქვენ თქვენი ლიბანი გაქვთ მთელი მისი ამოცანა-მისწრაფებებით, მე კი ჩემი ლიბანი იმ ოცნებებითა და იმედებით, რაც კი მასშია.

თქვენ თქვენი ლიბანი გაქვთ და იკმარეთ იგი, მე კი მაკმაყოფილებს მხოლოდ სავესებით განყენებული და აბსტრაქტული.

თქვენი ლიბანი პოლიტიკური კვანძია, რომლის გამოსხნასაც დრო ცდილობს, ჩემი ლიბანი კი მთა-გორებია, ცის ლაჟვარდისკენ რომ მალღებდებიან.

თქვენი ლიბანი საერთაშორისო პრობლემაა, დრო რომ აბურთავებს, ჩემი ლიბანი კი წყნარი, ჯადოსნური დაბლობებია, ზანზალაკების წკრალი და ნაკადულების სიმღერა ტალღებად რომ გადაუღლის მათ ნაპირებს.

თქვენი ლიბანი შეტაკებაა დასაველეთიდან მოსულსა და სამხრეთიდან მოსულს შორის, ჩემი ლიბანი კი ფრთოსანი ლოცვაა, დილით მოფარვატე, როცა მწყემსები თავიანთ ფარას ველებისკენ მიერეკებიან და საღამოს ზეცად აღვლენილი, გლეხები მინდვრებიდან წოს ბრუნდებიან.

თქვენი ლიბანი ურიცხვთავიანი მთავრობაა, ჩემი ლიბანი კი მკაცრი, თავდაჭერილი მთაა, ზღვასა და დაბლობებს შორის ისე მჯდარი,

როგორც პოეტი ორ უსასრულობას შორის.

თქვენი ლიბანი მელის ეშმაკობაა, რომელსაც ის იყენებს, აფთარს რომ ხვდება და აფთარის მზაკვრობა, რომელსაც ის მიმართავს, როცა ის მგელს შეეყვება, ჩემი ლიბანი კი ის მოგონებებია, ყურში რომ ხშიანებს მთვარიან ღამეში ნამღერ ქალიშვილთა სიმღერებად და ყმანვილქალთა ღიღინად კალოსა და სახნახელს შორის.

თქვენი ლიბანი საჭადრაკო მინდორია რელიგიურ მეთაურსა და ჯარის მხედართმთავარს შორის, ჩემი ლიბანი კი ტაძარია, რომელშიც გულში შევდივარ ხოლმე, როცა ამ ბორბლებზე მგორავი ცივილიზაციისთვის სახეში ყურებით მზერა მომეღლება.

თქვენი ლიბანი ორი კაცია: ერთი, რომელიც იხდის ბეგარას და მეორე, რომელიც ხვეტავს და იჯიბავს მას. ჩემი ლიბანი განმარტოებული კაცია, კედრის ჩრდილში მხართეძოზე ნამოწოლილი, ყველაფერს გარიდებული, უფლისა და მზის შუქის გარდა.

თქვენი ლიბანი პორტები, ფოსტა და ვაჭრობაა, ჩემი ლიბანი კი შორეული ფიქრი და ანთებული გრძობაა, ზეციური სიტყვა, რომელსაც მიწა კოსმიურ სივრცეს ყურში ჩურჩულით ეუბნება.

თქვენი ლიბანი მოხელე-ჩინოვნიკები, მუშები და დირექტორებია, ჩემი ლიბანი კი ახალგაზრდული შემართება, მონიფულობის ასაკის გამბედაობა-სიმტიკე და სიბერის სიბრძნეა.

თქვენი ლიბანი დედეგაციები და კომიტეტებია, ჩემი ლიბანი კი კერიასთან თავყრილობები თოვლის სინმინდით მოსილ და შემზარავ ქარიშხლებში გამოსხვეულ ღამეებში.

თქვენი ლიბანი სექტები და პარტიებია, ჩემი ლიბანი კი კლდეებზე მცოცავი, ნაკადულეებით ანცი და მონავარდე, მოედნებზე ბურთის მოთამაშე ყმანვილებია.

თქვენი ლიბანი სიტყვით გამოსვლები, საჯარო ლექციები და დისპუტებია, ჩემი ლიბანი კი შაშვების გალობა, ალვისა და ჭყორის ხეთა შტოების შრიალია და გამოქვაბულებსა და

მღვიმეებში სალაშქრის ხმის ექო.

თქვენი ლიბანი ტყუილია, ცრუ გამჭრიახო-ბის ნიღბით შენიღბული, პირფერობა, სიყალბისა და მოჩვენებითობის ხალათში გამოხვეული. ჩემი ლიბანი კი უბრალო, შიშველი ჭეშმარიტებაა, რომელიც, თუ წყლის აუზში ჩაიხედავს, მხოლოდ თავის მშვიდ სახესა და მხიარულ გამომეტყველებას ხედავს.

თქვენი ლიბანი ფურცელზე გამოტანილი კანონდებულებები, მუსხლები და პუნქტებია, დაერთებში გატარებული ხელშეკრულებები და შეთანხმებებია, ჩემი ლიბანი - ეს ცხოვრების საიდუმლოთა პირველქმნილებაა, რომელმაც არ უწყის, რომ მის შესახებ იციან და ნატვრია, რომელიც ცხადში მიეახლება და სწვდება დაფარულის, უხილავის საზღვარს, მას კი თავი სიზმარში ჰგონია.

თქვენი ლიბანი თავის წვერს ჩაფრენილი, კუმჭად შუბლშეკრული მოხუცია, მხოლოდ საკუთარ თავზე რომ ფიქრობს, ჩემი ლიბანი კი ბურჯივით წამომართული, ტანგაშლილი ყმანვილია, დილასავით მომლიმარი, რომელიც სხვის განცდებაც საკუთარვით განიცდის.

თქვენი ლიბანი დრო და დრო გამოეყოფა სირიას, პერიოდულად კი უერთდება მას, შემდეგ ორივე მხარეს ატყუებს, რათა ჩადგეს შეკრულსა და გამოსწილს შორის. ჩემი ლიბანი კი არც უერთდება და არც განცალკევდება, არც მედიდურობს და ქედმაღლობს და არც კნინდება.

თქვენ თქვენი ლიბანი გაქვთ, მე კი ჩემი ლიბანი.

თქვენ თქვენი ლიბანი გაქვთ თავისი შვილებით და მე კი ჩემი ლიბანი მისი შვილებით.

საკითხავია, ვინ არიან თქვენი ლიბანის ძენი?

წამით მომხედეთ, რათა გიჩვენოთ მათი სინამდვილე!

ეს ისინი არიან, ვინც დასავლელთა კლინიკებში შობილან.

ეს ისინი არიან, რომელთა გონებაც გამოღვიძებული ანგარებიან გულში, სულგრძელის როლს რომ თამაშობს.

ისინი ის მოქნილი რტოებია, მარჯვნივ და მარცხნივ რომ იღრიკებიან, მაგრამ სურვილის, ნების გარეშე. დილა-საღამოს რომ თრთიან, მაგრამ არ უწყიან, რომ ცახცახებენ.

ისინი არიან ტალღებს შერკინებული უსაჭო და უიალქო გემი, რომლის კაპიტანი მერყეო-

ბა და ნავსაყუდელი კი მღვიმე, სადაც დემონები ბინადრობენ და განა ყოველი დედაქალაქი ევროპაში მღვიმე არ არის?

ისინი მეტად ძლიერნი, მჭევრმეტყველნი და ენაწყლიანი არიან, მაგრამ ერთმანეთთან, ევროპელთა წინაშე კი უღონონი და მუნჯნი.

ისინი ერთუზიასტი ლიბერალი რევორმატორები არიან, მაგრამ თავიანთ პრესაში და საკუთარ ტრიბუნებზე, დასავლელთა წინაშე კი რეაქციონერები და ყურმოჭრილი მონები.

ეს ისინი არიან, ვინც ბაყაყბივით ყიყინებენ: მართლაც უკვე დაუძვევრითო ხელიდან ტირანს - ჩვენს ძველ მტერს მაშინ, როცა ტირანი - მათი ძველი მტერი კვლავ მათ სხეულებში ჩაბუდებულია.

ეს ისინი არიან, ვინც ზურნა-დედუკის დაკვრითა და ცეკვა-ცეკვით მიუძღვიან წინ სამგლოვიარო პროცესიას, მაგრამ საკმარისია საქორწინო მაყრიონს გადაეყარონ, მათი დაკვრა მოთქმად იქცევა და ცეკვა კი გულზე მჯილის ცემად და სამოსის ზედ შემოხვებად.

ეს ისინი არიან, ვისაც შიმშილი მხოლოდ მაშინ ესმის, მის ჯიბეს რომ ესტუმრება, ხოლო როდესაც ხედებიან მას, ვის სულშიც შიმშილს დაუსადგურებია, დასცინიან, მისგან პირს იბრუნებენ და ამბობენ: ეს მხოლოდ აჩრდილია, მოჩვენებათა სამყაროში რომ დაიარება.

ისინი ის მონები არიან, რომელთაც უანგმოდებული ხუნდები ლაპლაბა ბორკილებით შეცვალეს და ჰგონიათ, საესვბით თავისუფალნი გახდნენ.

აი, ესენი არიან თქვენი ლიბანის ძენი და განა არის მათ შორის ისეთი, ვინც გაბედავს და იტყვის: "როცა მოგვკვდები, ჩემს სამშობლოს ოდნავ უკეთესს დავტოვებ, ვიდრე ის დამხვდა ჩემი დაბადებისას!?" განა არის მათ შორის ისეთი, ვისაც ეყოფა გამბედაობა და იტყვის: "ჩემი სიცოცხლე მართლაც სისხლის წვეთი იყო ლიბანის ძარღვებში, ანდა ცრემლი მის წამნამებზე, ანაც ღმილი მის ბაგეზე"?!"

აი, ესენი არიან ძენი თქვენი ლიბანისა და ყველაზე დიდებული მათგან თქვენს თვალში ყველაზე უბადრუკია ჩემს თვალში!

მაგრამ შეჩერდით ცოტა ხანს და შეხედეთ, გიჩვენოთ ძენი ჩემი ლიბანისა!

ესენი ის მწყემსები არიან, თავიანთ ფარას დაბლობიდან დაბლობზე რომ მიერეკებიან. მათი საქონელი იზრდება, მრავლდება და გაძ-

ლევთ თქვენ ხორცს საკვებად და მატყლს სამოსად.

ესენი ის მევენახეები არიან, რომლებიც ყურძენს ღვინოდ წურავენ და ყურძნის წვენიდან აყენებენ ბადაგს.

ესენი ის მამები არიან, რომელნიც აშენებენ თუთის ნერგებს და დედები, რომლებიც აბრეშუმს ართავენ.

ეს ის კაცები არიან, რომლებიც იპკიან ნათესს და ქალები, რომლებიც ძნის კონებს კრავენ.

ესენი არიან კალატოზები და მეთუნეები, ფეიქრები და ზარების ჩამომსხმელები.

ესენი პოეტები არიან, რომლებიც სულს შტერავენ ახალ ფორმებს და ასევე ის თანდაყოლილი პოეტური ნიჭის პრიმიტივისტი პოეტები, რომლებიც დეკლამაციით კითხულობენ ხალხურ სალექსო ფორმებს.

ეს ისინი არიან, ვინც ლიბანს ისე ტოვებენ, რომ მხოლოდ სიმამაცე აქვთ გულში და სიმტიციე მკლავში, ბრუნდებიან კი უკან ამქვეყნიური სიკვითით ხელში და დაფნის გვირგვინებით შუბლზე.

ეს ისინი არიან, ვინც აღემატებიან თავიანთ გარშემომყოფთ, სადაც არ უნდა მივიდნენ და თავისკენ იზიდავენ გულებს, სადაც არ უნდა იმყოფებოდნენ.

ეს ისინი არიან, ვინც ქოხმასებში იბადებიან, მაგრამ მეცნიერების სასახლეებში კვდებიან. აი, ესენი არიან ლიბანის ძენი! აი, ესენი არიან ის ჩირაღდნები, რომელთაც ქარი ვერ აქრობს და მარილი, რომელსაც დრო ვერ აფუჭებს.

აი, ესენი არიან, მტკიცე ნაბიჯებით რომ მიიბიჯებენ ჭეშმარიტების, სილაშხისა და სრულყოფილებისკენ.

და რა შეიძლება, რომ დარჩეს თქვენი ლიბანიდან და თქვენი ლიბანის ძეთაგან ასი წლის შემდეგ? გამაგებინეთ, რას ტოვებთ ხვალინდელი დღისთვის, გარდა საჩივრის, მონაჩმასის და სისულელისა? თუ გგონიათ, რომ დრო ხსოვნაში ინარჩუნებს სიცრუის, ლიქნის, ყალბაბანდობის გამოვლინებებს?

ნუთუ ფიქრობთ, რომ ეთერი ინახავს სიკვდილის აჩრდილებსა და საფლავთა სულებს? განა წარმოგიდგენიათ, რომ სიცოცხლე თავის შიშველ სხეულს ძონძმანძებში მალავდეს? მე თქვენ გეუბნებით და ჭეშმარიტებაც დამემონება, რომ ზეთისხილის ნერგი, რომელსაც

სოფელი გლენი რგავს ლიბანის მთის კალთაზე, უფრო მეტხანს იცოცხლებს, ვიდრე მთელი თქვენი საქმეები და თქვენი ნამოქმედარი. ხის გუთანი, რომელსაც ხარები ეწვიან ლიბანის ფერდობთა კლაკნალებში, უფრო ღირსეული და კეთილშობილურია, ვიდრე მთელი თქვენი ოცნებები და მისწრაფებანი. მე გეუბნებით თქვენ და ყურს მიგდებს ყოფიერების აზრი და გონი, ლიბანის ზეგნებზე ბალახეულობის შემგროვებელი გოგონას სიმღერა უფრო ჭამგრძელია, ვიდრე თქვენი ყველაზე წარჩინებული და დიდებული მოლაქლახის ნაუბარი. გეუბნებით, რომ თქვენ მართლაც არარაობა ხართ და თქვენ რომ შეგნებული გქონდეთ თქვენი არარაობა, ჩემი ზიზლი თქვენს მიმართ უდავოდ შეიცვლებოდა თანაგრძობითა და სიბრალულით, მაგრამ თქვენ ეს არ გესმით.

თქვენ თქვენი ლიბანი გაქვთ, მე კი ჩემი ლიბანი.

თქვენ თქვენი ლიბანი გაქვთ და გყავთ თქვენი ლიბანის ძენი. მაშ, იკმარეთ იგი და დაკმაყოფილდით მათით, თუკი შეგიძლიათ კმაყოფილების მიღება ცარიელი ბუშტებით! მე კი მაკმაყოფილებს ჩემი ლიბანი და მისი ძენი და ჩემს კმაყოფილებაში ნეტარება, სიმშვიდე და რწმენაა.

არაბულიდან თარგმნა
დარეჯან შარვაშიძემ





<http://www.opentext.ge/arili>

გადასვლა
HERE



Sp 174/4